

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS AND BUSINESS
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

სექტემბერი-ოქტომბერი
SEPTEMBER-OCTOBER
СЕНТЯБЬ-ОКТЯБРЬ

2013

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი
და რევენგირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **ვლადიმერ პაპავა**, **ავთანდილ სილაგაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ლეო ჩიკავა**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი**, **რამაზ აბესაძე**, **სიმონ გელაშვილი**, **რევაზ გველესიანი**, **ნუგზარ თოდუა**, **ირაკლი კოვზანაძე**, **ეკა ლეკაშვილი**, **მურთაზ მაღრაძე**, **მაია მარგველაშვილი**, **ქეთევან მარშავა**, **ელგუჯა მექვაბიშვილი**, **იაკობ მესხია**, **ნუგზარ პაიჭაძე**, **სერგო სანაძე**, **მირიან ტუხაშვილი**, **ეთერ ხარაიშვილი**, **ელენე ხარაბაძე**, **რომან ხარბედია**, **ნოდარ ხადური**, **აკაკი ხელაძე**, **თემურ შენგელია**, **ემზარ ჯგერენაია**.

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief, Doctor of Economic sciences, professor.

Academicians of National Academy of Sciences of Georgia, Doctors Of Economics Sciences: **Vladimir Papava**, **Avtandil Silagadze**, corresponding member of Georgian National Academy of Sciences, doctor of Economic Sciences **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili**, **Ramaz Abesadze**, **Simon Gelashvili**, **Revaz Gvelesiani**, **Nugzar Todua**, **Irakli Kovsanadze**, **Eka Lekashvili**, **Murtaz Magradze**, **Maya Margvelashvili**, **Ketevan Marshava**, **Elguja Mkvabishvili**, **Iakob Meskhia**, **Nugzar Paichadze**, **Sergo Sanadze**, **Mirian Tukhashvili**, **Eter Kharashvili**, **Elene Kharabadze**, **Roman Kharbedia**, **Nodar Khaduri**, **Akaki Kheladze**, **Temur Shengelia**, **Emzar Jgerenaia**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Академики Национальной Академии наук Грузии, доктора экономических наук, профессора: **Владимер Папавა**, **Автандил Силагадзе**, член-корреспондент Национальной Академии наук Грузии, доктор экономических наук, профессор **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили**, **Рамаз Абесадзе**, **Симон Гелашвили**, **Реваз Гвелесиани**, **Нугзар Тодуа**, **Ираклий Ковзанაძე**, **Ека Лекашвили**, **Муртаз Магრაძე**, **Майя Маргველაშვილი**, **Кетевან Маршავა**, **Злгудჯა Мекვაბიშვილი**, **Якоб Месхия**, **Нугзар Пайчаძე**, **Серго Санаძე**, **Мირიან Тухაშვილი**, **Етер Хараишვილი**, **Элене Харабаძე**, **Роман Харбедия**, **Нодар Хадури**, **Акаки Хеладзе**, **Темур Шенгелия**, **Эмзар Джгеренаია**.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, პილიპენკო ე.ვ. ემდ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტის კურგანის ფილიალის დირექტორი. კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Pilipenko E.V. Economical doctor in science, economic branch in Kurgan unstitute, region of Ural, Russia. Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Пилипенко Е.В. Д.Э.Н. - Директор Курганского филиала ИЭ УрО РАН, Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

შინაარსი

ქართლის ცხოვრება

მკვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) - 150 11
**გულბაღ ამირანაშვილი. ქართველი ხალხის ისტორიული სა-
განძური** 12
**რევაზ გოგონია. პროფესორი ბიძინა ლუტიძე აკად. პაატა
გუგუშვილის სოციოლოგიური გამოკვლევების შესახებ (ეპ-
ლენება პროფ. ბ. ლუტიძის ნათელ ხსოვნას)** 27

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

**იაკობ (იაშა) მუსხია. პოლიტიკური არამდგრადობა და ეკონო-
მიკური ტურბულენტობა საქართველოში
(ინგლისურ ენაზე)** 33
**მამია ჯუმაშვილი. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევო-
ლუციის ტენდენციების შესახებ** 61

მიკრო-მაკროეკონომიკა

**ინეზა ბაზნიძე. მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობა -
თანამედროვე მიდგომა** 79
**შოთა შაბუნიძე. ოფშორის ფენომენი თანამედროვე ბიზ-
ნესში** 89
**ეპატარინე უფსიანი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური
განვითარების პერსპექტივები** 101
**ეპატარინე გლოველი. სისხლის სამართლის დანაშაულთა
სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი (საქართველოს
მაგალითზე)** 109

ლევან ნატროშვილი. საგარეო დახმარება: არსი, სტრუქტურა, მიზნები. 119

მარკეტინგი. მენეჯმენტი. ტურიზმი

ნუზგარ პაიჭაძე. შრომის ეფექტიანობის მართვის სრულყოფის საკითხები 139
მირონ ტულუში. კულტურის სფეროს ფინანსური უზრუნველყოფის რეგულირებისათვის 157
ლია სპანიძე. ადამიანის ემოციების ექსპრესიულობის ფსიქოფიზიოლოგიური და ანატომიური საფუძვლები 173
მანანა ხარხელი. ფირმის ფასეულობათა ჯაჭვის მართვა187

საერთაშორისო კონფერენცია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო კონფერენცია - „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ 199

სიმონ ბელაშვილი. ხსოვნა ნათელი
(ბიკენტი გაბიძაშვილი) 203

ქურნალში - „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიების წარმოდგენისა და გამოქვეყნების წესი 206

CONTENTS

KHARTLIS TSKHOVREBA

EQVTIME GODS’S MAN (TAKHAISHVILI) – 150	11
GULBAD AMIRANASHVILI. Historical treasure of Georgian people	12
REVAZ GOGOKHIA. Professor Bidzina Lutidze about social research of Academician Paata Gugushvili (In loving memory of Professor B. Lutidze)	27

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

IASHA MESKHIA. Political instability and economic turbulence in Georgia.....	33
MAMIA CHUMBURIDZE. The State’s economic role in the evolution of trends.....	61

MICRO – MACROECONOMICS

INEZA GAGNIDZE. Microeconomic competitiveness – modern approach	79
SHOTA SHABURISHVILI. Offshore Phenomenon in Contemporary Business	89
EKATERINE UDESIANI. About socio – economic prospects for development of Georgia	101
EKTERINE GLOVELI. Statistical analysis of the structure of crimes (Given the Example of Georgia)	109
LEVAN NATROSHVILI. Foreign aid: The essence, structure and the goals	119

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

NUGZAR PAICHADZE. For Improvement of Labor Effectiveness Management.....	199
MIRON TUGUSHI. For regulation of financial assurance in culture section	157
LIA SVANIDZE. Psycho-physiological and anatomical foundations of expressiveness of human emotions	173
MANANA KHARKHELI. Value chain Management	187

INTERNATIONAL CONFERENCE

International conference in economics and business of Ivane Javakhishvili state University of Tbilisi – „Sustainable development of bio economy and agriculture“	199
--	-----

SIMON GELASHVILI . In loving memory (Bikenti Gabidzashvili)	203
--	-----

In magazine “Economic and Business” , Presentation of scientific articles and submission rule	206
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

«КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

ЕКВТИМЕ БОЖИЙ ЧЕЛОВЕК (ТАКАИШВИЛИ) - 15011
ГУЛБАД АМИРАНАШВИЛИ. Историческое сокровище грузинского народа.....	12
Реваз Гогохия. Профессор Бидзина Лутидзе о социологических исследованиях академика Паата Гугушвили.....	27

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

ЯКОВ (ЯША) МЕСХИЯ. Политическая неустойчивость и экономическая турбулентность в Грузии (на английском языке).....	33
МАМИЯ ЧУМБУРИДZE. О тенденциях эволюции экономической роли государства	61

МИКРО – МАКРОЭКОНОМИКА

ИНЕЗА ГАГНИДZE. Конкурентноспособность микро экономики – современный подход	79
ШОТА ШАБУРИШВИЛИ. Офшорный феномен в современном бизнесе.....	89
ЭКАТЕРИНЕ УДЕСИАНИ. Перспективы социально-экономического развития Грузии.....	101
ЭКАТЕРИНЕ ГЛОВЕЛИ. Статистический анализ структуры преступления уголовного права (на примере Грузии)	109

ЛЕВАН НАТРОШВИЛИ. Внешняя помощь: сущность, структура, цели..... 119

МАРКЕТИНГ. МЕНЕДЖМЕНТ. ТУРИЗМ

НУТЗАР ПАЙЧАДЗЕ. Вопросы совершенствования управления эффективности труда..... 139

МИРОН ТУГУШИ. К регулированию финансового обеспечения сферы культуры..... 157

ЛИЯ СВАНИДЗЕ. Психо-физиологические и анатомические основы экспрессивности и эмоции человека.....173

МАНАНА ХАРХЕЛИ. Управление ценностных цепей фирмы. 187

МЕЖДУНАРОДНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ

II-ая Международная научно-практическая конференция факультета экономики и бизнеса ТГУ им.Джавахишвили – ”Устойчивое развитие биоэкономики и сельского хозяйства” 199

СИМОН ГЕЛАШВИЛИ. Светлая память –
(Бикенти Габидзашвили)..... 203

Правила представления и опубликования научных статей в журнале «Экономика и бизнес». 206

ექვთიმე ღვთისკასი (თაყაიშვილი) –

150

ნელს ქართველი წმინდანის ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლის იუბილეს იუნესკო ზეიმობს. ქართულმა ეკლესიამ იგი 2002 წელს ექვთიმე ღვთისკაცად შერაჩა.

ექვთიმე თაყაიშვილი 1921 წელს მრევლად გააყვა საზღვარგარეთ გაქრეული მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილ ქართველი ერის ისტორიულ განძს. იქ 25 წელი რუფუნებით უპატრონა და 1945 წელს უკან ჩამოაყვა სამშობლოში დაბრუნებულ საგანძურს. როგორც საქართველოს პატრიარქი ილია II ზრძანებს, „უდიდესი მეწიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი – წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი იმ დიდებულ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც სიმკვირის სიმბოლოდ და ქართული სულიერების ნიშანსვეჭად აღიქმება ჩვენი ერისთვის. იგი მაგალითია იმისა, რომ წმინდანთა უხოვრება არ არის მხოლოდ წარსულის კუთვნილება, რომ მოყვანისათვის მუხოვრები და ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანები ჩვენს ყოფაში არსებობენ და რომ სწორედ ასეთი სიწოვრულია ღირებული და მისაზამი. შევხოვ მის ნათელ სულს, შეგვენიოს ჩვენ მეტად მძიმე ჭკრის მტვირთველობაში“.

**ქართველი ხალხის ისტორიული
საბანძური**

გულბაღ ამირანაშვილი

1945 წლის 11 აპრილს ისტორიული ამბავი მოხდა თბილისის აეროპორტში. იმ დღეს, ერთი მეორის მომდევნოდ დაეშვა პარიზიდან მომავალი სამი თვითმფრინავი. ერთ-ერთის კარებში გამოჩნდა ქართველი მამულიშვილი, 82 წლის მოხუცი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 წ. 26 მაისიდან 1921 წ. 24 თებერვლის ჩათვლით) მთავრობის წევრი, ქართველი ეროვნული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი.

პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ექვთიმე თაყაიშვილი სხვისი დახმარების გარეშე გადმოვიდა თვითმფრინავიდან. ორივე ხელი აღაპყრო ზეცისკენ და გ უ ლ ი - დან ამოხეთქილი სიტყვები წარმოთქვა: „მე მოვიხადე ვალი საქართველოს წინაშე“. შემდეგ უფროსი მეგობრის, აკაკი წერეთლის სიტყვები გაიხსენა: „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურ-მუხტი“.

ექვთიმე თაყაიშვილის მომდევნოდ თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები: შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია. მათ პირნათლად აღასრულეს ქართველი ხალხის ოცნება: პარიზიდან თბილისში ჩამოიყვანეს ექვთიმე თაყაიშვილი და ჩამოიტანეს ქართველი ერის კუთვნილი საგანძური.

გადავხედოთ წარსულს: ბოლშევიკური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით 1921 წლის 10

მარტს სახელმწიფო მნიშვნელობის ფასეულობასა და დოკუმენტურ მასალასთან ერთად ბათუმიდან საფრანგეთში გატანილ იქნა სამუხეუმო განძეულობაც, რომლის მეთვალყურედ დანიშნული იყო პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი. იგი პირნათლად ემსახურა ქართველი ხალხის ისტორიული საუნჯის ხელშეუხებლობასა და მის 24-წლიან ევროპულ ემიგრაციას.

ქართული სამუხეუმო განძეულობის გატანა-შემოტანის შესახებ დაწერილია მრავალი სტატია; შექმნილია მეცნიერული და ლიტერატურული ნაშრომები; გადაღებულია დოკუმენტური ფილმებიც; ექვთიმე თაყაიშვილს ხშირად ვიხსენებთ რადიო და სატელევიზიო გადაცემებით. ამ ინფორმაციებში მხოლოდ გაკერით არის ნათქვამი: „ქართული განძის ჩამოსატანად საფრანგეთში გაგზავნეს შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია“.

ჩვენს საზოგადოებაში დღემდე გაურკვეველია: ქართველი ეროვნული განძის ჩამოსატანად საფრანგეთში რატომ გაგზავნეს მაინცდამაინც შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია; რატომ და ვინ შეაჩერა არჩევანი ხელოვნებათმცოდნეზე და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღების გარემოებები უცნობია პოლიტიკური და სამეცნიერო საზოგადოებისათვის და საერთოდ, ქართველი ხალხისთვის. ამიტომ დავისახეთ მიზნად, წარმოვადგინოთ აქამდე უცნობი საისტორიო მასალა, თუ რატომ გაიგზავნენ სწორედ ისინი ქართველი ერის კუთვნილი საგანძურის საქართველოში დასაბრუნებლად.

საფრანგეთში გატანილი ქართული განძის მეთვალყურე ექვთიმე თაყაიშვილი წერილს წერილზე აგზავნიდა საქართველოში, რათა მთავრობას დროზე მიეღო სათანადო ზომები სამუხეუმო ისტორიული ნივთების სამშობლოში დასაბრუნებლად. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ არ

უპასუხა ექვთიმე თაყაიშვილის გამოგზავნილ არც ერთ წერილს, რადგანაც XX ს-ის 30-იანი წლები არ ჩათვალა ხელსაყრელ პერიოდად განძის დაბრუნებისთვის.

1935 წლის 9 აპრილს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის, ბატონ ვუკოლ ბერიძის სახელზე გამოგზავნილ წერილში ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი იტყობინებოდა, რომ მარსელის ბანკში ქართული სამუხეუმო საგანძურის შესანახად დაწესებული თანხის გადაუხდელობის გამო 1935 წლის აპრილში საფრანგეთის მთავრობამ ქართველი ერის კუთვნილი ისტორიული ნივთები გამოაცხადა უპატრონო ქონებად და მისი სრული კონფისკაცია მოახდინა.

ამავე 1935 წლის ბოლოს, მარსელის სახელმწიფო ბანკიდან ქართული განძეულობა გადატანილ იქნა პარიზში, ნაციონალურ სათაო ბანკში. საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე პარიზის ბანკის მოხელეებმა დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო და სამუხეუმო ბეჭდებით დალუქული ყუთები გახსნეს (რის ნებაც და უფლებაც მათ არ ჰქონდათ) და შეადგინეს უკანონოდ ხელში ჩაგდებული ქართული ეროვნული საგანძურის „ფრანგული“ აღწერილობა. საქართველოს კუთვნილი ეროვნული საგანძურის „ფრანგული“ სიის შედგენაში მონაწილეობა არ მიაღებინეს დემოკრატიული საქართველოს არც ერთ წევრს, მათ შორის არც ქართული განძის პასუხისმგებელ მეთვალყურეს ექვთიმე თაყაიშვილს და ეს უკვე იმ მიზეზის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობა 1935 წლის აპრილიდან საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის საკუთრებად მიიჩნევდა ქართულ განძეულობას. კონფისკაციის საფუძველს წარმოაგენდა იმ ვალის გადაუხდელობა, რაც დაუგროვდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობას მთელი ცამეტი წლის განმავლობაში. ეს იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ მარსელის ბანკში ქართული განძეულობის შენახვისათვის

დაკანონებული პროცენტული განაკვეთი, ამ ცამეტწლიანი გადაუხდელობის გამო, თანხური რაოდენობით გაუთანაბრდა ბანკში ჩადებულ ნივთთა შეფასების თანხას. საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის კანონის საფუძველზე საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას 1935 წლის აპრილიდან ჩამოერთვა კანონიერი უფლება ქართული განძის საკუთრებაზე. ამ წლიდან კონფისკაციაქმნილი ქართული განძეულობის მდგომარეობის შესახებ ვერავითარ ცნობებს ვერ იღებდა მისი მეთვალყურე ექვთიმე თაყაიშვილი.

1935 წლის აპრილიდან ექვთიმე თაყაიშვილი განიცდიდა დიდ წუხილსა და საშიშროებას, რომ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქართული ერის ისტორიული საგანძური კომერციული გარიგების მსხვერპლი არ გამხდარიყო. საფრანგეთის ნაციონალური ბანკის მიერ ქართული განძის კონფისკაციამდე, ე.ი. 1935 წლამდე, მსოფლიოს შექმნილი კოლექციონერები და ევროპის მდიდარი მუზეუმები ქართული განძის მაღალი ფასით შესყიდვის სურვილს გამოხატავდნენ და ამის განსახორციელებლად მზად იყვნენ, ქართული ნივთების გამოსასყიდი თანხა სრულად დაეფარათ. 1935 წლამდე ქართული საგანძურის უიარაღო მცველი მტკიცე უარით ისტუმრებდა ყოველ მოვაჭრეს და პასუხობდა: „ქართული ისტორიული განძი წარმოადგენს ქართველი ხალხის ეროვნულ საკუთრებას და ყოველი ყუთი დაღუპულია საქართველოს სახელმწიფო და სამუხეუმო ბეჭდით; მე კი, განუმარტავდა მათ ჩვენი პატრიოტი თანამემამულე, ამ ნივთებზე მცველ-მეთვალყურის მოვალეობას ვასრულებ დ მესაკუთრის უფლებით არ ვარ აღჭურვილი“.

1935 წლის აპრილიდან 1943 წლის დეკემბრის ჩათვლით ქართული ნივთები ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბანკში. 1944 წლის იანვარში (მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ მძვინვარებდა ფაშისმი და გერმანელთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის: „ქართულ განძზე დაუფლებ-

ის“ მცდელობის თავიდან აცილების მიზნით), საფრანგეთის მთავრობამ ქართული განძეულობა ბანიკიდან ვერსალის სასახლის სცავში გადაამალა.

საომარი მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა 1944 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლება ფაშიზმისაგან. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ 1944 წლის ოქტომბერში ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, „მეტეხის“ დირექტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შალვა ამირანაშვილი იმყოფებოდა მოსკოვში, აკადემიის სამეცნიერო სესიაზე. აკადემიის ჯიხურში შექმნილი ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთიდან მან შეიტყო, რომ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე, გენერალი შარლ დე გოლი ვიზიტად იმყოფებოდა მოსკოვს, საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ ი.ბ. სტალინთან შეხვედრის მიზნით.

ამ ინფორმაციამ შალვა ამირანაშვილი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობის წინაშე დააყენა. მისი მართებული მოსაზრებით, ქართველი ხალხის კუთვნილი საგანძურის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების საკითხი უნდა დასმულიყო და გადაწყვეტილიყო საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ლიდერთა შეხვედრის დროს. მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ უმაღლეს დონეზე იყო შესაძლებელი ქართველებისათვის საჭირობოროტო საკითხის უმტკინვეულოდ გადაწყვეტა. აუცილებლობამ მოითხოვა, საფრანგეთიდან საქართველოში ქართული ისტორიული განძეულობის გადმოტანის შესახებ ი. სტალინი მოლაპარაკებოდა გენერალ შარლ დე გოლს. ამასთან, ისიც იყო გასათვალისწინებელი, რამდენად მართებულად მიიჩნევა ი. სტალინი მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული პრობლემების მხარდამხარ აღედრა საკითხი, 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო

განძეულის საქართველოში დაბრუნების შესახებ. მთავარი მაიც იყო ის, რომ ასეთი ხელსაყრელი მომენტი აღარასოდეს დადგებოდა; და ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა მომავალში! შექმნილ სიტუაციას აუცილებლად გამოყენება სჭირდებოდა. თუნდაც, მყისეულად წარმოქმნილი წინააღობის შემთხვევაში.

საგაზეთო ინფორმაციის მიღების დღესვე, სასტუმრო „მოსკვა“-ს ერთ-ერთ ნომერში შალვა ამირანაშვილმა შეადგინა თხოვნა (რუსულად) ი. სტალინის სახელზე:

საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალს, მარშალ სტალინს იოსებ ბესარიონის ძეს.

გთხოვთ, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარესთან, გენერალ შარლ დე გოლთან შეხვედრის დროს აღძრათ საკითხი, საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართველი ერის საკუთრების, ისტორიული სამუზეუმო განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ.

უღრმესი პატივისცემით
ამირანაშვილი შალვა იასონის-ძე,
საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ
ხელოვნების მუზეუმ „მეტეხი“-ს დირექტორი,
1944 წლის 22 ოქტომბერი.

თხოვნა შედგენილი ერთ ეგზემპლარად, მოთავსებული გახსნილ კონვერტში, ჩაიბარა კრემლის კომენდატურამ 1944 წლის 22 ოქტომბერს.

ი. სტალინის სახელზე გაგზავნილ იმ წერილებს, სადაც წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეებთან დაკავშირებული საკითხები, თავდაპირველად ეცნობოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ.მ. მოლოტოვი. შ. ამირანაშვილის თხოვნაში აღძრული საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ი. სტალინის პრეროგატივას. ამიტომ მისი თხოვნა იმავე დღეს მოხვდა ი. სტალინისათვის

შესაგზავნ ფოსტაში.

მართლაც, ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ 1944 წლის 16 ნოემბერს, იხსენებდა შ. ამირანაშვილი, ის გამოიძახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, კ.ნ. ჩარკვიანთან, რომელმაც მას გააცნო მოსკოვიდან მიღებული ინფორმაცია. მან განუმარტა შ. ამირანაშვილს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო სათანადო დადგენილება საფრანგეთიდან ქართული განძეულობის დაბრუნების შესახებ. სავსებით ცხადი გახდა, რომ შ. ამირანაშვილის 1944 წლის 22 ოქტომბრის მიმართვის გათვალისწინებით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ დასახა ქართული ეროვნული განძის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნება. საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1944 წლის ნოემბერში მიიღო დადგენილება 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული სამუხეუმო საგანძურის დაბრუნების შესახებ. ამიტომ იქნა გამოძახებული ამ საქმის წამომწყები შ. ამირანაშვილი 1944 წლის 16 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში კ.მ. ჩარკვიანთან, რომელიც კრემლის მიერ ინფორმირებული იყო ამ საქმის შესახებ.

„ქართული საგანძურის ჩამოსატანად საფრანგეთში უნდა გაემგზავროთ თქვენ, შალვა იასონის ძე“, უთხრა მას კანდიდ ჩარკვიანმა და დაუმატა: „თქვენთან ერთად საფრანგეთში წამოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე, ამხანაგი პეტრე შარია. ორივენი, კრემლის კანდიდატურები ხართ, და არ ექვემდებარებით შეცვლას“, დაასრულა სათქმელი კ.ნ. ჩარკვიანმა.

შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია შეუდგნენ მზადებას, ჯერ მოსკოვში, იქიდან კი საფრანგეთში გასამგზავრებლად. დასახული მისიის განსახორციელებლად შ. ამირანაშვილმა იხელმძღვანელა ე. თაყაიშვილის 1935 წლის

9 აპრილით დათარიღებული წერილით (ე. თაყაიშვილის ეს წერილი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში). წერილში მეცნიერი იტყობინებოდა, რომ მის დაუსწრებლად და საერთაშორისო კანონიერების გვერდის ავლით, პარიზის ნაციონალური ბანკის მოხელეების მიერ გახსნილ იქნა საქართველოს საგანძურით დატვირთული ყუთები და შეადგინეს შიგთავს ნივთთა „ფრანგული“ აღწერილობა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებლად იქნა მიჩნეული, რომელიმე ქართული ისტორიული ნივთის დაკარგვა. ამიტომ, პირველ ყოვლისა, შ. ამირანაშვილმა მიზნად დაისახა საფრანგეთში გატანილი ქართული სამუზეუმო ნივთების სიის აღდგენა. ახალი სიის შედგენაში, იხსენებდა ჩემთან საუბარში შ. ამირანაშვილი, „გამომადგა სტუდენტობის დროს, საბჭოთა მთავრობის დავალებით 1921 წლის მეორე ნახევარში შესრულებული სამუშაო, რომელიც ეხებოდა საფრანგეთში გატანილი და საქართველოში დარჩენილი სამუზეუმო ნივთების ინვენტარიზაციას, სრული და მთლიანი აღწერილობის თანდართვით. მე მაშინ ვასრულებდი ტექნიკური მდივნის მოვალეობას“. ამის საფუძველზე სპეციალურად მომზადებულ იქნა საფრანგეთში გატანილი ნივთების ხელახალი სია ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. შ. ამირანაშვილის მიერ აღნუსხული ქართული საგანძური წარმოადგენდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, სამხატვრო ეროვნული გალერეის, საქართველოს მუზეუმისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა კუთვნილ კოლექციებს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ 1944 წლის ნოემბრის დასაწყისში მიღებული დადგენილების გათვალისწინების საფუძველზე, ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი 1944 წლის 23 ნოემბერს შეხვდა საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში ა.ჟ. ბოგომოლოვს. ე. თაყაიშვილმა ა.ჟ. ბოგომოლოვს გადასცა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის, გენერალ

შარლ დე გოლის სახელზე შედგენილი თხოვნა-წერილი, ქართველი ერის საგანძურის საფრანგეთის სათაო ბანკის მფლობელობისაგან დახსნისა და საქართველოში გასაგზავნად მომზადების ხელშეწყობის შესახებ.

ამრიგად, საფრანგეთიდან ქართული განძის დაბრუნების საკითხი გადაწყდა შალვა ამირანაშვილის მიერ 1944 წლის 22 ოქტომბერს ი. სტალინის სახელზე გაგზავნილ თხოვნა-წერილისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1944 წლის 23 ნოემბერს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის, გენერალ შარლ დე გოლის სახელზე გაგზავნილი თხოვნა-წერილის საფუძველზე.

მასწავლებლისა და მისი მოწაფის, ექვთიმე თაყაიშვილისა და შალვა ამირანაშვილის ისტორიულ-პოლიტიკურმა ბრძოლამ ორ ფრონტზე ქართველი ხალხისათვის სასურველი შედეგი გამოიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1944 წლის დეკემბრის თვის პირველ დეკადაში მოსკოვში ვიზიტად იმყოფებოდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გენერალი შარლ დე გოლი, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალთან ი. სტალინთან. სათანადო მოლაპარაკების შედეგად 1944 წლის 10 დეკემბერს დადებულ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა სახელმწიფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის „კავშირისა და ურთიერთდახმარების“ შესახებ. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ამ საქმის წარმოების სრული უფლებით აღჭურვილებმა: საბჭოთა კავშირის მხრიდან მოლოტოვმა, ხოლო საფრანგეთის მხრიდან ბიდომ. ხელშეკრულების სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1944 წლის 19 დეკემბერს, გაზეთ „იზვესტიის“ 293-ე ნომერში.

შ. ამირანაშვილის და პ. შარიას ფრანგული მისია 1944 წლის 27 დეკემბერს მოსკოვში ჩაფრენით დაიწყო. იქ ისინი შეხვდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ.მ. მოლოტოვს. მან მოკლედ ჩამოაყალიბა საზღვარგარეთ

გამგზავრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი წვრილმანი აღნიშნა ისიც, რომ „ოსებ ბესარიონის ძე სტალინი ჩემი თანდასწრებით მოელაპარაკა შარლ დე გოლს და მიიღო მისგან დაპირება ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნების შესახებ“. აი, რა იყო ქართული განძეულობის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების ძირითადი საფუძველი!

„საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის, გენერალ შარლ დე გოლის სპეციალური განკარგულებით, საფრანგეთის ნაციონალური ბანკის მიერ კონფისკაციაქმნილი ქართული საგანძური (უკლებლივ ყველა ნივთი) ყოველგვარი გამოსყიდვისა და გადასახადის გარეშე, 1944 წლის დეკემბრის თვის მეორე დეკადის დღეებში დაუბრუნდა მის ისტორიულ მესაკუთრეს. ვერსალის სასახლის სიძველეთსაცავიდან ქართული განძი გადატანილია საბჭოთა კავშირის საელჩოში და ვიზირებულია საქართველოში წასაღებად“, განმარტა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ.მ. მოლოტოვმა. „მინდა ისიც აღვნიშნო“, განაგრძნო მან, „საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე, გენერალ შარლ დე გოლი, მისთვის დამახასიათებელი პატრიოტული სულისკვეთებით წარმოადგენს მსოფლიო ინტერნაციონალიზმის უმაღლეს გამოვლინებას“.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ სიტყვა ითხოვა შ. ამირანაშვილმა და მიმართა ვ.მ. მოლოტოვს:

- ვიანხელავ მიხეილის ძეგ, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი თაოსნობდა საქართველოდან საფრანგეთში ქართული ისტორიული განძის გატანას 1921 წელს. იმ წლიდან მოყოლებული, ე.ს. თაყაიშვილი მეთვალყურეობდა ქართველი ერის საგანძურს, ხშირად, მისი სიცოცხლის ფასადაც. ახლა, 82 წლის მოხუცის საზღვარგარეთ დატოვება, მისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება. ნება მიბოძეთ გთხოვოთ,

შესაძლებლად ჩათვალთ ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნება საქართველოში, ოღონდ ერთი პირობით: ე.ს. თაყაიშვილი სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურად გარანტირებული და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს; ხელშეუხებელი უნდა იყოს მისი სიცოცხლე და თავისუფალი სამეცნიერო მოღვაწეობა.

– ირწმუნეთ ორივემ, შალვა იასონის ძე და პეტრე ათანასის ძე, რომ ასეთი გარანტია ამ წუთიდანვე უკვე აქვს ექვთიმე სიმონის ძეს. ჰმ, მიფრინავთ ორნი და ჩამოფრინდებით სამნი, ან თუნდაც მეტნი, რასაკვირველია, ქართულ განძთნ ერთად! - ღიმილით დაადასტურა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა.

1945 წლის იანვარში შ. ამირანაშვილი და პ. შარია ჩაფრინდნენ პარიზში. აეროპორტში მათ დახვდნენ რუსი მასპინძლები და მიიყვანეს საბჭოთა კავშირის საელჩოში. ქართველ ემისრებს გულთბილად შეხვდა საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ა.ე. ბოგომოლოვი, რომელმაც თავის მხრივ სავსებით ნათლად განუმარტა მათ, რომ „საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის სპეციალური ბრძანების საფუძველზე პარიზის ნაციონალური ბანკის მიერ 1935 წელს კონფისკაციაქმნილი ქართული საგანძური უსასყიდლოდ გადაეცა მის კანონიერ მფლობელს, ქართველ ხალხს. საფრანგეთის მთავრობისაგან სათანადო წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ ვერსალის სასახლის სიძველეთსაცავიდან ქართული საგანძური გადმოტანილ იქნა საბჭოთა კავშირის საელჩოში“.

„იმ საღამოსვე, მე და პეტრე, შეხვდით ჩვენს უძვირფასეს მამულიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს“, ღიმილით გაიხსენა ჩემთან საუბარში შ. ამირანაშვილმა. „შეხვედრისთანავე, აღფრთოვანებულმა ჩემმა მასწავლებელმა შემომძახა: „როგორ დაბერებულხარ, შალვა, ძლივს გიცანი!“ გულაჩუყებულმა სამმა ქართველმა ერთმანეთს ღიმილი შეაგებეს.

სულ რამდენიმე დღის შემდეგ, იგონებდა ჩემთან საუბარში შ. ამირანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით შევეუდქეთ საფრანგეთის ბანკის მიერ დაღუპული ყუთების გახსნას და მათში მოთავსებული ქართული განძეულობის ხალახალ რეგისტრაციას. რაც მნიშვნელოვანი და მთავარია, ყუთები და ერთი ფუთა-შეკვრა სრულად იყო წარმოდგენილი და მათში არსებული საგანძური უკლებლივ იყო დაცული. ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის მთლიანობა და ხელშეუხებლობა თვალნათლივ მოწმობდა მისი მეთვალყურის ე. თაყაიშვილის ჭეშმარიტ მამულიშვილობასა და სიცოცხლის ფასთან გაიგივებულ თავდადებას, მიუხედავად აუტანელი სიდუხჭირისა და უკიდურესი ხელმოკლეობისა, რასაც მეცნიერი განიცდიდა თითქმის ყოველთვის, და მეტწილად მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ოცდაოთხი წლის (1921 წ. თებერვლიდან 1945 წ. იანვრის პირველი ნახევრის ჩათვლით) შემდეგ ქართული ეროვნული საგანძურის ხელახალ ხილვით გამოწვეულ აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, და ასევე, გულის სიღრმიდან ამოდუღებულ სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა ჯანსაღი სულით ღვთისაგან დაჯილდოებული 82 წლის მხნე მოხუცი, საგანძურის უცვლელი გუშაგი და მუდმივი მეთვალყურე ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი.

თითქმის თვენახევრის განმავლობაში, ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით შალვა ამირანაშვილმა და პეტრე შარიამ დაადასტურეს ქართული საგანძურის სრულყოფილი შედგენილობა. ჩატარდა ნივთების ახალი აღწერა, ძველი და ახალი სიების თანხვედრილობამ, სიზუსტის თვალსაზრისით, ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. თვალეგაბრწყინებული ბატონი ექვთიმე ახალი სიცოცხლით ივსებოდა, შეუმჩნეველად განიცდიდა მომეტებულ სიხარულსა და აღრფრთოვანებას. შალვა და პეტრე თვალანთებული შესცქეროდნენ სასიამოვნო მოხუცის თავდადებულ ღვაწლის ნაყოფს. 1945 წლის

მარტის დასაწყისისთვის ქართული საგანძური მთლიანად აღწერილი, მაღალხარისხოვნად შეფუთული და სრულად გამზადებული იყო საქართველოში დასაბრუნებლად.

საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩის ა.ე. ბოგომოლოვის თხოვნის საფუძველზე მეორე მსოფლიო ომში მოკავშირე ქვეყანამ, დიდმა ბრიტანეთმა გამოყო „დუგლასის“ ფირმის თვითმფრინავები ქართული განძის თბილისში ჩასატანად. ამ ინიციატივის წინააღმდეგ ერთსულოვნად წავიდნენ შ. ამირანაშვილი და პ. შარია. მათ მოითხოვეს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა თვითმფრინავები. ელჩი დაეთანხმა ქართველთა წინადადებას და ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ აცნობა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ.მ. მოლოტოვს.

ომის ცეცხლგადატანილი ქვეყნიდან წამოსული „ილ-14“ ტიპის თვითმფრინავები მხოლოდ 4 აპრილს დაემშენ პარიზთან ახლომდებარე ორლის აეროპორტში. საქართველოში გასაგზავნი საგანძური საელჩოს სპეციალური მანქანებით ღამის განმავლობაში გადატანილ იქნა აეროპორტში. ქართული საგანძურით დაიტვირთა ორი თვითმფრინავი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში გასაგზავნი ტვირთი მოთავსდა მესამე თვითმფრინავში, რომელიც თბილისში დაფრენის შედეგ გზას მოსკოვისკენ გააგრძელებდა.

1945 წლის 5 აპრილს, პარიზში ყოფნის რამდენიმე საათიდა ჰქონდათ დარჩენილი ბატონებს - ექვთიმეს, შალვას და პეტრეს. გაზაფხულის დილას ნისლი თანდათან იფანტებოდა ევროპის გულში და ქალაქს დღის სიცოცხლის მონოტონური რიტმი მომატებული ძალ-ღონით ედებოდა. საელჩოს მიერ მორთმეული მანქანიდან მათ უკანასკნელად შეავლეს თვალი დიდებულ პარიზს, არქიტექტურული ხელოვნების უნიკალურ ქმნილებებს, ნორტდამსა და შედეგად აღიარებულ რკინის ჩონჩხს, ეიფელს... მათ თვალწინ უჩვეულო სისწრაფით გარბოდნენ მხოლოდ პარიზის სილამაზისათვის

დამახასიათებელი დიდფანჯრებიანი ფასადები, აუარებელი სკვერები და ბაღები, კაფეები და ბისტროები, გაზეთებით შეფენილი ჯიხურები და ქუჩის მხატვართა მიერ აფერადებული ტილოები; მარადიულ სიყვარულს აღვივებდნენ დიდის ქალაქის ქუჩებში მოსიარულე პარიზელთა ღამენათევი წყვილები...

მომეტეხული გულისძგერითა და ცრემლით სავსე თვალებით ექვთიმე თაყაიშვილი ემშვიდობებოდა მის ოცდაოთხწლიან სიცოცხლეს პარიზში, ემშვიდობებოდა ერთხანს ქართული საგანძურის დამცველ ვერსალის სასახლეს, ემშვიდობებოდა თითქმის მშობლიურ ლევილს, ემშვიდობებოდა იქ განსვენებულ ყოველ ქართველს, ემშვიდობებოდა ფრანგულ მიწას მიბარებულ მის უმშენიერეს მეუღლესა და ცხოვრებისეულ თანამებრძოლს, ნინო პოლტორაცკაიას!

ორლის აეროპორტში მანქანიდან გადმოსულ ექვთიმე თაყაიშვილი ერთხანს შეჩერდა და ფეხი ვედარ გადადგა.

- როდესაც ე. თაყაიშვილმა ფეხი შედგა ტრაპზე, მესაუბრებოდა შ. ამირანაშვილი, ბატონმა ექვთიმემ ღიმილნარევი სევდით შემომხედა და მითხრა: „ეს ჩემი პირველი მგზავრობაა აეროპლანიტ... და ალბათ უკანასნელიც!“.

1945 წლის 5 აპრილს, აეროპორტ ორლიდან ერთმანეთის მიყოლებით (ნეხევარსაათიანი ინტერვალის დაცვით) აფრინდა სამი თვითმფრინავი „ილ-14“ და მათ გეზი საქართველოსაკენ აიღეს, მარშრუტით: რომი-ბენგაზი-კაირო-თბილისი.

- თვითფრინავში, სიხარულის განცდასთან ერთად, სვედაც შემოურია ბატონ ექვთიმეს, განაგრძო ჩემთან საუბარი შ. ამირანაშვილმა. - შვილებო! - მოგმართა, - ძალზე მოხუცი ვარ და გზაში თუ რაიმე ხიფათი შემემთხვა, სადმე უცხოეთის მიწაში არ ჩამტოვოთ! მკვდარი ჩამიტანეთ თბილისში და მშობლიურ მიწას მიმაბარეთ!

ამ სიტყვების მოსმენისთანავე ბატონმა პეტრემ მოხერხებულად შემოდგა ქართული კონიაკი სახელდახელოდ

გაშლილ სუფრაზე. სასიამოვნოდ მომღიმარმა რუსმა სტი-
ურდესამ ქართველებს ჭიქები დაუწყო. ჩამოასხეს კონიაკი
და ბატონ ექვთიმეს დიდი ხნის სიცოცხლე უსურვეს.

- მე და პეტრემ, გაიხსენა შ. ამირანაშვილმა, კონიაკი
რუსულად გადაგვართ, ხოლო ბატონი ექვთიმე ევროპულად
აგემოვნებდა ამ დიდებულ სასმელს და ტუჩებზევე სიამ-
ოვნებით იშრობდა.

ჩვენს ძვირფას ექვთიმე თაყაიშვილს მთელი გზა ხელ-
ში ჰქონდა ჩაბლუჯული მცირე ზომის ყუთი, სადაც მოთ-
ავსებული იყო ყოველი ქართველისათვის სათაყვანებელი
ისტორიული ნივთი. ეს იყო თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი,
რომელიც ახლა ემიგრაციაგამოვლილ სხვა ნივთებთან ერთად
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმ-
წიფო მუზეუმშია დაცული. ყოველი ჩვენგანის აუცილებელი
ვალია, სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოინახულოს სახელო-
ვანი მეფე ქალის თამარის რვაასწლიანი ჯვარი, რომელიც
სამუზეუმო განძთან ერთად 1921 წელს გატანილ იქნა სა-
ფრანგეთში და 1945 წელს უვნებლად დაუბრუნდა საქარ-
თველოს, ჩვენი ძვირფასი თანამემამულის, ბატონი ექვთიმე
თაყაიშვილის თაოსნობით.

საუკუნო ხსენება და დიდება ქართველი ხალხის
ეროვნულ შვილს, წმინდანად აღიარებულ ღმრთისკაცს, ექვ-
თიმე თაყაიშვილს!

ა მ ი ნ !

„სამი საუნჯე“,
№2, 2013 წ.

პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
ბიძინა ლუტიძე
აკადემიკოს პაატა გუგუშვილის
სოციალური ბამოკვლევების შესახებ
(ეძღვნება პროფ. ბიძინა ლუტიძის ნათელ ხსოვნას)

რეზაზ ბოგონია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

წინათქმა. ბედმა მარგუნა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში (1953-1958 წწ.) მომესმინა ლექციები ისეთი გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტებისა, როგორიც იყვნენ: აკად. პ. გუგუშვილი და ვ. ჩანტლაძე, პროფესორები - ნ. იაშვილი, ი. ბაჯაძე, ა. ფანცხავა, ა. გოკიელი, ნ. ტყეშელაშვილი და სხვ. მათთან ერთად ჩემზე და სტუდენტთა უმეტესობაზე წარუშლელი კვალი დატოვა სრულიად ახალგაზრდა ლექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათ კანდიდატმა, დოცენტმა (შემდგომში პროფესორმა და აღიარებულმა მეცნიერმა) ბიძინა ლუტიძემ, რომელიც პირველკურსელებს ფილოსოფიას (დიალექტიკურ მატერიალიზმს) გვიკითხავდა. იგი იყო მეტად სიმპატიური, ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი, გაწონასწორებული პიროვნება, რომლის ყოველი ლექცია იყო მეტად მიმზიდველი და შთამაგონებელი, კითხულობდა ზეპირად, ყოველგვარი კონსპექტის გარეშე, იდეალურ კავშირს ამყარებდა 120-კაციან აუდიტორიასთან, თითოეული სტუდენტი დიდი გულისყურით უსმენდა და უმეტესობა ძირითადი დებულებების ჩაწერასაც ასწრებდა. იგი იყო შესანიშნავი ლექტორი-ორატორი, რომელიც თავისი ორიგინალური და დახვეწილი დიქციით, მანერითა და ხმის ტემბრით, ადვილად იპყრობდა აუდიტორიის ყურადღებას. იგი მაშინ, ალბად, 26-28 წლის იქნებოდა, თუმცა, დარბაისლური აღნაგობისა და ჩამოყალიბებული სტაჟიანი

ლექტორის შთაბეჭდილებას ტოვებდა - მაღალი შინაგანი ინტელექტით, კეთილადამიანური თვისებებით, თბილი და მოსიყვარულე ხასიათით.

საინტერესო და მიმზიდველი იყო სემინარული მუშაობაც მისი ხელმძღვანელობით, რის დამადასტურებელ მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: 3-4 ლექციის შემდეგ, ერთ-ერთ აქტუალურ თემაზე, სემინარზე მოხსენების გაკეთება დამევადა. რა თქმა უნდა, ეს შეძლებისდაგვარად, დიდი პასუხისმგებლობით შევასრულე, თუმცა, რეგლამენტში (25 წუთი) ვერ ჩავეტე - შევჩერდი და ბატონ ბიძინას შევხედე... „თუ არ დაგიმთავრებიათ, გააგრძელეთ ყმაწვილო, გააგრძელეთ, სანამდისაც გნებავთ“. სიამოვნებით გავაგრძელე და 45 წუთში „ჩავეტე“. მეორე საათზე, რამდენიმე შეკითხვისა და 2-3 სტუდენტის გამოძახების შემდეგ, ლექტორმა დაწვრილებით მიმოიხილა ჩემი მოხსენება, ზოგიერთი შენიშვნა გააკეთა და მთლიანობაში მაღალი შეფასება მომცა. თანაც, მოხსენებაში ჩემ მიერ მოყვანილი ზოგიერთი უახლესი მასალის წარმომავლობაზე შემეკითხა. მე ვუპასუხე, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი ჟურნალის უახლეს ნომერში ამოვიკითხე-თქო. ამისთვისაც დიდი ქება დავიმსახურე... ზარი რომ დაირეკა, მანიშნა გარეთ გავყოლოდი, მცირე საუბრის შემდეგ ბრძანა: „თუ ისურვებ, სიამოვნებით გაგიწევ რეკომენდაციას ფილოსოფიის ფაკულტეტზე გადასაყვანად“ - მე ამ შეთავაზებას თავაზიანი მადლობით ვუპასუხე... სემესტრის დასასრულს გამოცდაზე ბილეთი ავიღე და მოკრძალებით ვკითხე - შეიძლება ახლავე გიპასუხოთ-თქო, ამაზე რეაგირების გარეშე, თითქოსდა, ჩემ შეუმჩნეველად, უწყისში „ფრიადი“ ჩამიწერა და მერე ბილეთის კითხვებსა და ზოგიერთ სხვა პრობლემაზე გამესაუბრა. ბოლოს დამარიგა: გააგრძელე ასე და უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, უსათუოდ ასპირანტურაში ჩააბარე, თუ აქ არ იქნება ადგილი, ეკონომიკის ინსტიტუტში მიბრძანდი, რომელსაც დიდი მეცნიერი და ასევე ახალგაზრდების დიდი

მომავალ პროფ. პ. გუგუშვილი ხელმძღვანელობსო. აქედან დაიწყო ჩვენი მეგობრობა, მეც დარიგებული გზით ვიარე და თუ რამეს მივადწიე მეცნიერებაში, ძვირფასი ბატონი ბიძინას წონადი წვლილიცაა.

PS. თავის დროზე დიდი ინტრესით გავეცანი პროფ. ბ. ლუტიძის მიერ 2000 წელს დაწერილ გამოკვლევას - „პაატა გუგუშვილი - დიდი სოციოლოგი“, რომელიც დაიბეჭდა აკად. პ. გუგუშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში - „პაატა გუგუშვილი - 100“, თბ., 2005). მკითხველს მოკლედ ვთავაზობ ჩემ შთაბეჭდილებებს აღნიშნული ნაშრომის გარშემო.

აკად. პ. გუგუშვილი რომ ქართველი ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქი და მრავალმხრივი, უკიდვანო შემოქმედებითი მეცნიერული მოღვაწეობით გამორჩეული პიროვნება იყო, ეს არა მარტო მშობლიურ ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ფართოდაა ცნობილი. ამის შესახებ მეტყველებს მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომის საყოველთაო აღიარება, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული, სწორედ პროფ. ბ. ლუტიძის ზემოაღნიშნული ნაშრომია. მისი სათაურიც ამაზე მიგვანიშნებს - „პაატა გუგუშვილი - დიდი სოციოლოგი“. ავტორი ჯეროვნად აფასებს მის მეცნიერულ დამსახურებას ამ სფეროში და გამოკვეთილად წერს: „პაატა გუგუშვილი - ეკონომიკური მეცნიერების ბურჯი საქართველოში, ამასთანავე, სოციოლოგიურ გამოკვლევათა სწორუპოვარი მამამთავარიც იყო“ (გვ. 107). თითქოსდა, ამით ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ მაინც, პროფ. ბ. ლუტიძის აღიარებით, გამოვეყოფ ზოგიერთ მთავარს, რითაც პ. გუგუშვილმა დიდი წვლილი შეიტანა სოციოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარებაში.

ჯერ ერთი, სოციოლოგია სოციალისტური სისტემის სივრცეში, და განსაკუთრებით - საბჭოთა იმპერიაში, არ სარგებლობდა დამოუკიდებელი მეცნიერების სტატუსით. უფრო მეტიც, დასავლური სოციოლოგიური თეორიები იდენტიფიცირებული იყო ყალბ, რეაქციულ, ანტიხალხურ

რეზიუმე

ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან. ასეთ ვითარებაში, პროფ. ბ. ლუტიძის აზრით, საქართველოსა და მთელ საბჭოურ სივრცეში, პაატა გუგუშვილი პირველთაგანი იყო, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია სოციოლოგიის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებაში;

მეორე, ავტორის დამაჯერებელი მტკიცებით, აკად. პ. გუგუშვილის დიდი ძალისხმევით, საფუძველი ჩაეყარა სოციოლოგიურ გამოკვლევებს საქართველოში. ცნობილია, რომ საბჭოთა იდეოლოგიის მარწმუნებით, პირდაპირი გზა ჩაკეტილი იყო შესაბამისი გამოკვლევებისათვის. მაგრამ, პ. გუგუშვილი ამას აკეთებდა შემოვლითი გზით, ეკონომიკურ მეცნიერებაზე დაყრდნობით. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თხზულება - „სოციოლოგიური ეტიუდები“, რომლის ქვეტექსტებში მწვავე ეროვნული და სოციალური მოტივებია ჩაქსოვილი, რასაც ჯეროვანი, მახვილგონივრული ყურადღება მიაქცია ბატონმა ბ. ლუტიძემ;

მესამე, დიდია აკად. პ. გუგუშვილის დამსახურება სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, მნიშვნელობის დასაბუთებაში. როგორც პროფ. ბ. ლუტიძე წერს, პ. გუგუშვილისათვის სოციოლოგია, ანუ საზოგადოებთმეტყველება არის მცნიერება საზოგადოების როგორც მთლიანი სისტემის, ასევე საზოგადოებრივ მთელთან ორგანულად დაკავშირებული მიკროობიექტების საერთო კანონზომიერებათა შესახებ;

მეოთხე, ავტორის აზრით, აკად. პ. გუგუშვილმა სოციოლოგიური გამოკვლევები დააფუძვნა საკუთარ ეკონომიკურ გამოკვლევებსა და მის შედეგებზე, დიდი წარმატებით ორივე დარგში, რაც იშვიათი შემთხვევაა არა მარტო ქართული, არამედ მთელი მეცნიერული აზრის ისტორიაში. უფრო მეტიც, სოციოლოგიისა და ეკონომიკის ურღვევი კავშირის რწმენითაა აღსავსე პ. გუგუშვილის

შემოქმედება;

მესუთე, მე-XX საუკუნის ქართული სოციოლოგიური აზროვნება დიდადაა დაგალებული პ. გუგუშვილისგან იმ მხრივაც, რომ სწორედ მისი დიდი ძალისხმევით ჩამოყალიბდა საქართველოში თეორიული და გამოყენებითი სოციოლოგიის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: ეკონომიკური სოციოლოგია, სოციალური დემოგრაფია, ოჯახის სოციოლოგია, ახალგაზრდობის სოციოლოგია, მოსახლეობისა და თავისუფალი დროის სოციოლოგია, სოციოლოგიის ისტორია, სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია;

მეექვსე, დიდაა აკად, პ. გუგუშვილის დამსახურება დასავლეთის მოაზროვნეთა სოციოლოგიური შეხედულებების ქართველი მკითხველისათვის გაცნობის მეტად რთულ საქმეში, თეორიებისა, რაც არამც თუ ფართო საზოგადოებისათვის, არამედ ვიწრო სამეცნიერო წრებისათვისაც კი თითქმის უცნობი იყო. ამას იგი ახერხებდა აღნიშნული თეორიების „რეაქციულ“ ხასიათზე ფორმალური მითითებებით, მაგრამ სწორედ ასეთნაირად მიჰქონდა ქართველ მკითხველამდე სოციოლოგიის მეცნიერულობა, მისი როგორც თეორიული, ასევე პრაგმატული მნიშვნელობა. ამ მხრივ აღსანიშნავია დასავლეთის თანამედროვე სოციოლოგიური კვლევა-ძიების მთავარი შედეგების შეფარული დახასიათება პ. გუგუშვილის სხვადასხვა ნაშრომში: „სოციოლოგიური ეტიუდები“ (ტ.1, თბ., 1970, ტ. II, 1971), „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ“ (თბ., 1966), „ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები“ (თბ., 1981), „საყოველთაო ენის სოციოლოგიური ასპექტები“ (თბ., 1969) და ა.შ.

მეშვიდე, პ. გუგუშვილმა თავის მრავალ ნაშრომში, აღიარებული „პარტიული“ კურსის საწინააღმდეგოდ, დაასაბუთა სოციოლოგიური მეცნიერების დარგობრივი განვითარების აუცილებლობა. იგი დიდი სიმპათიითაა განწყობილი ამ მიმართულებით დასავლეთში გავრცელებული აზრის მიმართ, რითაც აღიარებულია ინდუსტრიული

რევაზ გოგონია

სოციოლოგია, სამართლის, რელიგიის, ხელოვნების სოციოლოგია, თავისუფალი დროის და მოცალეობის სოციოლოგია, პროფესიის სოციოლოგია და სხვ. ამ მხრივაც დიდია პ. გუგუშვილის დამსახურება, რომელიც თავად გვაძლევდა დარგობრივ სოციოლოგიაში კვლევის ბრწყინვალე ნიმუშებს (მაგ. სოციოლოგიურ დემოგრაფიაში);

მერვე, პროფ. ბ. ლუტიძის აზრით, აკად. პ. გუგუშვილმა უაღრესად საინტერესო ნაშრომები შექმნა მსოფლიო და ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიის მიმართულებით. მათ შორისაა: შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას სოციოლოგიური შეხედულებები და ა.შ. ეს ნაშრომები, ავტორის აზრით, აღტაცებას იწვევს მეცნიერული და პატრიოტული სულისკვეთებით.

დასასრულ, როგორც პროფ. ბ. ლუტიძე გულისტკივილით ასკვნის, ჯეროვნად არ არის შესწავლილი და შეფასებული აკად. პ. გუგუშვილის სოციოლოგიურ-ეკონომიკური მემკვიდრეობა, რომ გვაკლია ქართული სოციოლოგიური იდეოლოგიის გუგუშვილისეული, ე.ი. ბრძნული ეკონომიკური პოზიციიდან ხედვა. თუმცა, აკად. პ. გუგუშვილი, ისევე როგორც ყველა, ვისაც გარდაცვალების შემდეგ ამადლება უწერია, ქვეყნისა და ერის წინაშე, გაწეული დვაწლის გამო, ბედნიერია.

და თქვენც, ბატონო ბიძინა, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო და უფროსო მეგობარო! - თუმცა შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში დატოვეთ წუთისოფელი მაგრამ, როგორც ბრწყინვალე ფილოსოფოსი და დიდ მოღვაწეთა მეცნიერული მემკვიდრეობის ობიექტური შემფასებელი, ბედნიერთა რიცხვში გვეგულებით.

Political Instability and Economic Turbulence in Georgia

Iasha Meskhia

Dr of Economic Science,

Full Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Head of International Business Department

Since reestablishment of state independence in Georgia political processes have been developing in a contradictory way and the country has been finding itself in instability all the time. Revolutionary as well as “Rose” changes divided society in two extremely confronted parts, which in turn broke establishment of democratic and legal state. In recent history of Georgia (October 2012) on the background of an acute political hostility it was for the first time that the government has been changed on the basis of peaceful parliamentary elections. However, ideological incompatibility between the former and new government formed “double government” so called diarchy, which caused negative impact on country’s economic development. On the basis of analyses of political-economic environment at the transitional stage of governmental changes, the following study aims to manifest new economic challenges, to identify strong and weak points of current economic conditions and to draw out recommendations for further improvement of existing conditions.

Reluctance of Political Defeat and Revanchist Policy

After parliamentary elections process of governmental changes has been delayed in Georgia. Having different political ideology and attitudes, President and Prime-Minister’s as well as their political parties’

co-existence (cohabitation) faced serious problems. In fact, the following situation was formed in the country: winner coalition (“Georgian Dream”) became a ruler of executing authority, including having a power-control on some part of state law enforcement agencies. But under the control of defeated party (“National Movement”) remained Judicial System, the Security Council, the State Audit Office, the National Bank of Georgia, local self-governments (attorney-governor’s institute), the Diplomatic Corps, the Regulatory Agencies, the large part of mass media (especially electronic) and so on.

So, the parliamentary formation of the country has developed in such a way that neither side has constitutional majority. The situation became extremely tense as according to the constitution, President had the right to dissolve the parliament and to dismiss government while to recruit the latter without permit of the parliament. Although, an agreement was achieved between sides and necessary amendments have been made in the constitution which limited the power of the president. However, this circumstance was not followed by any compromise from any side. Thus confrontation between sides aggravated more.

✓ სოფლის მეურნეობის დარგი წინა პლანზე იქნა წამოწეული და მისი ბიუჯეტი გაიზარდა 60%-ით, შეიქმნა 1 მილიარდიანი ფონდი, ამოქმედდა შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა, დაიწყო სამკომპონენტო კრედიტების გაცემა;

✓ ეკონომიკის აღორძინება-განვითარების მიზნით

იამა მუსხია

მთავრობის ინიციატივით დაიწყო საინვესტიციო ფონდების შექმნა;

✓ დაიწყო ახალი და გრძელდება ადრე დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

✓ შეიქმნა დემოგრაფიული აღორძინების ფონდი, რომლის მიზანია ქვეყანაში შექმნილი მიიმე დემოგრაფიული ვითარების დარეგულირება;

✓ დაიწყო მუშაობა ქვეყნის შიგა სახელმწიფო ვალად აღიარებული ძველი საბჭოთა ანაბრების მოსახლეობისათვის დაბრუნების საკითხზე.

ამრიგად, არახელსაყრელი პოლიტიკური გარემოს მიუხედავად, ახალმა ხელსუფლებამ ამ მოკლე დროში საკმაოდ გაბედული ნაბიჯები გადადგა. ამავ დროს უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს წინასაარჩევნო დაპირებებისა და სამთავრობო პროგრამის საკმაოდ დიდი ჩამონათვალი, რაც ჯერჯერობით რეაგირების გარეშეა და ხელისუფლების (ამ შემთხვევაში პარლამენტისა და მთავრობის) მომავალ სამოქმედო გეგმაში რჩება. მათ შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

✓ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ბიზნესის ხელოვნური მონოპოლიისაგან გათავისუფლება;

✓ არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები საკუთრების დაცვის, წარსულში ამ სფეროში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების სამართლებრივი შეფასების მიმართულებით;

✓ დასაქმების მხრივ შენარჩუნებულია სტაგნაციური მდგომარეობა;

✓ არ გააქტიურებულა მუშაობა გარე და შიგა ინვესტორების წახალისების მიმართულებით;

✓ არ განხორციელებულა უხარისხო საქონლისა და დემპინგური ფასებისაგან ადგილობრივი ბაზრის დაცვის ღონისძიებები და ა.შ.

ხელისუფლებამ უახლოეს პერიოდში უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო პროგრამა, რომელშიც გაიწერება პრიორიტეტული ამოცანები, მათი შესრულების გრაფიკი, შემსრულებლები და ფინანსური წყაროები.

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ეკონომიკური ზრდის მთავარ განმაპირობებელ დარგებს –სოფლის მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, ვაჭრობას და ტურიზმს. საჭიროა მთავრობის მუშაობის გააქტიურება უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ინვესტიციური ფონდების დროულად ამოქმედება ან ახალი ინვესტიციური ბანკის შექმნა. ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ფინანსური მექანიზმების ამოქმედება დეფლაციის ნიველირებისა და ეკონომიკაში ფულის მიწოდების გადიდების მიმართულებით. რეფორმების გატარებაში საჭიროა მეტი სისწრაფე და გაბედულობა. უმთავრესი ამოცანაა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა, სამართლიანობის დამკვიდრება და საკუთრების გარანტიების შექმნა.

Bibliography

1. Resolution on Basic Directions of Georgia's Foreign Policy, Parliament of Georgia, 21 March, 2013; http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=3136%3Aresolution&catid=54%3Astatements-appeals-and-resolutions&Itemid=88&lang=ge
2. Papava, V., Economic is a Victim of Cohabitation. <http://www.ambebi.ge/ekonomika/79983-qekonomika-koshasbistascisas-emsskhversplaq.html>
3. Khaduri, N., This Year State Budget Will Cover All Planned Expenditures. <http://www.interpressnews.ge/ge/ekonomikis-da-biznesis-siakhleebi/245743-nodar-khaduri-sakhelmtsifo-biujetidantsels-dagegmili-yvela-kharji-daifareba.html>
4. Meskhia, I., Economic Challenges in Failed Political Cohabitation. "Economy and Legislation", N2, 2013; https://www.facebook.com/permalink.php?id=193700547372362&story_fbid=457180151024399
5. Kirvalidze, D., Agriculture Is The State Priority for The

First Time in The History of Georgia. <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/70751-dasvith-kirsvaslisdze-qpirsveslad-isstos-risasshi-sofslis-mesursnesosba-saskhelsmtsifos-prisosristestisaq.html>

6. Kovzanadze, I., "Partnesrship Fund" Invests in Every Priority Sector of The Country. *Banks and Finances* N 328, 2013;

7. Narmania, D., None of The Projects Have Been Stopped <http://www.kvirispalitra.ge/economic/16536-davith-narmania-arc-erthi-proeqti-ar-shecherebula.html>


8. Kadagidze, G., (2013). Forecasted Economic Growth May Be Decreased <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=43125>

9. EBRD Decreases Forecasted Economic Growth of Georgia. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26865>

10. Financial Times: Confidence toward Georgia Falls after Elections. <http://www.bfm.ge/politics/5764-financial-times-bbbbbbbbbb-bjobbbbb-bbbbbbbbbb.html>

11. Gakharia, G., There Are Problems in Governmental Management. <http://www.bfm.ge/politics/5716-gaxaria.html>

12. Kvirikashvili, G., 6 % Economic Growth May Be Expected To Be Unrealistic. <http://www.interpressnews.ge/ge/ekonomikis-da-biznesis-siakhleebi/245553-giorgi-kvirikashvili-6-iani-ekonomikuri-rdis-mightseva-albath-ararealisturi-iqneba.html>



მამია ჭუბავურიძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

„სახელმწიფოს შეუძლია გარკვეულ საზღვრებში მიეხმაროს ეკონომიკას, ხოლო მისი შესაძლებლობები – ზიანი მიაყენოს მას – განუსაზღვრელია... სახელმწიფოს ზრდა, ეს ჯერ კიდევ არ არის საბაზრო ეკონომიკის დასასრული“.

ჯ.მ. კეინზი, დიდი ინგლისელი ეკონომისტი (1883–1946)

„მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესება“.

გ. მენქიუს ეკონომიკის 10 პრინციპიდან №7 პრინციპი

ზოგადად, ფართო გაგებით, ეკონომიკური საქმიანობის თვითრეგულირება და რეგულირება ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთობას ასახავს. როდესაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის თვითრეგულირებაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ბაზარი წარმოადგენს თვითრეგულირებად ორგანიზმს, რომელსაც საკუთარი საბაზრო მექანიზმების ძირითადი ელემენტებით და ინსტრუმენტებით (მოთხოვნა–მიწოდება, კონკურენცია, თავისუფალი ფას-წარმოქმნა) წარმატებით შეუძლია გადაჭრას საზოგადოების წინაშე მდგარი სამი მთავარი ამოცანა: რა აწარმოოს, როგორ

აწარმოოს და ვისთვის აწარმოოს.

ამასთან ერთად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს ეკონომიკური პრობლემები, პერიოდულად იქმნება ისეთი სიტუაციები და გარემოებები, რომელთა გადაჭრა ბაზარს მხოლოდ საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად, გარედან ჩარევის გარეშე, სახელმწიფოს დაუხმარებლად, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების გარეშე არ შეუძლია. ამიტომ, რეგულირებაში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება იგულისხმება.

წარმოდგენები სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ცვლილებებს განიცდიდა კონკრეტული ისტორიული ვითარების შესაბამისად. თანამედროვე პირობებში კი ის ერთ-ერთ საკვანძო, აქტუალურ საკითხთა წრეს განეკუთვნება და დისკუსიის საგანსაც კი წარმოადგენს. უფრო მეტიც, ეკონომიკური თეორიის სკოლები, მიმართულებები და მიმდინარეობები ერთმანეთისაგან უმთავრესად ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხით განსხვავდებიან.

სპეციალურ ლიტერატურაში სახელმწიფოს მრავალი განმარტება გვხვდება, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ლაკონურია გერმანელი ეკონომისტის, ისტორიკოსის, იურისტის და სოციოლოგის, ეკონომიკური თეორიის გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლის მაქს ვებერის (1864–1920) განმარტება: სახელმწიფო არის ლეგიტიმური ძალადობის აპარატი. (ტერმინი „ლეგიტიმური“ ლათინურად „დაკანონებულს“, „კანონით აღიარებულს“ ნიშნავს). გამოდის, რომ მოსახლეობა ნებაყოფლობით დელიგირებს სახელმწიფოზე, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს კანონიერი ძალადობის უფლება („დელიგირება“ ნიშნავს „უფლებათა რწმუნების გადაცემას“).

ამკარაა, რომ მოსახლეობის თანხმობა დაემორჩილოს ძალადობას (ზეწოლას) სახელმწიფო ორგანოების მხრიდან – შეიძლება მიღწეულ იქნეს ორი მეთოდით: იმულებითი მეთოდით, როცა მოცემული ქვეყნის მოსახლეობას იპყრობს უცხო

ქვეყანა და დარწმუნების მეთოდით, როცა სახელისუფლო ძალადობა ლეგიტიმურია, მიღწეულია ნებაყოფლობით, მოსახლეობის უმრავლესობის თანხმობით. აღნიშნული პრობლემის კომპლექსური განხილვის მიზნით საჭიროა ერთმანეთისაგან განსვასხვავოთ სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო.

სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება ადამიანთა ერთობიდან, რომელთაც სახელისუფლებო ურთიერთობებთან (სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი საჯარო-სახელისუფლო ნორმები, პროცედურები) ერთად აერთიანებს სისხლით ნათესაური, ოჯახური, ენობრივი, ეთნიკური, რელიგიური, პროფესიული და სხვა კავშირები. ამავე დროს, ერთობის ეს განსხვავებანი საზოგადოების ცალკეულ ფენებს უქმნიან პარტიკულარულ, ანუ კერძო ინტერესებს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოება ასახავს მისი წევრების როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ (კოლექტიურ) და ეროვნულ ინტერესებს, ახდენს მათ რეალიზაციას. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესები შეიძლება ერთმანეთს სრულად არ ემთხვეოდეს, არ იყოს იდენტური, გარკვეული კონფლიქტებიც არაა გამორიცხული. მიუხედავად ამისა, ნორმალური, დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია განვითარებადი სამოქალაქო საზოგადოების გარეშე. აქედან გამომდინარე, განვითარებადი სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს სოციუმის¹ შემადგენელ ნაწილს, ურომლისოდაც სახელმწიფოებრივი წინსვლა-განვითარება შეუძლებელია.

ათწლეულების მანძილზე იდგა სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, დამატებით იძენდა და მდიდრდებოდა ისეთი პრინციპებით, როგორიცაა: პოლიტიკურ პლურალიზმზე დამყარებული დემოკრატია, კონსენსუსი და პარტნიორობა, სამართლებრივი ნორმებით განმტკიცებული სახელისუფლო ძალაუფლების შეზღუდვა, ადამიანის პიროვნული თავისუფლების გაფართოება და სხვა.

1 სოციუმი ადამიანთა ჯგუფია, რომელიც ხასიათდება სოციალური, კულტურული, ეკონომიკური ცხოვრების ერთობით.

იურიდიული თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანთა ერთობა, რომლის წევრებს გააჩნიათ ან არ გააჩნიათ საკუთრება, თავიანთ თავს თვლიან მოცემული ქვეყნის მოქალაქეებად, რაც იურიდიულად დადასტურებულია სათანადო სახელმწიფო ორგანოების დოკუმენტებით.

პოლიტიკური თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანთა ერთობა, რომლის წევრები ერთნაირად არ აღიქვამენ თავიანთ კონსტიტუციურ უფლებებსა და მოვალეობებს. ერთი ნაწილი – დაუინებით იცავს თავის უფლებებს, მეორე ნაწილი – მოკრძალებულად, მესამე ნაწილს – საერთოდ არა აქვს წარმოდგენა უფლება-მოვალეობების შესახებ. ასევე ერთნი – ნებაყოფლობით ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, მეორენი – ასრულებენ დასჯის შიშით, მესამენი – ცდილობენ საერთოდ არ შეასრულონ იგი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იურიდიულად ყველა არის მოქალაქე, მაგრამ ყველას ერთნაირი წარმოდგენა არა აქვს საკუთარ მოქალაქეობრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, ანუ არა აქვთ სათანადო მოქალაქეობრივი კულტურა.

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანთა, სოციალურ ფენათა ერთობლიობა, სადაც თითოეულს გააჩნია საკუთარი კერძო, ეკონომიკური ინტერესები და ნებაყოფილობით ერთიანდებიან რაიმე ინსტიტუტში (გაერთიანებებში) საქონელსა და მომსახურებაზე საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. როგორც წესი, ეს ორგანიზაცია საწყის ეტაპზე არაკომერციული ორგანიზაციის სახით გვევლინება, მაგრამ, როცა ეს გაერთიანება (მაგალითისათვის: პირველი კოოპერატივები, ამხანაგობები და სხვ.) მიღწევს გარკვეულ წარმატებებს, ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას საქონელსა და მომსახურებაზე, მიმზიდველი ხდება ბიზნესისთვის, სახელმწიფო იწყებს მასზე ზრუნვას სხვადასხვა ფორმით: საკანონმდებლო-ინსტიტუციური, საგადასახადო – ფინანსური მხარდაჭერა და სხვა. ამგვარად, სახელმწიფო უკვე ხდება ეკონომიკური საქმიანობის რეგულატორი. ესაა ეკონომიკის, ეკონომიკური (სამეწარმეო) საქმიანობის სახელ-

მწიფოებრივი რეგულირების უმარტივესი მაგალითი მისი ჩასახვის საწყის ეტაპზე.

რაც შეეხება სახელმწიფოს ტიპს, იგი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ნებაყოფლობითია ლეგიტიმური ძალადობა ქვეყანაში. თუ მოსახლეობის უფლებები და მოვალებები ზემოდანაა თავსმოხვეული მათი ინტერესების გაუთვალისწინებლად, მოსახლეობას აქვს საფუძველი, არ შეასრულოს ქცევის ეს წესები. აქ საქმე გვაქვს სახელმწიფოს ბიზანტიურ ტიპთან.

თუ მოსახლეობა ნებაყოფლობით ახდენს თავისი უფლებებისა და მოვალებების დელიგირებას სახელმწიფოზე, საკუთარი სურვილით თანხმდება ლეგიტიმურ ძალადობას სახელმწიფოს მხრიდან, საქმე გვაქვს სახელმწიფოს ლიბერალურ ტიპთან.

განსხვავებულად განიხილავდნენ სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ეკონომიკურ თეორიის ცალკეულ სკოლები, მიმართულებები, მიმდინარეობები. მერკანტილისტები (XVI-XVIII სს.) სახელმწიფოს ძირითად ამოცანად თვლიდნენ ვაჭრობის – განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის სტიმულირებას და გამოდიოდნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მომხრედ.

მერკანტილისტური პრაქტიკა, რომელიც თეორიაზე ადრე ჩამოყალიბდა, ეყრდნობოდა პრინციპს: “ნაკლები ვიყიდოთ და მეტი გავყიდოთ”. ამ პრინციპს ასახავდა ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაც, რომლის მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი ვალუტა მოეზიდა სხვა ქვეყნიდან. ასეთი პოლიტიკის განხორციელება მხოლოდ ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით ძნელი იყო. ამიტომ აუცილებელი გახდა ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება – სახელმწიფოს ჩარევა, ანუ ე.წ. ეკონომიკური პროტექციონიზმის პოლიტიკის განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან, რაც უმთავრესად საშინაო ბაზრის დაცვას და საგარეო ვაჭრობის წახალისებას ნიშნავდა. ასე, მაგალითად, ინგლისის ბაზარზე შესული უცხოელი ვაჭარი ვალდებული იყო ნავაჭრი თანხა მთლიანად დაეხარჯა ინგლისური საქონლის შექმენაზე. სახელმწიფოს სახელით ამ

დონისძიებებზე კონტროლს ახორციელებდნენ ე.წ. დამხველური “მასპინძლები,” რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ თითოეულ სავაჭრო გარიგებას (კოტრაქტს), ნავაჭრის ოდენობას და უცხოელ ვაჭართა სხვა ბიზნესქცევებს.

მოგვიანებით, მერკანტილისტურმა თეორიამ ტრანსფორმაცია განიცადა და პროტექციონისტული პოლიტიკა ფრიტრედერობამ, ანუ თავისუფალი ვაჭრობის, ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკამ შეცვალა.

კლასიკური ეკონომიკური თეორიის (ა.სმითი, დ.რიკარდო) თანახმად საბაზრო ძალების თავისუფალი თამაში ქმნის ჰარმონიულ წყობილებას. სახელმწიფომ კი უნდა შეასრულოს მხოლოდ “დამის დარაჯის” ფუნქცია, უზრუნველყოს ადამიანთა ყოფა-ცხოვრების უსაფრთხოება, მათი საკუთრების დაცვა. ეკონომიკა კი უნდა მართოს “უხილავემა ხელმა” – მოთხოვნა-მიწოდება, თავისუფალმა ფასებმა, კონკურენციამ, საერთოდ ბაზარმა. ეკონომიკაში სახელმწიფოს სრული ჩაურევლობის პრინციპი – *laissez faire* – არის სიმდიდრის შექმნის პირობა. სახელმწიფოს ჩარევა კი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ საყოველთაო კეთილდღეობას საშიშროება ემუქრება.

მარქსისტული ეკონომიკური თეორიის თანახმად (XIX საუკუნის შუა პერიოდი) კაპიტალის კონცენტრაციის ზრდა განაპირობებს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაფართოების ტენდენციას. ცნობილია, რომ გეგმიანი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის დროს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევამ ტოტალური ხასიათი მიიღო.

ნეოკლასიკოსებმა (ა.მარშალი, ა.პიგუ – XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი) მოთხოვნა – მიწოდების თეორიაზე დაყრდნობით წამოაყენეს მიკრო და მაკროეკონომიკური წონასწორობის, “უხილავე ხელის” ახალი ვარიანტი, რომელიც “ავტომატური წონასწორობის” თეორიითაა ცნობილი. ამ მიდგომის თანახმად, თავისუფალი ფასები სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ბაზარზე, მოქნილი ხელფასები შრომის ბაზარზე, სარგებლის საპროცენტო განაკვეთი ფულის ბაზარზე ავტომატურად უზრუნველყოფს წონასწორობას მოთხოვნა – მიწოდებას შორის როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თანამედროვე თეორია ძირითადად წარმოდგენილია კეინზელებით და ნეოკეინზელებით, თანამედროვე ნეოკლასიკოსებით – მონეტარისტებით და ნეოლიბერალებით. სწორედ მათი შეხედულებები დაედო საფუძვლად მაკროეკონომიკური სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორიას და პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1929-1933 წლების “დიდი დეპრესიის” პერიოდში ეკონომისტ-თეორეტიკოსები და პრაქტიკოსი მენეჯერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელია საერთო ძალისხმევა ეკონომიკური კრიზისის გასამკლავებლად სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის – ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ქმედითი მექანიზმის მეშვეობით. თეორიული საფუძველი და პრაქტიკული სახელმძღვანელო თანამედროვე ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროში არის დიდი ინგლისელი ეკონომისტის ჯ.მ. კეინზის ეკონომიკური მოძღვრება, რომელიც მან გადმოსცა თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში – “დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია” (1936წ.).

კეინზისა და კეინზელების პრინციპული პოზიცია, რომ მხოლოდ საბაზრო მექანიზმს არ შეუძლია უზრუნველყოს სტაბილური ეკონომიკური ზრდა და სრული დასაქმება. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში. კეინზელების მოდელი ეყრდნობა ერთობლივი ეფექტიანი მოთხოვნის სტიმულირებას კერძო კაპიტალის ინვესტირების წახალისების გზით და საზოგადოებრივი სამუშაოების გაფართოებას სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე.

კეინზელობა თავისი შინაარსით არაა მხოლოდ ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის იდეა, ესაა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების განსაკუთრებული კონცეფცია, რომლის მიზანია სტაბილური ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების უზრუნველყოფა, ხოლო ინსტრუმენტები – სახელმწიფო ბიუჯეტი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ჯ.მ. კეინზის შეხედულებებმა სრული გამოყენება პპოვა აშშ-ში, პრეზიდენტ რუზველტის მმართველობის დროს. შედეგად, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომისტთა უმრავლესობა

სობა უკვე თვლიდა, რომ აუცილებელია ბაზარს, “უხილავ ხელს“ შეუერთდეს “ხილული ხელიც” ანუ სახელმწიფოც, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებაც, მაგრამ უკვე 70-80-იან წლებში კეინზის თეორია მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა. სახელმწიფოებრივი რეგულირების ნაკლებეფექტიანობას უკავშირებდნენ მხარდ უმუშევრობას, ინფლაციურ პროცესებს, გაბერილ სახელმწიფო ხარჯებს, რიგი სახელმწიფო პროგრამის შეუსრულებლობას, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში. კეინზელების წინააღმდეგ “ამბოხს” ხელმძღვანელობდა თანამედროვე ნეოკლასიკური მიმართულების – “ახალი, თანამედროვე მონეტარისტული სკოლის” მთავარი იდეოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1976წ.), ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი მილტონ ფრიდმენი. თანამედროვე მონეტარისტები მხარს უჭერენ თავისუფალ კონკურენციას და მეწარმეობის განვითარებას, ეწინააღმდეგებიან ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კეინზის კონცეფციას. ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად ისინი საჭიროდ თვლიან სახელმწიფოს მხრიდან მიმოქცევაში და რეზერვებში არსებული ფულის მასის კონტროლს, ბიუჯეტის დაბალანსებას, საბანკო კრედიტზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის დაწესებას ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით.

მ.ფრიდმენის ეკონომიკური რეკომენდაციები გამოიყენეს რ.რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას. მას ეწოდა “რეიგანომიკა”. მ.ფრიდმენის წიგნს “არჩევანის თავისუფლება” რ.რეიგანმა წააწერა: “უნდა წაიკითხოს ყველამ, ვინც ამერიკის მომავლითაა დაინტერესებული”.

ნეოლიბერალური სკოლის მიმდევრების თანახმად, სახელმწიფოს ჩარევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. მინიმუმში ნიშნავს საჭიროების მიხედვით ჩარევას სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. სახელმწიფომ, მათი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, მაშინდელი დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ლუიდვიგ ერჰარდმა (1897-1977) ჩამოაყალიბა სოციალურად ორიენტირებული სა-

ბაზრო ეკონომიკის თეორია, რომელშიც გულისხმობდა თავისუფალ ფასებს, თავისუფალ კონკურენციას, მოთხოვნა-მიწოდებას, ეკონომიკის სოციალური მიმართულების სახელმწიფო გარანტიებს და მხარდაჭერას. გერმანელი ნეოლიბერალები სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციას ხატოვნად აღარებენ მსაჯის როლს ფეხბურთის მატჩის დროს (“ფეხბურთის გუნდის თეორია”) და შუქნიშნის როლს ქუჩაში ავტომანქანების მოძრაობის რეგულირებისას (“ქუჩაში მოძრაობის თეორია”).

როგორც უკვე ითქვა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრა მხოლოდ საბაზრო ურთიერთობებზე, ბაზარზე დაყრდნობით შეუძლებელია, საბაზრო მექანიზმები ვერ ახერხებს რესურსების ეფექტიან და ოპტიმალურ განაწილებას. ასეთ ვითარებას ბაზრის ფიასკო, ანუ ჩავარდნა ეწოდება. ამიტომ, მდგომარეობის გამოსასწორებლად, პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელი ხდება სახელმწიფოს („ხილული ხელის“) ჩარევა ეკონომიკაში. გამოყოფენ არაეფექტიანი სიტუაციის ოთხ ტიპს, რაც ბაზრის ფიასკოზე მიანიშნებს: 1. საზოგადოებრივი საქონელი; 2. გარეგანი ეფექტები (ექსტერნალიები); 3. ინფორმაციის ასიმეტრიულობა; 4. მონოპოლია. ეს საკითხები საკმაოდ კარგადაა გაშუქებული სასწავლო-სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში. [1, გვ.153-170]. აქ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ მონოპოლიაზე, ანტიმონოპოლიურ საქმიანობაზე, რამდენადაც საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ნორმალური, განსაკუთრებით საქონლისა და მომსახურების ბაზრის კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირება, რბილად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვნადაა შეწყველი ანტიმონოპოლიური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უქონლობის გამო.

დავიწყოთ იმით, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს ობიექტური ტენდენცია მონოპოლიზმისაკენ, რაც თვით ბაზრის განვითარების, კონკურენციისა და წარმოების კონცენტრაციის გაღრმავებით არის გამოწვეული. ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ მონოპოლიების განვითარებას გააჩნია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგები. მონოპოლიები ხელს უწყობენ სამეცნიერო-ტექნიკური პრო-

გრესის დაჩქარებას, ტექნიკური და ფუნდამენტური გამოკვლევების განხორციელებას თავიანთი უდიდესი ფინანსური შესაძლებლობების ხარჯზე, არც თუ იშვიათად წარმოების ხარჯების შემცირებით ახორციელებენ პროდუქციის გაიაფებასაც, რაც მცირე წარმოებას ყოველთვის არ შეუძლია. პარალელურად, მონოპოლიებს შეუძლიათ და აქვთ მიდრეკილება, განახორციელონ ფასების მონოპოლიური ზრდა, ფასისმიერი დისკრიმინაციის ხარჯზე კონკურენციის შეზღუდვა, რესურსებისა და შემოსავლების არათანაბარი განაწილება და ამით ხელი შეუწყონ საზოგადოების დიფერენციაციას. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრისა და კონკურენციის დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. სწორედ ამ მიზნით ახორციელებს სახელმწიფო მონოპოლიების საქმიანობის კონტროლს და რეგულირებას, ანუ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა გულისხმობს არა მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ კონკურენციის, საბაზრო მექანიზმისა და საბაზრო ურთიერთობების ყოველმხრივ დაცვასა და განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან.

ისტორიულად, ქვეყანა, სადაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები კანონმდებლობით განმტკიცებულყო თავისუფალი კონკურენციის დაცვა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები. 1888 წელს სენატორმა რესპუბლიკური პარტიიდან ჯონ შერმანმა სენატში შეიტანა პირველი ანტიტრესტული კანონპროექტი. 1890 წელს კი პრეზიდენტმა ჰარისონმა კანონს ხელი მოაწერა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი 120-ზე მეტი წლის წინათ იქნა მიღებული, იგი დღემდე რჩება აშშ-ის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ბაზად. საინტერესოა კანონის I განყოფილება, რომლის თანახმად კონკურენციის შეზღუდვის ნებისმიერი პრაქტიკა ბაზარზე აკრძალულია. ჯარიმის თანხა 50000 დოლარიდან გაზარდა 1მლნ დოლარამდე 1974 წელს და 10მლნ დოლარამდე 1992 წლისათვის. II განყოფილებაში ფირმების ანტიკონკურენტული საქმიანობა მიჩნეულია სისხლის სამართლის დანაშაულად და ითვალისწინებს 3 წლამდე პატიმრობას, 1მლნ დოლარის ჯარიმას

კომპანიისათვის და 100 ათას დოლარს კერძო პირისათვის.

კანონი კომპანიის ლიკვიდაციასაც ითვალისწინებს.

1914 წელს მიღებული იქნა კლვიტონის ანტიტრესტული კანონი. ამ კანონმა აკრძალა ფირმების შერწყმა კონკურენციის საზიანოდ. 1976 წელს კანონი კიდევ უფრო გამკაცრდა, ფირმების შერწყმის განაცხადი, სათანადო მკაცრი დასაბუთებით შესაბამის ორგანოებს წინასწარ, 30 დღით ადრე უნდა წარედგინოს.

1936 წელს მიღებული იქნა რობინსონ-პეტმანის კანონი, რომელმაც აკრძალა ფასისმიერი დისკრიმინაცია და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააწესა მძარცველური ფასების დაწესების გამო.

აშშ-ის ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია ბაზრის ინფორმაციული უზრუნველყოფაც (ხარისხი, სტანდარტები, ვარგისიანობის გარანტიები, გამოყენების ინსტრუქციები და სხვა). აქ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ატარებენ ფედერალური და ადგილობრივი სასამართლოები, იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტული განყოფილება, ფედერალური სავაჭრო კომისია.

საინტერესო ანტიმონოპოლიური პოლიტიკაა საბაზრო ეკონომიკის სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც.

გერმანიაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ორგანოებია: ეკონომიკის სამინისტრო (საერთო ხელმძღვანელობა), კარტელების ფედერალური ორგანო (იხილავს კონკრეტულ საქმეებს), ანტიმონოპოლიური კომიტეტი (ექსპერტების კომიტეტი, რომელიც იძლევა რჩევებს და მოქმედებს როგორც საკონსულტაციო ორგანო). აქ კონტროლს ექვემდებარება: საწარმოს მთლიანი აქტივების შეძენა; ფირმის აქციების 25 და მეტი პროცენტის შეძენა; ყველა გარიგება, რომლითაც ფირმა თავის საწარმოებზე პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის შესაძლებლობას იძენს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლის თანახმად ფირმა ან ფირმათა ჯგუფი შეიძლება მიჩნეული იქნეს დომინირებულად ბაზარზე, ხასიათდება შემდეგნაირად: ერთი ფირმისთვის – ბაზრის $1/3=35\%$; სამი ფირმისათვის – არანაკლები 50% ; ხუთი ფირმისათვის – არანაკლებ $2/3=65\%$.

დიდ ბრიტანეთში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის კონტროლის ორგანოა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, შერწყმისა და მონოპოლიების კომიტეტი (საკონსულტაციო ორგანო); თავისუფალი ვაჭრობის კომიტეტი (ზედამხედველობს კონკურენტული პოლიტიკის გატარებას, აწარმოებს წინასწარ გამოძიებას). ფირმის დომინირებულად მიჩნევის კრიტერიუმია ბაზრის 25%. ანტიკონკურენტული საქმეების განხილვისას მხედველობაში მიიღება კონკრეტული ღონისძიების გავლენა ქვეყნის საგადასხდელო ბალანსზე და მოსახლეობის დასაქმებაზე.

იტალიაში ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ახორციელებს სპეციალური კონკურენციის კომისია, რომელიც იხილავს და იძიებს შესყიდვის, შერწყმის, დაფუძნების საქმეებს როგორც ფირმების, ასევე მათი ფილიალების მიხედვით. ჯარიმები ითვალისწინებს წლიური ბრუნვის 1-10%-მდე სხვადასხვა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში.

იაპონიაში ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას წარმართავს თავისუფალი ვაჭრობის კომისია და მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. იაპონელებს აქვთ საინტერესო მექანიზმი: გადაწყვეტილების მიღებამდე აწარმოებენ არაფორმალურ შეხვედრებს, საუბრებს, კონსულტაციებს და მხოლოდ შემდეგ იღებენ შერწყმის, გაერთიანების თუ სხვა სახეობების გადაწყვეტილებებს. დომინირებული შერწყმა ნებადართულია: დარგის კრიზისის შემთხვევაში; ქვეყნის საექსპორტო დავალებების შესრულების მიზნით; ეროვნული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად; დასაქმების ინტერესებიდან გამომდინარე.

საფრანგეთში მთავრობის გადაწყვეტილებით ნებადართულია დარგში 1-2 მსხვილი საწარმოს არსებობა, რომელსაც ევალება საშუალო და მცირე საწარმოების დაცვა. ასეთ ძლიერ ფირმებს უწოდებენ ეროვნულ ლიდერებს. სახელმწიფო ახორციელებს გარკვეულ დახმარებებს, თუ ფირმები ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკურ გამოკვლევებს, უშვებენ საექსპორტო პროდუქციას, ახდენენ კადრების მომზადებას, ახორციელებენ კერძო ფირმებიდან საქონლის შეძენას

და სხვა ღონისძიებებს. ანტიმონოპოლიური რეგულირების ორგანოებია კონკურენციის კომისია და ეკონომიკის სამინისტრო, რომლებიც შერწყმა-შეერთების კონტროლითაც არიან დაკავებული.

საქართველოში ანტიმონოპოლიური საქმიანობა რეგულირდებოდა სათანადო კანონმდებლობით – კანონით “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც პარლამენტმა მიიღო ჯერ კიდევ 1999 წლის 25 ივნისს. კანონით განსაზღვრული იყო მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სახეობები, რომელთაც შეიძლება გამოეწვიათ სხვა ეკონომიკური აგენტების ან მომხმარებლის ინტერესების შელახვა, კერძოდ: წარმოების მოცულობის შემცირება ან შეწყვეტა დეფიციტის შექმნის ან შემცირების ან ფასებზე ზემოქმედების მიზნით; სხვა ეკონომიკური აგენტების ბაზარზე შესვლის ან ბაზრიდან გამოსვლის ხელშემშლელი პირობების შექმნა; ბაზარზე ეკონომიკური აგენტისათვის დისკრიმინაციული პირობების შექმნა; მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესება და სხვა. კანონით გათვალისწინებული იყო ჯარიმები და სანქციები, მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.

ერთ-ერთი, რასაც კანონი არ ითვალისწინებდა, იყო ზღვრული ოდენობა ფირმის მონოპოლისტად ჩათვლის მიმართულებით. ტრადიციულად ასეთ ზღვრულ ზომად სხვა ქვეყნებში მიჩნეულია 35%-ზე მეტი ბაზრის საერთო მოცულობაში.

მიუხედავად ამისა, კანონი არსებითად პასუხობდა ანალოგიური კანონის საერთაშორისო სტანდარტებს. შემდგომში, საბაზრო ეკონომიკის არასწორი ინტერპრეტაციისა და ლიბერალური ეკონომიკის დამკვიდრების მოთხოვნით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა გაუქმდა. ეს ხელისუფლების მხრიდან დაშვებული შეცდომა იყო და რაც პრაქტიკამაც დაადასტურა – დღეისათვის პრაქტიკულად მონოპოლიზებულია საქონლისა და მომსახურების მრავალი დარგობრივი ბაზარი. ახალი ხელისუფლება ცდილობს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას. ამჟამად პარლამენტში მიმდინარეობს სათა-

ნაღო კანონშემოქმედებითი საქმიანობა ანტიმონოპოლიური კანონის პროექტზე.

დამატებით, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაზე როგორც ღონისძიებათა სისტემაზე, რასაც მთავრობა ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, შეიძლება ითქვას შემდეგი: მაგალითად, აშშ-ში ჯერ კიდევ 1914 წელს საბანკო-საფინანსო სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზნით შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა; 30-იანი წლების საყოველთაო კრიზისის დროს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფორმები და მეთოდები უფრო აქტიური გახდა; ყველა პრეზიდენტის სახელისუფლებო პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სახელმწიფოებრივ რეგულირებას, როგორცაა: ეკონომიკური ზრდა, წარმოების, დასაქმების, ინფლაციის დონეები, მკაცრი კონტროლი საბიუჯეტო ხარჯებზე და სამეწარმეო საქმიანობისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და დახმარება; პრეზიდენტმა ჯონსონმა ეკონომიკის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით (ბუნებრივია, იგულისხმება მაკროეკონომიკური რეგულირება) შექმნა სპეციალური ჯგუფი (კორპორაციის აღმასრულებელი კომიტეტის მსგავსი) თავდაცვის, ვაჭრობის, ფინანსთა მინისტრებისა და სახელმწიფო მდივნის მონაწილეობით. აქედან ფინანსთა მინისტრი ფოულერი თავისი ეკონომიკური შეხედულებებით ცნობილი კეინზელი იყო; 1969-1970 წლებში ნიქსონი იყო პირველი პრეზიდენტი, რომელმაც თავი კეინზის მიმდევრად გამოაცხადა.

თანამედროვე პირობებში, გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებასთან დაკავშირებით, ინფორმაციული რევოლუციის და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების გამო, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რეგულაციები ეკონომიკის პოტენციურ სფეროებში კიდევ უფრო იზრდება. სახელმწიფო სულ უფრო მეტ პასუხისმგებლობას კისრულობს ადამიანის პოტენციური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, რაც დასტურდება მრავალი ქვეყნის მაგალითზე, რომლებიც ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს გამო-

ყოფენ მეცნიერებაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სოციალურ განვითარებაზე. სახელმწიფოები სულ უფრო მეტად ცდილობენ ხელი შეუწყონ და შექმნან სათანადო პირობები ქმედითი ეკონომიკური გარემოსა და სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად.

ბოლოდროინდელმა, 2008-2009 წლების კრიზისმა, რომელიც დაიწყო ფინანსურ სექტორში და შემდეგ გავრცელდა ეკონომიკის რეალურ სექტორზეც, გააღრმავა სახელმწიფო ფინანსების დეფიციტი. 2008 წელს იმ ქვეყნების სახელმწიფო ვალის მოცულობა, რომელთაც კრიზისი შეეხო, 35 ტრლნ შეადგინა, რაც აჭარბებდა მსოფლიოს 7 ყველაზე მდიდარი ქვეყნის ეროვნული პროდუქტის მოცულობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით ბიუჯეტის ხარჯების მოცულობამ რეცესიის პერიოდში ეკონომიკის სტაბილიზაციის მხარდასაჭერად, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში 2014 წლისათვის შეიძლება მიაღწიოს მთლიანი შიგა პროდუქტის 120%-ს. [2, გვ.18] აქედან გამომდინარე, ეჭვს უკვე აღარ იწვევს ის გარემოება, რომ სახელმწიფო არა თუ უნდა დაეხმაროს ეკონომიკას კრიზისიდან გამოსვლაში ზოგადად, არამედ უნდა შეასრულოს ორგანიზატორული და მაკორდინებელი როლი, განსაზღვროს პრიორიტეტული სფეროები და მათი კრიზისიდან გამოყვანის რიგითობა და, რაც მთავარია, უზრუნველყოს ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ “დიდი ოცეულის” ანტიკრიზისულ პაკეტში საბიუჯეტო ხარჯების 2/3 ეძღვნება სოციალურ სფეროს, ბაზრის ინფრასტრუქტურას, უმუშევრობას, მცირე და საშუალო ბიზნესს, ეკონომიკის კონკრეტული დარგების დახმარების ღონისძიებებს. ანტიკრიზისული პროგრამა მთლიანად ეფუძნება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერების ღონისძიებებს.

ადვილი მისახვედრია, რომ ეკონომიკური თეორიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოსა და ბაზრის ბალანსი სულ უფრო მეტად იხრება სახელმწიფოს სასარგებლოდ. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ ბალანსის გაწონასწო-

რებას დღევანდელი დღის გამოწვევა უწოდა ამერიკელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ბაზრების ანალიზისა და ინფორმაციის ასიმეტრიულობის საკითხებში ჯ. სტიგლიცმა. [2, გვ.24]

უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1938 წელს, პარიზში შეიკრიბნენ ცნობილი ნეოკლასიკოსი ეკონომისტები, რათა დაეცვათ ლიბერალური ეკონომიკური თეორიის ძირითადი პოსტულატები სახელმწიფო რეგულირების კეინზური იდეებისაგან. მოგვიანებით ამ ფორუმს ნეოლიბერალებმა „ლიფმანის კოლოკიუმი“ უწოდეს ამერიკელი ეკონომისტის ა. ლიფმანის პატივსაცემად, რადგან მის წიგნში – „თავისუფალი ქალაქი“, წამოყენებული იდეები და ფორუმზე მიღებული ლიბერალიზმის დაცვის სხვადასხვა ვარიანტი ერთმანეთს ემთხვეოდა. სინამდვილეში მოხდა პირიქით, კოლოკიუმმა საკუთარი წვლილი შეიტანა ნეოკლასიკოსების დაშლა-დანაწევრებაში: მიზეხი, ჰაიეკი, რეპკე, ფრიდმენი გახდნენ ნეოლიბერალიზმის სხვადასხვა მიმართულების ფუძემდებელი თეორეტიკოსები, წამოაყენეს ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების სხვადასხვა ვარიანტი, ფაქტობრივად, კეინზური მიდგომის მოდიფიკაციით.

საბედნიეროდ, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს შორის არავინ მეგულება, ვინც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს დაკნინებული როლის მომხრე იყოს. სამაგიეროდ, ნაციონალური მოძრაობის სახელისუფლო იერარქია გაძეგბილი იყო ბენდუქიძის ხალხით, პატარა „ბენდუკებით“, რომლებსაც საღი აზრი არ გააჩნდათ იმის შესახებ, თუ რატომ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო ამა თუ იმ სტრუქტურას; რატომ გაზარდოს სახელმწიფომ თავისი ხარჯები იმ სფეროში, რომელიც მისი გასაკეთებელია (გზების მშენებლობა, მედიორაცია, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის მოგვარება და სხვ.); რატომ არ ჩაერიოს ეკონომიკის იმ ნაწილში, რომელსაც კერძო სექტორი უნდა არეგულირებდეს, რატომ უნდა ზრუნავდეს მთავრობა გარანტირებულ სასურსათო უზენებლობაზე, ქვეყანაში რატომ უნდა ფუნქციონირებდეს ანტი-მონოპოლიური სამსახური და რატომაა აუცილებელი ეკონო-

მიკის ისეთივე სახელმწიფოებრივი რეგულირება, როგორც ევროპაშია – მოხდენილად წერს აკადემიკოსი ვ. პაპავა. [4]. ამ აქტუალურ პრობლემებს მიუძღვნა თავისი საინტერესო ნაშრომი პროფესორმა ე. მექვაბიშვილმა [5].

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ლოგიკურად წამოიჭრება საკითხი ეკონომიკური თეორიის თანამედროვე „მეინსტრიმის“ შესახებ. ტერმინი „მეინსტრიმი“ ინგლისურად რომელიმე სფეროში გაბატონებულ თვალსაზრისს, ძირითად დინებას, მიმდინარეობას, მიმართულებას ნიშნავს. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ამერიკელი ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებელმა ტ. ვებლენმა (1857–1929) სტატიების სერიაში საერთო სახელწოდებით – „ეკონომიკური მეცნიერების ცრუ წარმოდგენები“, რომელიც ნეოკლასიკოსების კრიტიკას მიუძღვნა. ეკონომიკურ თეორიასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა დროს, ისტორიულად „მეინსტრიმის“ როლში სხვადასხვა მიმართულება და მიმდინარეობა გამოდიოდა. ასე, მაგალითად, XVI-XVII სს. დასასრულს – მერკანტილიზმი; XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში – კლასიკური ეკონომიკური თეორია; XVIII საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 20-იან წლებამდე – ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია; XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მეორე ნახევრამდე – კეინზი და ნეოკეინზელობა; XX საუკუნის მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე – ნეოკლასიკური სინთეზი. თანამედროვე გლობალიზაციასა და ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, „მეინსტრიმზე“ სულ უფრო მეტ პრეტენზიას აცხადებს ნეოკეინზელობა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შედარებით ახალი ვითარების შესატყვისი პოსტულატებით. თანამედროვე ნეოკეინზელებს, ხატოვნად ინტერვენციონალისტებსაც უწოდებენ. მთლად კორექტულად არ გვეჩვენება მოსაზრება, თითქოს კეინზი იყოს „მეინსტრიმის“ დამამთავრებელი ეკონომისტი და თეორიული – მეთოდოლოგიური პლურალიზმის მაცნე, მახარობელი. [6, ვკ.120].

ადრინდელი დავა კვლავ გრძელდება. ეკონომისტები პრაქტიკულად დაჯგუფდნენ ნეოლიბერალებად და ინტერვენციონალისტებად. დავის საგანი ადრინდელია – ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების დონე, ხარისხი, ფორმები და მეთოდები. საგულისხმოა ისიც, რომ სახელმწიფოს წარმონაჩენას მხოლოდ „ღამის დარაჯად“, პრაქტიკულად, მომხრეები აღარ ჰყავს და სახელმწიფოს თვლიან ეკონომიკის ქმედით რეგულატორად, ხოლო თანამედროვე საბაზრო ეკონომიკას განიხილავენ, როგორც შერეულ საბაზრო ეკონომიკას.

The State's economic role in the evolution of trends

M. Chumburidze

The work is dedicated to issues of self-regulation and regulation of market within conditions of market economy, state and economics relations, market fiasco and state regulation of economy. For that end the work analyses main schools of economic theory and directions. Conclusion had been drawn that the trend of strengthening of state regulation of economy within conditions of contemporary globalization represents objective reality. Consequently, contemporary “mainstream” of economic theory is Neokeinsism, followers of which are called artistically interventionalists.

გამოყენებული ლიტერატურა


1. Экономическая теория (политэкономия). Учебник под общ. ред. В. Видяпина и Г.Журавлёвой. М. 2004, стр.153-170;
2. ჟურნ. МЭ и МОБ 2010, №5, გვ.18;
3. Д. Стиглиц. Ревушие девяностие. Смена развала. М., 2005, გვ.24;
4. იხ. გაზ. „ვერსია,“ 16-17 თებერვალი, №19, 2008;
5. ე. მექვაბიშვილი, თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბ. 2012;
6. იხ. ჟურნ. „Вопросы экономики», 2008, გვ.120.

**მიკროეკონომიკის
კონკურენტუნარიანობა -
თანამედროვე მიღზომა**

ინეზა ბაზნიკე

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ასოციირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2008-2009 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში გამოაქვეყნა ინფორმაცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ახალი ინდექსის შესახებ. ახალი ინდექსის შემოღებას წინ უძღოდა 2004 წელს სამეცნიერო კვლევებში რამდენიმე ინდექსის გაერთიანება, პროფ. ჯ. საქსის (ზრდის კონკურენტუნარიანობის ინდექსი - **Growth Competitiveness Index**), პროფ. მ. პორტერის (ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი - **Business Competitiveness Index**) და პროფ. ხავიერ სალა-ი-მარტინის (გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი - **Global Competitiveness Index**) მიერ. ახალი ინდექსის განვითარების მიზნით, პროფ. მ. პორტერმა მოიწვია: პროფ. ს. შტერნი, პროფ. ა. ჩიკონე, პროფ. პ. ფაბრა, პროფ. მ. დელგადო და დოქტორი ქ. ქეთელსი [3, გვ.43-44]. აღნიშნულ ავტორთა მიერ შემოთავაზებული იქნა მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის სქემატური განსაზღვრა (იხ. სქემა 1) [3, გვ.45-46], საიდანაც **ნათლად ჩანს, რომ მეცნიერ-მკვლევარები კლასტერს განიხილავენ როგორც მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შემადგენელ ნაწილს.**



სქემა 1. მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიხედვით

ახალი ინდექსი მეკლევარებმა გაიაზრეს, როგორც მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ერთობლიობა. აღნიშნული ინდექსის გაანგარიშება მოიცავს 6 დონეს, რაც გამოსახულია სქემაზე - 2 [3, გვ.55]. (შენიშვნა: სქემაზე მესამე დონეზე და შემდგომ, გამოსახულია მხოლოდ მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონეები). შეფასების უმაღლესი (პირველი) დონეა გლობალური კონკურენტუნარიანობის ახალი ინდექსი.


მეორე დონეზე გამოიყოფა მაკროეკონომიკის და მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობა. მეკლევარები აღნიშნავენ, რომ „მაკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები შესაძლებლობებს ქმნის მწარმოებლურობისთვის, ხოლო მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები კი, პირდაპირ ზემოქმედებს კომპანიების მწარმოებლურობაზე“ [3, გვ.53].

მესამე დონეზე გამოიყოფა მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ოთხი ქვეინდექსი. მათ შორის მაკროეკონომიკის მიმართულებით გამოყოფილია ორი მათგანი, თავად **მაკროეკონომიკური პოლიტიკა** (ამ მიმართულებით არსებული ქვეინდექსები ძლიერ გავლენას ახდენს ეკონომიკის მოკლევადიან რყევებსა და მწარმოებლურობაზე გრძელვადიან პერიოდში), და **სოციალური ინფრასტრუქტურა და პოლიტიკური ინსტიტუტები** (Social infra-

structure and political institutions - SIPI), რომლის ინდიკატორები უფრო ზოგადად აღწერენ საზოგადოებრივ პირობებს და ინსტიტუტებს. მიკროეკონომიკის მიმართულებით არსებული ინდიკატორები ეხება კომპანიების მართვისა და სტრატეგიების განვითარების ხარისხს (**Company Operations and Strategy - COS**) და ნაციონალური ბიზნესგარემოს ხარისხს (**National Business Environment - NBE**).

მეოთხე დონეზე შეფასება მიმდინარეობს მესამე დონეზე არსებული ქვეინდექსების შემდგომი გრადაციის საფუძველზე, კერძოდ, მაკროეკონომიკური პოლიტიკის კატეგორიის ინდიკატორები დაჯგუფებულია ფისკალური პოლიტიკისა და მონეტარული პოლიტიკის მიმართულებით, ხოლო სოციალური ინფრასტრუქტურა და პოლიტიკური ინსტიტუტები იყოფა: კანონის უზენაესობის, ძირითადი ადამიანური უნარებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართულებით. მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასების მეოთხე დონეზე ნაციონალური ბიზნესგარემოს ხარისხის კატეგორიაში გამოიყოფა მ. პორტერის აღმასის წესის ოთხი მიმართულება: პირობები ფაქტორებისთვის, სტრატეგიისა და კონკურენციის კონტექსტი, მოთხოვნის მდგომარეობა, მონათესავე და ხელშემწყობი დარგები/კლასტერები.

მეხუთე დონეზე მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მიზნობრივი პოლიტიკის მოთხოვნებთან უკეთესად შესაბამისობის მიზნით, იყოფა უფრო ვიწრო ქვეკატეგორიებად. „პირობები ფაქტორებისთვის“ იყოფა შემდეგ მიმართულებებად: ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურა, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ადმინისტრირების ინფრასტრუქტურა და საინოვაციო ინფრასტრუქტურა. კომპანიების მართვისა და სტრატეგიების ინდიკატორები დაჯგუფებულია სტრატეგიისა და მართვის ეფექტიანობის, ორგანიზაციული პრაქტიკის და ფირმების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.



სქემა 2. გლობალური კონკურენტუნარიანობის შეფასების დონეები მიკროეკონომიკის მიმართულებით

შეფასების მექანიზმები - მანქანების, რომელთა რაოდენობა ანგარიშებში წლების მიხედვით იცვლება, 2008-2009 წლის* ინდექსი მოიცავდა 122 მანქანებელს, მათ შორის 87 გამოიყენებოდა მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობას შესაფასებლად [3, გვ.54].

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების დახასიათების მიზნით შევისწავლეთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში საქართველოს მიერ დაკავებული პოზიციები ბოლო ექვსი წლის მანძილზე. ცხრილში მოცემულია ფორუმის მიერ გამოკვლეული ქვეყნების რაოდენობა, მათ შორის საქართველოს მიერ დაკავებული პოზიცია ზოგადად და ინდექსის შემადგენელი გამსხვილებული მანქანებლების (მდგენელების) მიხედვით.

საქართველოს ეკონომიკის მანქანებლები გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2013 წლების ანგარიშების მიხედვით [3, გვ.168; 4, გვ.150; 5, გვ.162; 6, გვ.182; 7, გვ.174; 8, გვ.192-193]

ცხრილიდან ჩანს, რომ 2008-2009 წელს 134 გამოკვლეულ ქვეყანას შორის საქართველოს ეჭირა 90-ე ადგილი, ხოლო 2013-2014 წელს 148 ქვეყანას შორის იყო 72-ე ადგილზე, რაც გამოკვლეული ქვეყნების რაოდენობის ზრდის ფონზე, ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებზე მიუთითებს. გასულ წელს ქვეყანა გადავიდა განვითარების მეორე საფეხურზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა მიიღწეოდა მხოლოდ ძირითადი მოთხოვნების ხარჯზე (ფაქტორთა I ჯგუფი). ამას ვერ ვიტყვით ეფექტიანობის ამამაღლებელ ფაქტორებზე, რომელთა მიხედვით 6-დან 3 მათგანში სერიოზული უკუსვლა დაფიქსირდა. ასევე, მძიმე მდგომარეობაა ინოვაციურობისა და განვითარების ხარისხის ფაქტორების მიხედვით (ფაქტორთა III ჯგუფი), სადაც მდგომარეობის გაუარესება შეინიშნება (109-დან 122-ე ადგილი).

№	ფაქტორთა ჯგუფები და მდგენელები	წ ლ კ ბ ი							
		2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012	2012-2013	2013-2014		
	სულ გამოცემული ქმეჩების რაოდენობა	134	133	139	142	144	148		
	მ.შ. საქართველოს მიერ დაკავშირებული ადგილი	90	90	93	88	77	72		
I	ძირითადი მითხვნები	91	85	95	86	64	57		
	ინსტიტუტები	69	72	69	60	61	64		
	ინფრასტრუქტურა	77	72	73	68	53	56		
	მაკროეკონომიკური გარემო	118	117	130	137	88	61		
	ჯანმრთელობა და სპორტის განვითარება	91	78	73	67	61	70		
II	ეფექტიანობის ამაღლებული ფაქტორები	87	89	94	89	87	86		
	უმჯობესი განვითარება და ტრენინგი	84	84	90	88	93	92		
	საკაპიტალიზაციო ბაზრების ეფექტიანობა	71	74	64	74	82	67		
	შრომის ბაზრის ეფექტიანობა	22	17	31	32	35	40		
	საფინანსო ბაზრის განვითარების ხარისხი	79	95	108	99	93	75		
	ტექნოლოგიური შიშობა	97	100	98	100	76	68		
	ბაზრის სიდიდე	102	101	107	106	99	103		
III	ინოვაციურობისა და განვითარების ხარისხის ფაქტორები	109	117	121	117	120	122		
	ბიზნესის განვითარების ხარისხი	112	113	111	110	113	120		
	ინოვაცია	107	119	125	118	126	126		

ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ ყოფილ მთავრობას არ ქონდა შემუშავებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კარგად მოფიქრებული და დასაბუთებული სტრატეგია და არ იყო აქცენტი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში კლასტერების აგებაზე, რაც მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია.

გლობალური კონკურენტუნარიანობის შემსწავლელი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ზემოაღწერილი კვლევებიდან ჩანს, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში დარგის კონცეფციას ცვლის კლასტერი, ვინაიდან ის გაცილებით უკეთ პასუხობს მძაფრი კონკურენციის მოთხოვნებს. ამასთან, მიჩნეულია, რომ მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული კლასტერების განვითარების დონეზე.

საზოგადოდ, ნებისმიერი მთავრობის წინაშე დგას ორი ამოცანა: პირველი, კონკურენტუნარიანობის მისაღწევად მას ესაჭიროება კერძო სექტორსა და სხვა მხარეებს შორის ეფექტიანი დიალოგისა და საქმიანობის წარმართვა. მეორე, საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისთვის, ესაჭიროება ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკა, ინვესტიციების მიმზიდველობა, სათანადო უნარების განვითარება და ინოვაციურობა. ორივე აღნიშნული ამოცანა წარმატებით წყდება კლასტერების საშუალებით [1, გვ.82]. ასეთია მსოფლიოში აღიარებული სტრატეგიის ეკონომიკის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ცენტრის ხელმძღვანელის პროფ. ო. სოლველის დასკვნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2008-2013 წწ იმავე ეკონომიკური ფორუმის ანგარიშებში ასახული კვლევის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის კეთების ხელშემშლელ პირველსამ ფაქტორს შორის მუდმივად სახელდებოდა ფინანსებზე

წოდების პრობლემა, ინფლაცია და არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალა. ეს სამივე პრობლემა საუკეთესოდ წყდება კლასტერების საშუალებით. კლასტერის კონცეფცია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ხედვის ახალ საშუალებას, მიუთითებს კომპანიების, უნივერსიტეტების, მთავრობისა და სხვა ორგანიზაციების ახალ როლზე. ცნობილია, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობები გლობალურ ეკონომიკაში ხშირად აღმოცენდება კლასტერის ნიადაგზე“ [9, გვ.275]. დღეისათვის ევროპაში არის კლასტერების 2000-ზე მეტი ინიციატივა [11], რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის დიდ როლზე ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში.

კლასტერების ინიციატივების გამოყენების მიმართულებით განსაკუთრებული შემობრუნება აღინიშნა 2003 წლის შემდგომ, როცა განვითარებად ქვეყნებში კლასტერების ინიციატივების საერთო რაოდენობის 55% იქნა წამოწყებული (დანარჩენი ინიცირებული იყო მანამდე), ხოლო გარდამავლებში – 72%. აღნიშნულმა მაჩვენებელმა განვითარებულ ქვეყნებში მიაღწია 28%-ს. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, საგულისხმოა, ვინაიდან ასეთ ქვეყნებში კლასტერები პოპულარული ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში იყო. ეს უდავოდ ადასტურებს ეკონომიკის განვითარებაში კლასტერ(ებ)ის გამოყენების პროგრესულობას. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებში კლასტერ(ებ)ის ინიციატივის დანერგვა იწყება მთავრობის მხრიდან, უფრო ხშირად, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სააგენტოებიდან. მაგალითად: ჩრდილო ამერიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში კლასტერების ინიციატივების 41% ინიცირებულია მთავრობის მხრიდან, ჩრდილოეთ ევროპაში – 47%, დასავლეთ ევროპაში – 53%, და სამხრეთ ევროპაში – 61% [2, გვ.13].

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილოს პრიორიტეტულ დარგებში ეფექტიანი კლასტერების ფორმირების ხელშეწყობაზე, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებას.

Microeconomic Competitiveness – Modern Approach

I. Gagnidze

The Study Group of the Global Competitiveness of World Economic Forum elaborated a new index of global competitiveness in 2008-2009. In this Index, the global competitiveness has been thought as the sum of the competitiveness of micro and macroeconomics. Microeconomics of competitiveness has three main components: microeconomic business environment quality, the level of clusters development, development quality of company management and strategies. In addition to the mentioned, the evaluation indicators of Georgian economics are given according to the Global Competitiveness Reports for 2008-2014 where the situation was improved only by the direction of the main requirements that can't be said about the increasing factors of efficiency and the quality factors of innovation and development. One of the reasons of this condition is considered that the former government failed to elaborate the country's economic development strategy and there was no emphasis to the priority sectors of the country in building the clusters. Based upon the works of well-known researchers, the effectiveness of clusters in the country's economic development was proved.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგნიძე ი., ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა, გამომც. „უნივერსალი“, 120 გვ., თბ., 2012;
2. Ketels C., Lindqvist G., Solvell O., Cluster Initiatives in Developing and Transition Economies, ISBN 91-974783-2-6 www.cluster-research.org/devtra.htm
3. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2008-2009, Country/Economy Profiles, Georgia;
4. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2009-2010, Country/Economy Profiles, Georgia;
5. WE Forum; The Global Competitiveness Report 2010-2011, Country/Economy Profiles, Georgia;
6. WE Forum; The Global Competitiveness Report 2011-2012, Country/Economy Profiles, Georgia;
7. WE Forum; The Global Competitiveness Report 2012-2013, Country/Economy Profiles, Georgia;
8. WE Forum; The Global Competitiveness Report 2013-2014, Country/Economy Profiles, Georgia;
9. Портер М., Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев, 2002, с. 275.
10. <http://www.cluster-research.org/redbook.htm>
11. www.clusterobservatory.eu

**ოფშორის ზენოგენი
თანამედროვე ბიზნესში**

შოთა შაპრიშვილი

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

ტერმინი „ოფშორი“ (*off shore* – ნაპირებს მიღმა) პირველად გამოყენებულ იქნა ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში, ისეთი ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც სახელმწიფოებრივი კონტროლისაგან თავის არიდების მიზნით საქმიანობა საგადასახადო იურისდიქციის საზღვრებს გარეთ გადაიტანა [1]. თანამედროვე პირობებში ეს ტერმინი უფრო ფართო გაგებით გამოიყენება და აღნიშნავს როგორც ფირმებს, რომლებიც იყენებენ სხვა ქვეყნებს თავისი საფინანსო საქმიანობის დაგეგმვის დროს, ასევე ზონებს (სახელმწიფო ან ტერიტორია), სადაც უცხოური საწარმოებისათვის მოქმედებს სპეციალური საგადასახადო, სავალუტო და ორგანიზაციული შეღავათები.

ოფშორულ ზონაში იგულისხმება იურისდიქცია, რომელშიც კანონმდებლობით განსაზღვრულია ოფშორული ტიპის საფინანსო-ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების ნორმები. ისინი ძირითადად მცირე კუნძულოვან სახელმწიფოებს ან თვითმართვად ტერიტორიებს წარმოადგენენ. თანამედროვე მსოფლიოში არსებული ოფშორული ზონების რაოდენობა ზუსტად არაა დადგენილი. ჩვეულებრივ, საერ-

თაშორისო კლასის ცნობილი კომპანიები მიუთითებენ 200-ზე მეტ ოფშორულ იურისდიქციაზე. ცალკეული სეკრეტარული ფირმები აღნიშნავენ მათ განკარგულებაში არსებული და დღეისათვის ხელმისაწვდომი 1000-ზე მეტი ოფშორული ზონიდან ნებისმიერის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ [2, გვ. 14]. ოფშორული იურისდიქციების რაოდენობის ასეთი განსხვავება აიხსნება ამ სფეროსთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემით და უპირველესად განპირობებულია მისი კონფიდენციალური ხასიათით.

ოფშორულ იურისდიქციაში ინკორპორაციისა და რეგისტრაციის პროცედურა უმაღლეს დონემდეა სრულყოფილი. ახალი კომპანიის შესაქმნელად ერთიდან რამდენიმე დღეა საჭირო, მზა ფირმის ყიდვა კი დაუყოვნებლივ შეიძლება. რეგისტრაციასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის განცხადებები შეიძლება ბევრ გაზეთსა და ჟურნალში ვიხილოთ, ხოლო ფასები ასეთ მომსახურებაზე მნიშვნელოვნად შემცირდა. ოფშორული ფირმის შექმნა საშუალოდ 500 აშშ დოლარად არის შესაძლებელი. [3, გვ. 34-43]

ოფშორული კომპანიების რეგისტრაციით ძირითადად დაკავებულია სეკრეტარული ფირმები, სარეგისტრაციო აგენტები. მათი შერჩევა შესაძლებელია ინტერნეტის, ჟურნალ-გაზეთების ან კოლეგების რეკომენდაციით. ოფშორული ფირმის რეგისტრაციისას აუცილებელია მიეთითოს: სასურველი იურისდიქცია, საწესდებო კაპიტალის მოცულობა და ფორმირების მეთოდი (ანუ რისგან იქნება შემდგარი), საფირმო სახელწოდება, დამფუძნებლის საპასპორტო მონაცემები. სარეგისტრაციო აგენტი ამოწმებს საფირმო სახელწოდების უნიკალურობას (აუცილებელი პირობაა უცხოური კომპანიებისათვის) და გადასცემს ინფორმაციას თავის წარმომადგენელს რეგისტრაციის ქვეყანაში. იურისტები აფორმებენ ოფშორულ ფირმას ადგილობრივ სარეგისტრაციო პალატაში

და სადამფუძნებლო დოკუმენტებს ამოწმებენ ნოტარიუსით. დამოწმებული დოკუმენტები ეგზავნება დამფუძნებელს.

იურიდიული თვალსაზრისით ოფშორული კომპანია პრინციპულად არაფრით განსხვავდება სხვა საწარმოებისაგან. ის წარმოადგენს სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობების სრულფუნქციონირებელ სუბიექტს და შეუძლია დადოს გარიგებები სხვა იურიდიული პირების თანასწორად. მიუხედავად ამისა, „ოფშორული კომპანია“ არ არის იურიდიული ტერმინი. კანონში, რომლის საფუძველზეც ხდება მოცემული ტიპის ფირმების რეგისტრაცია, ისინი შეიძლება განისაზღვროს, როგორც არარეზიდენტები (Non Resident), გადასახადებისაგან განთავისუფლებული (Exempt) ან საერთაშორისო ბიზნესის კომპანიები (International Business Company) [4, გვ. 87].

შეიძლება გამოვეყოთ ოფშორული კომპანიის შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

- ✓ მფლობელები არ შეიძლება იყვნენ მოცემული ოფშორული იურისდიქციის რეზიდენტები;
- ✓ ნებისმიერი კომერციული ოპერაცია უნდა გახორციელდეს რეგისტრაციის იურისდიქციის საზღვრებს გარეთ;
- ✓ კონტროლისა და მართვის ცენტრი განლაგებულია საზღვარგარეთ;
- ✓ საგადასახადო შეღავათები;
- ✓ ყოველწლიური სარეგისტრაციო მოსაკრებელის გადახდის ვალდებულება;
- ✓ რეგისტრაციის პროცედურის და საწარმოს მართვის სიმარტივე;
- ✓ წარდგენითი აქციების, ნომინალური მფლობელებისა და დირექტორების გამოყენების შესაძლებლობა;
- ✓ საერთო კრებისა და დირექტორთა საბჭოების ჩატარების შესახებ მოთხოვნების ფორმალური ხასიათი;

მოთხე შავპრიფილი

✓ მინიმალური მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტური შემოწმების ჩატარებაზე;

✓ სავალუტო კონტროლის არ არსებობა.

ოფშორული კომპანიის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ასევე დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე. მაგალითად, აშშ, გერმანია და შვეიცარია აწესებს მკაცრ მოთხოვნებს არარეზიდენტი კომპანიების მიმართ (დიდი სადამფუძნებლო კაპიტალი, გამკაცრებული ანგარიშგება, ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობა). ჰიბრალტარში ოფშორული ფირმის გახსნისათვის აუცილებელია ბანკში ანგარიშის დამადასტურებელი დოკუმენტების წარადგენა და ბანკის რეკომენდაცია. ბევრი კუნძულოვანი ოფშორი, როგორც წესი, მაქსიმალურად ლიბერალურია. ისინი ძირითადად ორიენტირებულია კომპანიებიდან ყოველწლიური შენატანების მიღებაზე და ხშირად ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასაც არ ითხოვენ (ბაჰამის, მარშალის, კაიმანის კუნძულები) [5, გვ. 76-78]. ქვეყნების დიდ ნაწილში არსებობს შეზღუდვები არარეზიდენტი კომპანიების საქმიანობაზე. თუ დაცული არ იქნება განსაზღვრული პირობები, მაშინ ოფშორულ ფირმებს მოუწევთ იგივე ოდენობის გადასახადების გადახდა რაც რეზიდენტ კომპანიებს.

ოფშორული კომპანიები სხვადასხვა მიზნით იქმნება, რომელთაგან აღსანიშნავია: დაბეგვრის ოპტიმიზაცია; საერთაშორისო იმიჯის შექმნა; ბიზნესის რეალური მფლობელის შესახებ ინფორმაციის დაფარვა; კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა და მასზე საკუთრების უფლების დაცვა. განვიხილოთ ამ მიზნების მიღწევის მექანიზმები.

1. დაბეგვრის ოპტიმიზაცია. გლობალიზაციის ეპოქაში ფირმები აქტიურად ახორციელებენ საერთაშორისო საგადასახადო სტრატეგიებს, რომელიც პრაქტიკაში შედგავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე ტერიტორიების ძებნაში გამოიხ-

ატება. ყველაზე ხშირად ოფშორული კომპანიები იქმნება რეზიდენტობის პრინციპით გადასახდელი გადასახადების (ძირითადად პირდაპირი გადასახადები) კანონიერი გზით მინიმიზაციისათვის. ამ დროს ბიზნესმენის მოტივები ზედაპირზე იმყოფება და შემდეგია – „რატომ გადავიხადო ზედმეტი თუ შესაძლებელია საერთოდ არ გადავიხადო“. თუ გადასახადების მინიმიზაცია, მაგალითად, „ერთჯერადი“ ფირმების გახსნით, კანონდარღვევაა, ოფშორული კომპანიების გამოყენებით ეს ლეგალური გზით მიიღწევა. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლ. ხენდი აღნიშნავს, რომ „ყველას აქვს უფლება ისე მოაწყოს თავისი ფულადი საქმეები, რომ გადასახდელი გადასახადები მინიმუმამდე შეამციროს... არავინაა ვალდებული ისე დაგვემოს შემოსავლები და ხარჯები, რომ ასიამოვნოს ფინანსთა სამინისტროს... მოქალაქისათვის არ არსებობს არანაირი, მათ შორის პატრიოტული ვალდებულებაც კი, გაზარდოს გადასახადების გადახდა“ [6].

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, გადასახადების შემოდების შემდეგ, ბერძენმა და ფინიკიელმა ვაჭრებმა საქმიანობა მეზობელ კუნძულებზე გადაიტანეს. ანალოგიური მაგალითები არსებობს შუა საუკუნეებშიც. XV საუკუნის ევროპაში ინგლისელი ვაჭრები გაცილებით დაბალი გადასახადების გამო შალის გაყიდვას ფლანდრიაში ამჯობინებდნენ. ოფშორების მეშვეობით გადასახადების ოპტიმიზაციას აქტიურად მიმართავენ ისეთი ცნობილი და მნიშვნელოვანი კომპანიები, როგორცაა, „BMW“ და „General Motors“ [7, გვ. 76-79].

დაბეგვრის ოპტიმიზაციის მიზნით ფირმები აქტიურად იყენებენ ეგრეთწოდებულ ტრანსფერტულ ფასწარმოქმნას (*transfer pricing*). ამ დროს ძირითადი მწარმოებელი კომპანია ბაზირებული მაღალი გადასახადების მქონე ქვეყანაში თავის პროდუქციას დაბალი ფასებით მიყიდის ოფშორულ ფირმას, რომელიც პროდუქციას უკვე რეალურ ფასად გა-

შოთა შაპურიშვილი

დაყიდის. ამგვარად, მოგება თავს იყრის ოფშორში, სადაც მინიმალური განაკვეთით იბეგრება. თუ გვსურს ოფშორული ფირმა (მაგალითად, ამერიკული კომპანია დელავერის შტატიდან) გამოვიყენოთ, როგორც გადასახადების ოპტიმიზაციის სქემის რგოლი, აუცილებელია დავარეგისტრიროთ უცხოური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (Foreign Limited Liability Company (FLLC)). ამ შემთხვევაში შემოსავლები არ დაიბეგრება აშშ-ის ტერიტორიაზე იმ პირობით, თუ მისი წყარო იმყოფება ქვეყნის იურისდიქციის გარეთ. მაგალითად, თუ თქვენ ყიდულობთ საქონელს გერმანიაში და ყიდით საქართველოში, ამერიკაში რეგისტრირებული FLLC-ის გერმანული ფირმის კონტრაგენტად გამოყენების და შემდეგ საქონლის საქართველოში გაყიდვით მთელი შემოსავალი თავს მოიყრის ოფშორში და არ დაიბეგრება.

2. საერთაშორისო იმიჯის შექმნა. საგადასახადო სამსახურები ოფშორული ფირმების კონტრაქტებს განსაკუთრებულად ამოწმებენ. რიგ ქვეყანაში მოქმედებს ანტიოფშორული კანონმდებლობაც. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია აწარმოებს იმ სახელმწიფოების და ტერიტორიების სიას, რომლებიც არ გასცემენ ინფორმაციას საგადასახადო და ფინანსურ ოპერაციებზე. ამ სიაში 7 ქვეყანა შედის: ანდორა, ლიბერია, ლიხტენშტეინი, მარშალის კუნძულები, მონაკო, ნაურუ და ვანუატუ. ამ სახელმწიფოების მიმართ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები იყენებენ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს. ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთაშორისო ჯგუფს (*Financial Action Task Force*) შავ სიაში შეაქვს ყველა ის ქვეყანა, რომელიც აქტიურად არ იბრძვის ფულის გათეთრების წინააღმდეგ. დიდი შვიდეულის ქვეყნების მხარდაჭერით შექმნილი ფინანსური სტაბილურობის ფორუმი სისტემატურად აქვეყნებს ოფშორული

ზონების საიმედოობის რეიტინგს, სადაც მთავარ კრიტერიუმს გამჭვირვალების დონე წარმოადგენს, ანუ საიმედოდ მიიჩნევა ოფშორი, სადაც არ არსებობს საბანკო საიდუმლოება, განვითარებულია მაკონტროლებელი ორგანოები და კანონმდებლობა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოფშორული ზონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საიმედოობას. შესაბამისად, განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩევა განვითარებული ქვეყნების გავლენის ზონაში მყოფი ტერიტორიები [8, გვ. 74-75].

მეორე მხრივ, ინვესტიციების მიზიდვისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით ბევრ ქვეყნის მთავრობას ახასიათებს ლოიალური განწყობა უცხოური კომპანიების მიმართ. ასეთი დამოკიდებულება, სხვადასხვა საინფორმაციო არხის გავლენით, მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება და უცხოურ კომპანიებს არსებით უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივებთან მიმართებით. აღნიშნულ ვითარებაში ადგილობრივმა საწარმომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ უფრო ეფექტიანია საერთაშორისო კომპანიის იმიჯის შექმნა და ადგილობრივ ბაზარზე ამ სახით მოქმედება. ფირმის საერთაშორისო იმიჯის შესაქმნელად შეიძლება მარტივი ხერხის გამოყენება. კომპანია რეგისტრირდება ოფშორულ იურისდიქციაში (მაგ. ვირჯინიის კუნძულებზე), ოფისი კი (საფოსტო ყუთი) არსდება ლონდონში, აქვე იხსნება საბანკო ანგარიშიც. ამის შემდეგ ფირმა გარეგნულად გამოიყურება როგორც ბრიტანული.

არსებობს იმიჯის ამაღლების სხვა საშუალებებიც. მაგალითად, თანამედროვე სქემებში ოფშორული კომპანიის განთავსება ხდება არა პირველ (ხილულ) დონეზე, არამედ მეორე (შენიღბულ) დონეზე. პირველ დონეზე უნდა ფიგურირებდეს პრეზენტაბელური, საიმედო ქვეყანაში (აშშ, დანია, ესპანეთი, ინგლისი, კანადა და ა.შ.) რეგისტრირებული ფირმა.

ამ პრეზენტაბელური ფირმის მფლობელად გვევლინება ოფშორული კომპანია, რომელიც შედავათიანი პირობების მქონე ტერიტორიაზეა რეგისტრირებული. ფინანსური ოპერაციები ასეთი პრეზენტაბელური ფირმების მეშვეობით, როგორც წესი, ხორციელდება ოფშორულ კომპანიასთან სააგენტო შეთანხმების საფუძველზე. მიუხედავად მნიშვნელოვანი თანხისა, რომელიც ამ გზით საიმედო ფირმაზე გაივლის, უკანასკნელი გადასახადს იხდის საკომისიოდან, რაც მთლიანი ბრუნვის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენს.

3. ბიზნესის რეალური მფლობელის შესახებ ინფორმაციის დაფარვა. ოფშორების გამოყენება ბიზნესმენს საშუალებას აძლევს დარჩეს ინკოგნიტოდ. ამ მოტივით, ოფშორულ ფირმებს ძირითადად ისეთი ქვეყნის რეზიდენტების ხსნიან, სადაც დიდია კორუფციის დონე, ადამიანის უსაფრთხოება ნაკლებად დაცულია, საჯარო მოხელეები აქტიურად მონაწილეობენ ბიზნესში და სურთ ამის დამალვა. საქართველოში მიმდინარე პრივატიზების პროგრამებში მონაწილე ოფშორული ფირმების სიუხვეც, ალბათ, ამით აიხსნება. მაგალითად, მესაკუთრე, რომელსაც არ სურს თავის აფიშირება, ოფშორულ ფირმას გახსნის კვიპროსში ან ანტილის კუნძულებზე (ჰოლანდია), სადაც დაცულია ოფშორული კომპანიის მფლობელის ანონიმურობა. შემდეგ, ოფშორული კომპანია ყიდულობს ქართული საწარმოს აქციებს. იმის გარკვევა, თუ ვინ ფლობს სინამდვილეში ქართულ ფირმას პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება, თუ მფლობელი თავად არ ისურვებს ამას.

ოფშორულ კომპანიასთან ეფექტიანი მუშაობისათვის ზუსტად უნდა განისაზღვროს მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის აუცილებელი დონე. იმისათვის, რომ დაიმალოს ინფორმაცია მფლობელის შესახებ, ოფშორულ ბიზნესში იყენებენ მართვის ისეთ ხერხებს, რომელიც

შესაძლებელს გახდის მთლიანად ან თითქმის მთლიანად ამოიძირკოს მისი სახელი საბუთებიდან (მაგალითად, აქციები წარმდგენზე). ხშირად ამისათვის იყენებენ ნომინალურ აქციონერებს (თუ ამის საშუალებას იძლევა ოფშორული ტერიტორიის კანონმდებლობა) და ნიშნავენ ნომინალურ დირექტორებს (პრეზიდენტებს). ნომინალური აქციონერები საბუთებით გვევლინებიან ოფშორული კომპანიის დამფუძნებლებად, მაგრამ არ გააჩნიათ აქციების განკარგვის უფლება. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული პრეტენზიები ასეთი აქციონერების მხრიდან, მათ ხელი უნდა მოაწერონ დეკლარაციას აქციების განკარგვაზე უარის თქმის შესახებ დამფუძნებლის სასარგებლოდ. ამგვარად, ოფშორული ტერიტორიის კანონმდებლობა დაცული იქნება, ხოლო რეალური მფლობელის სახელი არ შევა რეესტრში.

ნომინალური დირექტორის (პრეზიდენტის) თანამდებობაზე ხშირ შემთხვევაში ინიშნება იმ კომპანიის თანამშრომელი, რომელიც ოფშორულ ტერიტორიაზე ახორციელებს სარეგისტრაციო მომსახურებას. მისივე მონაცემები მიეწოდება სარეგისტრაციო ორგანოს. ნომინალური დირექტორის (პრეზიდენტის) უფლებების შეზღუდვისათვის, როგორც წესი, გამოიყენება ეგრეთწოდებული „უარის წერილი“ – მის მიერ ხელმოწერილი განცხადება განთავისუფლების შესახებ თარიღის დასმის გარეშე, რომელიც მესაკუთრესთან ინახება. თუ მესაკუთრეს სურს კომპანია მართოს თავისი სახელით, ამ შემთხვევაში მასზე გამოწერენ მინდობილობას.

აუცილებლობის შემთხვევაში სეკრეტარულ კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს სრული ნომინალური მომსახურება (*full-time nominal service*). ეს მომსახურება გულისხმობს, რომ მის მიერ დაქირავებული ოფშორული ფირმის თანამშრომლები არა მხოლოდ ნომინალურად ირიცხებიან, არამედ რე-

აღურად მუშაობენ – ამზადებენ დოკუმენტებს, ხელს აწერენ კონტრაქტებს, ხვდებიან კონტრაგენტებს და ა.შ.

4. კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა და მასზე საკუთრების უფლების დაცვა. ოფშორების გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს დიდი თანხების საზღვარგარეთ გატანის პროცესს. მაგალითად, ქართულ საწარმოს შეუძლია შექმნას ოფშორული კომპანია, გააფორმოს მასთან საკონსულტაციო მომსახურების გაწევის, გადახდევვის ან სესხის ხელშეკრულება და რეგულარულად გადარიცხოს მომსახურების ღირებულება ან სესხის პროცენტები.

ამას გარდა, აქციების და სხვა აქტივების ოფშორულ კომპანიაზე გაფორმება წარმოადგენს საკუთრების უფლების დაცვის ინსტრუმენტს. ოფშორული ფირმისათვის აქტივების ჩამორთვევა სასამართლო გადაწყვეტილებითაც კი რთულია. ამისათვის საჭიროა მისი მესაკუთრის დადგენა (ამის გაკეთება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ რთულია), რის შემდეგაც სასამართლო აღმასრულებლებმა უნდა მოძებნონ ის და აიძულონ აქტივები გადასცეს ახალ მფლობელს. ოფშორულ კომპანიებთან სასამართლო დავები საზღვარგარეთ ხდება, რაც დამატებით ბარიერს წარმოადგენს. აქტივების დაცვის მიზნით ხშირად იქმნება ოფშორული კომპანიების მთელი ჯაჭვი (ერთი ოფშორული ფირმა ეკუთვნის მეორეს, მეორე – მესამეს და ა.შ.). შედეგად, აქტივების რეალური მფლობელის დადგენა და მისთვის პრეტენზიის წარდგენა შეუძლებელი ხდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოფშორული სქემების დაგეგმვის პროცესი, რიგ საფრთხესთან ერთად, დაკავშირებულია ფირმის მომგებიანობის ზრდასთან. ოფშორულ ბიზნესში რეალური მუშაობა უკვე არსებული მექანიზმების მუდმივ აპრობაციასთან ერთად მოითხოვს ახალი გადაწყვეტილებების დაუდალავ ძიებას. ამიტომ, ეს პროცესი უნდა

განვიხილოთ კომპანიის საერთაშორისო საქმიანობის ოპტიმიზაციის ერთ-ერთ რთულ და ეფექტიან საშუალებად.

Offshore Phenomenon in Contemporary Business

Sh. Shaburishvili

Nowadays the term offshore is used in a broad sense and means both the companies, which use other countries while planning their financial activities and the areas (state or territory), where there are special taxation, foreign exchange or organizational preferences for foreign companies.

Offshore companies are established for various purposes, including tax optimization, creation of international image, hiding information about the real owner of the company, taking capital abroad and protection of property rights. Offshore companies are mainly established based on residence principle in order to minimize taxes legally. Along with a number of threats, offshore schemes planning process is connected with increase in a company profitability. Working in offshore business requires constant search of new solutions as well as adaptation of existing mechanisms.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.citizenship.ru
2. ყორღანაშვილი ლ., ოფშორული ბიზნესი, თბილისი, 2003, გვ.14;
3. შაბურიშვილი შ., ოფშორული ბიზნესის მოტივაცია,

საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თბ. 2005 №4-5, გვ. 34-43;

4. მამულაშვილი ლ., ტულუში გ., თავისუფალი ეკონომიკური ზონები – ოფშორული ცენტრები, თბილისი 2005, გვ. 87;

5. Налоговый рай без двойной бухгалтерии, журнал „Валютный спекулянт“ №4 (18) 2001, с.76-78;

6. Макдауэлл Д., Новис Г., Последствия отмывания денег и других финансовых преступлений, Экономические перспективы, Электронный журнал государственного департамента США, 2001, №2. [http:// usinfo.state.gov/journals/journal.htm](http://usinfo.state.gov/journals/journal.htm)

7. Балан П., Багамские, Бермудские и Каймановы острова, журнал „Валютный спекулянт“ №6 (20) 2007, с.76-79;

8. Лаханов Ю., Оффшори: надёжность и популярность, журнал „Валютный спекулянт“ №6 (8) 2000, с.74-75.

**საქართველოს სოციალურ-
ეკონომიკური განვითარების
პერსპექტივები**

პაატარინე უჯსიანი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ძირითადი ბარომეტრია. განვითარებული ეკონომიკის შედეგი კი, პირველ რიგში, სოციალურად დაცული, ჯანმრთელი, დასაქმებული, ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობაა. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი კი ისაა, რომ სახელმწიფომ, პირველ რიგში, საკუთარი მოსახლეობა უზრუნველყოს ყველა იმ პირობით, რაც ადამიანთა ღირსეული ცხოვრების აუცილებელი პირობაა. ამ ყველაფრის შექმნა კი, საწყის ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან სოლიდური ფინანსური მხარდაჭერის გარეშე წარმოდგენელია.

სოციალური პოლიტიკა როგორც პრიორიტეტი, მხოლოდ საწყისი ეტაპის გარდაუვალი აუცილებლობაა, რომელიც უმოკლეს პერიოდში უნდა ჩაანაცვლოს ისეთმა წამყვანმა სფეროებმა, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, საგარეო ვაჭრობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ა.შ. უნდა მოისინჯოს და შეიქმნას ყველა მექანიზმი იმისათვის, რომ ადამიანებმა სახელმწიფოს მინიმალური მხარდაჭერით თავად შეძლონ საკუთარი თავისა და ოჯახის უზრუნველყოფა, აღნიშნული კი სახელმწიფომ სოლიდური საგარეო პოლიტიკისა და ქვეყანაში მდგრადი და უსაფრთხო საგადასახადო და სავაჭრო სისტემის შექმნით უნდა უზრუნველყოს, რათა

ეკატერინე უფსიანი

შექმნას საინტერესო საინვესტიციო გარემო, ბევრი სამუშაო ადგილითა და ეკონომიკრი განვითარების პერსპექტივით.

ქვემოთ სწორედ იმაზე გვექნება მსჯელობა, თუ როგორია დღეისათვის საქართველოს ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა და რა კურსი აქვს არჩეული ახალ ხელისუფლებას.

ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა საინვესტიციო საბჭო, რომლის მიზანია საინვესტიციო პროექტების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ხელშეწყობა. ამისი ნათელი მაგალითია საქართველოს ხელისუფლების აქტიური თანამშრომლობა სავაჭრო საკითხებზე, როგორც სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანასთან, ასევე ზრუნვა საინვესტიციო გარემოს შექმნაზე. ასე, მაგალითად, 2013 წლის ივლისში, საქართველოს მთავრობამ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რაც ძალაში, სავარაუდოდ, ერთ წელიწადში შევა, რომელიც ქმნის საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების უნიკალურ შესაძლებლობებს; ამა წლის 30 სექტემბერს დაფუძნდა თანაინვესტირების ფონდი, რომელშიც აკუმულირებულია 6 მლრდ ამერიკული დოლარი და გამოიზრულია ყველა რენტაბელური პროექტის დასაფინანსებლად; აქტიურად მიდის მუშაობა ისეთ კანონპროექტებზე, რამაც უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სავაჭრო გარემოს ჩამოყალიბება ქვეყანაში. ეს კანონპროექტებია: „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შესახებ“, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, „სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, „სავადასახადო კოდექსი“. ამ უკანასკნელზე, პირველ რიგში, იმიტომ მუშაობენ, რომ

აღმოფხვრან კოდექსის ორაზროვანი მუხლები.

მთავრობა აქტიურად მუშაობს, აგრეთვე, ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიან სტრატეგიაზე, რომელიც განსაზღვრულია 2014-2020 წლებისათვის და რომელშიც გაწერილი იქნება სამთავრობო პროგრამაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები.

რაც შეეხება სტატისტიკას: 2013 წლის პირველ ნახევარში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 226 მლნ დოლარი იყო, ხოლო 2013 წლის მეორე კვარტალში - 232 მლნ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს - 7%-ით, ხოლო მიმდინარე წლის I კვარტლის მონაცემს, 3%-ით აღემატება.

2013 წლის იანვარ-აგვისტოს თვეების მონაცემებით, საგარეო სავაჭრო ბრუვა 6 640 მლნ დოლარია, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე მხოლოდ 0.1%-ითაა ნაკლები (2012 წელს - 6 647 მლნ). ქედან, 2013 წელს, ექსპორტის მოცულობა 2012 წლის პირველი რვა თვის მონაცემთან შედარებით, 14%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 4%-ით შემცირდა. 12%-ით გაუმჯობესდა 2013 წლის იანვარ-აგვისტოს თვეების უარყოფითი სავაჭრო სალდო (ნაშთი) წინა წლის აღნიშნული პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით და შეადგინა 3 118 მლნ დოლარი.

2013 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ 1767 მლნ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 27%-ს წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. მათე პერიოდში ევროკავშირთან ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 319 მლნ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 34%-ით აღემატება და 2013 წლის მთლიანი ექსპორტის 18%-ს შეადგეს. იმპორტის მოცულობა კი ევროკავშირიდან 8%-ით ნაკლებია 2012 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. 2013 წელს

ევროკავშირის ქვეყნებიდან გახორციელებული იმპორტის მოცულობა მთლიანი იმპორტის 30%-ს შეადგენს.

რაც შეეხება ბიზნესსექტორს, 2013 წლის პირველი ორი კვარტლის მთლიანი ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 18 465 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს (17 765 მლნ ლარი) 4%-ით აღემატება. გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2013 წელს 9 465 მლნ ლარია, რაც 2012 წლის მაჩვენებელს (9 287) 2%-ით ჭარბობს. 2%-ით მეტია 2013 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 2012 წლის პირველ ნახევარში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაზე (2013 წელს - 989 201 ადამიანი; 2012 წელს - 973 152). 5%-ით ჭარბობს 2013 წელს დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 2012 წლის პირველ და მეორე კვარტალში დასაქმებულ ადამიანებთა ანაზღაურებას - 2013 წელს - 755 ლარი; 2012 წელს - 716 ლარი [1, გვ. 7].

ახალი ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი. კერძოდ: 1) „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ - აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რომელიც 710 385 მცირემიწიან ფერმერს დაეხმარა. დახმარების ჯამურმა თანხამ 195 545 543 ლარი შეადგინა; პროექტის ფარგლებში დამუშავდა 192 568 ჰა მიწის ფართობი, რაც წინა წლების მონაცემებთან შედარებით ორჯერ მეტია; 2) „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ - აღნიშნული პროექტის საერთო ღირებულებამ 195 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მცირემიწიანმა ფერმერებმა უსასყიდლოდ მიიღეს: 53 მლნ ლარის ღირებულების სასუქი; 24 მლნ ლარის ღირებულების პესტიციდი; 5 მლნ ლარის ღირებულების სათესლე მაღასა; 39 მლნ ლარის ღირებულების სოფლის

მეურნეობის ინვენტარი; 3) „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ - მცირე, საშუალო და მსხვილი ფერემერებისათვის შემუშავდა სხვადასხვა ტიპის შეღავათიანი სესხები; პროექტის ფარგლებში ასევე უნდა დაფინანსდეს მინიმუმ 60 ახალი საწარმო. დღეის მდგომარეობით, უკვე გაცემულია 5 393 სესხი, ჯამური თანხით 101 021 219 ლარი. ახალი საწარმოების გახსნისთვის უკვე გაცემულია 49 სესხი.

საქართველოს მასშტაბით გაიწმინდა და შეკეთდა სარწყავი სისტემების პრაქტიკულად ყველა დიდი მაგისტრალური არხი და გამანაწილებელი რაც იძლევა საშალებას დამატებით წყალუზრუნველყოთ 18 500 ჰა სოფლის მეურნეობის სავარგული. სარწყავი სეზონის დამთავრებისთანავე დაგეგმილია მათზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც ბოლო 20-25 წელია არ განხორციელებულა.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქართული პროდუქციის რეალიზაციის საკითხზე. ქართული ღვინის ექსპორტი, წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 43%-ით, აქედან ზრდის 20% განაპირობა რუსეთის ბაზრის გახსნამ.

2013 წლის რთველის წარმატებით განხორციელების მიზნით ამოქმედდა სუბსიდირებისა და შეღავათიანი აგროსესხების პროგრამა. აღნიშნული სისტემა განსხვავდება შარშანდელისგან როგორც თანხის გაცემის მექანიზმით, ასევე სუბსიდიის რაოდენობით. პროგრამა ნებაყოფლობითია და ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე ეხმარება საწარმოებს. სახელმწიფო სუბსიდია 1 ლარად ან 1 ლარზე მეტ ფასად ყურძნის შესყიდვის შემთხვევაში, ე.წ. კონდიციურ, ხარისხიან 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე 40 თეთრს შეადგენს, ხოლო 1 კგ საფერავზე სუბსიდია 25 თეთრია.

სახელმწიფო მეწარმეებს შეღავათიანი აგროკრედიტითაც ეხმარება. ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის შეღავათიანი აგროსესხები გაიცემა. სახელმწიფო საბანკო სექტორთან ერთად მეღვინეობა-მევენახეობის სექტორს

ეკატერინე უფსიანი

სთავაზობს შეღავათიან სესხს ყურძნის შესასყიდად – 15 თვიანი ვადით არაუმეტეს 6%-სა ლარში. დღეის მდგომარეობით დამტკიცებული სესხების რაოდენობა 45 მლნ ლარს აჭარბებს. [2, გვ. 7]

სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ჯანდაცვის მიმართულებითაც. 2013 წლის თებერვალში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირველი ეტაპი, რომელიც სამედიცინო მომსახურების მხოლოდ 3 ბლოკს სთავაზობდა მოსახლეობას, 1 ივლისიდან კი უკვე მოქმედებს მე-2 ეტაპი, რომელიც ჯანდაცვის სერვისების შემდეგ 6 ძირითად ბლოკს მოიცავს: 1) პირველადი ჯანდაცვის გაფართოებული მომსახურება; 2) გადაუდებელი ამბულატორიული დახმარება; 3) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება; 4) გეგმური ქირურგიული ოპერაციები; 4) ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა; 5) მშობიარობა. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების სია.

ახალი ხელისუფლების ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს, აგრეთვე, სოციალური მიმართულება, რომლის ხელშეწყობისათვის 2013 წლის ბიუჯეტის დაახლოებით მესამედია მიმართული. ამ მიმართულებით მრავალი პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, პენსიების და სოციალური გასაცემების ეტაპობრივი ზრდა, რომლის პირველი ეტაპი დაიწყო აპრილის თვეში და 194 961 პენსიონერს პენსია 110 ლარიდან გაეზარდა 125 ლარამდე, 21 721 მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობების მქონე პირს სოციალური პაკეტი 100 ლარიდან გაეზარდა 125 ლარამდე. 2013 წლის 1 სექტემბრიდან პენსიონერებისა და მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობების მქონე პირების (პირველი ჯგუფის ინვალიდების) სოციალური და საპენსიო პაკეტი კვლავ გაიზარდა და გაუტოლდა 150 ლარს. გაიზარდა აგრეთვე მარჩენალდაკარგულთა და პოლიტრეაბილიტაციულთა სოციალური პაკეტი. გაიზარდა, ასევე სიღარიბის ზღვარს

ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების ოდენობა.
[3, გვ. 7]

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სისტემის მეთოდოლოგიის დახვეწაზე, რათა ის სუბიექტური კრიტერიუმების ნაცვლად, ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს, რაც მნიშვნელოვნად გზრდის სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობას.

საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი პროექტები კონფლიქტების მიმდებარე რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების, დევნილთა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. დღეისათვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილია 480 ოჯახი (2000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი). სხვადასხვა სახეობის რემონტი ჩაუტარდა 15 ობიექტს, სადაც 425 დევნილი ოჯახი ცხოვრობს (1300 ადამიანი). 876 დევნილ ოჯახს სიმბოლურ ფასად-1 ლარად გადაეცა ის საცხოვრებელი, რომელშიც ცხოვრობდნენ.

აღნიშნული და სხვა მიმართულებით ხელისუფლების აქტიური მუშაობა იმის მიმანიშნებელია, რომ დღეისათვის რეალურად გაჩნდა საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა. მიუხედავად შემცირებული ეკონომიკური ზრდის ტემპისა, რომელიც, როგორც წესი, გარდამავალი და არასტაბილური პოლიტიკური ვითარების შედეგია, სულ უფრო იზრდება სოციალურად დაცული მოსახლეობის რაოდენობა, სერიოზული ძვრებია სოფლის მეურნეობის განვითარებაში, გვაქვს ბიზნესსექტორი, რომელიც მთავრობის აქტიური მუშაობით დღითიდღე იკრებს ძალას, რომლის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო თუ სხვა ეკონომიკური საკითხებზე, მუშაობა მიმდინარეობს კანონპროექტებზე, რამაც ქვეყნის სტაბილური, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი

გარემოს შექმნა უნდა უზრუნველყოს, და ბოლოს, ამოქმედდა თანაინვესტირების ფონდი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა რენტაბელური პროექტის დაფინანსებას ითვალისწინებს. აღნიშნულმა კი უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, რაც მთავრობას საშუალებას მისცემს გამოათავისუფლოს სოციალური მიმართულებით აკუმულირებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი და მიმართოს ეკონომიკისათვის სარგებლისა და ეფექტის მომტანი სფეროების მიმართულებით.

**About Socio - economic
Prospects for Development of Georgia**

E. Udesiani

In the article it is analyzed and assessed measures implemented by the new government in the socio - economic development. Particular attention is focused on the most severe socio - economic problems in the near future. Some space is devoted to Government's long-term economic policy strategy (2014-2020), With which intensive work is in progress at present.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;
2. სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაცია;
3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემები.



ეკატერინე ბლოველი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სისხლის სამართლის სტატისტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისა და სწორად განხორციელების პროცესში. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის სტატისტიკა უნდა იყოს ზუსტი, სარწმუნო და საჯარო.


სტატისტიკური კვლევის ეტაპზე პირველადი მასალის დაჯგუფება და განზოგადებული მაჩვენებლების გაანგარიშება სამართლებრივი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენების დროში ცვლილების (დინამიკის) ანალიზის საშუალებას იძლევა [1, გვ.287].

რეგისტრირებულ დანაშაულთა შესწავლა დინამიკაში როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონული ჭრილით (10 000 კაცზე გაანგარიშებით) საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ძირითადი ტენდენციები და ჩამოვაყალიბოთ ადეკვატური დასკვნები.


ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემებიდან (რეგისტრირებული დანაშაული 2005-2011 წლებში) ავიღეთ ყველაზე მეტად გავრცელებული 20 დანაშაული და სწორედ მათზე ვაწარმოეთ სტატისტიკური დაკვირვება და შესაბამისი გამოთვლები [3].

ეკატერინე გლოველი

ქვემოთ მოტანილი დიაგრამა გვიჩვენებს, რომ 2005 წელს რეგისტრირებული დანაშაულების უმეტესობა მოდის ქურდობაზე და მისი წილი შეადგენს 37.6%-ს. მას მოსდევს ძარცვისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის დანაშაულები (იხ. დიაგრამა 1):



2011 წლის მონაცემების მიხედვით კი მდგომარეობა



როგორც მე-2 დიაგრამიდან ჩანს, 2011 წელს, 2005 წლის მსგავსად, რეგისტრირებულ დანაშაულებში მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა ქურდობისა (35.3%) და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის მაჩვენებლები (11.7%).

ერთობლიობაში შესასწავლი ნიშნის სიჭრელის, რხევადობის (ვარიაციის) გასაზომად გამოიყენება სხვადასხვა **აბსოლუტური და საშუალო სიდიდეები**.

აბსოლუტურ სიდიდეებს განეკუთვნება: ვარიაციის გაქანება (დიაპაზონი, ამპლიტუდა), საშუალო წრფივი გადახრა, დისპერსია და საშუალო კვადრატული გადახრა [1, გვ.210].

ვარიაციის საშუალო მაჩვენებლები, განსხვავებით აბსოლუტური მაჩვენებლებისაგან, რაც გამოისახება აბსოლუტური და სახელდებული რიცხვებით, გაიანგარიშება პროცენტებში და იძლევა არა მხოლოდ ვარიაციის შედარებითი შეფასების საშუალებას, არამედ ახასიათებს ერთობლიობის ერთგვაროვნებასაც. ვარიაციის კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით [1, გვ.

$$v_{\sigma} = \frac{\sigma}{\bar{x}} * 100$$

თუ ვარიაციის კოეფიციენტი არ აღემატება 0.3 ან 30%-ს, მაშინ ერთობლიობა ითვლება ერთგვაროვნად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაჩვენებლები არაერთგვაროვანია.

აღნიშნულის საფუძველზე, გავიანგარიშეთ 2005-2011 წლებში დანაშაულთა საშუალო მაჩვენებლები, ვარიაციის გაქანება, დისპერსია, საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი. შედეგები წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

2005-2011 წლებში დანაშაულთა საშუალო მაჩვენებლები, ვარიაციის გაქანება, დისპერსია, საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი

ცხრილი 1

წლები	საშუალო (\bar{X})	ვარიაციის გაქანება (R)	დისპერსია (σ^2)	საშუალო კვადრატული გადახრა (σ)	ვარიაციის კოეფიციენტი (V_C)
2005	1562	16174	11839326	3441	2.2
2006	2282	27576	34926415	5910	2.6
2007	1886	18555	18000006	4243	2.2
2008	1614	14793	12625799	3553	2.2
2009	1271	11457	7344354	2710	2.1
2010	1153	11322	6944566	2635	2.3
2011	1057	11356	6351074	2520	2.4

ამრიგად, 2005-2011 წლებში დანაშაულთა საშუალო სიდიდე ყველაზე მაღალი იყო 2006 წელს, ხოლო დაბალი - 2011 წელს. დანაშაულთა რხევადობა ყველაზე მაღალია 2006 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი - 2010 წელს.

საშუალო კვადრატული გადახრა კი წარმოდგენას გვაძლევს, თუ თითოეულ წელს საშუალოდან როგორ არის გადახრილი დანაშაულები: საშუალოდან დანაშაულთა გადახრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2006 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი - 2011 წელს.

თუ დავაკვირდებით მონაცემებს, ადვილად შევამჩნევთ,

რომ 2005-2011 წლებში ვარიაციის კოეფიციენტი 0.3-ზე მეტია, შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობა არაერთგვაროვანია.

დანაშაულთა უკეთ შესწავლის მიზნით, გადავწყვიტეთ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან სისხლის სამართლის დანაშაულების შესახებ, დეტალურად შეგვესწავლა 3 ყველაზე გავრცელებული დანაშაული: ქურდობა, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა და თაღლითობა.

ქურდობა. როგორც უკვე ვნახეთ, ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულია. 2006-2010 წლებში აღნიშნული დანაშაული კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2011 წელს 2010 წელთან შედარებით, ქურდობა 12 ერთეულით არის გაზრდილი.

ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის დანაშაული 2005-2008 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2008-2011 წლებში კლების ტენდენცია იკვეთება, თუმცა, 2011 წელს 2005-2006 წლებთან შედარებით, მაჩვენებელი მაინც გაზრდილია (2005 წელთან შედარებით 81%-ით, 2006 წელთან შედარებით - 7%-ით).

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია **თაღლითობა**, რომელიც ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება 2006 წელს, ხოლო დაბალი მაჩვენებელი აქვს 2010 წელს.

თითოეული დანაშაულის უფრო დრმა სტატისტიკური შესწავლის მიზნით გავიანგარიშეთ საშუალო დონე, ვარიაციის გაქანება, ანუ დიაპაზონი, დისპერსია, საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი. შედეგები წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით (იხ. ცხრილი №2):

2005-2011 წლებში ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულების საშუალო დონე, ვარიაციის გაქანება, ანუ დიაპაზონი, დისპერსია, საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი

ცხრილი 2

	საშუალო (\bar{X})	ვარიაციის გაქანება (R)	დისპერსია (σ^2)	საშუალო კვადრატული გადახრა (σ)	ვარიაციის კოეფიციენტი (V_{σ})
ქურდობა	15934	16286	29607573	5441	0.3
თაღლითობა	1851	1069	112022	335	0.2
ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვა	5484	5157	5490471	2343	0.4


ცხრილიდან ჩანს, რომ ვარიაციის კოეფიციენტი 0.3-ზე ნაკლებია თაღლითობის დანაშაულებზე. შესაბამისად, აღნიშნულ დანაშაულებზე 2005-2011 წლებში მაჩვენებლები ერთგვაროვანია, ხოლო ქურდობასა და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის დანაშაულზე - არაერთგვაროვანი.

მონაცემების უკეთ გაანალიზების მიზნით, აღნიშნული 3 ყველაზე გავრცელებული დანაშაული შევისწავლეთ რეგიონული ჭრილით (10 000 კაცზე გაანგარიშებით) [2]. რეგიონების მიხედვით მონაცემები მოცემულია 3, 4 და 5 დიაგრამებზე.

ქურდობის მაჩვენებელი რეგიონული ჭრილით ასეთია (იხ. დიაგრამა 3):

ქურდობის მაჩვენებელი რეგიონული ჭრილით (10 000 კაცზე)


დიაგრამა 3



ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის მაჩვენებელი 2005 წელს ყველაზე მაღალი იყო აჭარის რეგიონში, ხოლო 2006-2011 წლებში - თბილისში.

თადლითობის მაჩვენებელი ყოველ 10 000 კაცზე რეგიონული ჭრილით ასე გადანაწილდა (იხ. დიაგრამა 5):

**თადლითობის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(10 000 კაცზე)
დიაგრამა 5**



როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2005-2011 წლებში თაღლითობის მაჩვენებელი 10 000 კაცზე გაანგარიშებით ყველაზე მაღალი იყო თბილისში.

Statistical Analysis of the Structure of Crimes (Given the Example of Georgia)

E. Gloveli

The article reviews twenty the most widespread crimes while putting emphasis on three of them – theft, fraud, and illicit transfer of drugs. We calculated the average level, the intensity of variation i.e. diapason, dispersion, average square deviation and variation coefficient of these crimes. Furthermore, for the purpose of better understanding of the data, respective crimes have been studied on a regional level and relevant decisions are made.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. მე-4 შვესებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011;
2. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა (ელექტრონული ვერსია), თბ., 2013;
3. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ. იურიდიული სტატისტიკა. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011;
4. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. (www.police.ge)
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები. (www.geostat.ge)



**საბარეო ღახმარება:
არსი, სტრუქტურა, მიზნები**

ლევან ნატროშვილი

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

1945 წლისთვის მსოფლიოში არსებობდა დაახლოებით 50 სუვერენული სახელმწიფო, რომელთა ეკონომიკები ძირითადად მხოლოდ შიგა ბაზრებზე იყო ორიენტირებული. შესაბამისად, სახელმწიფოები ერთმანეთზე დიდად არ იყვნენ დამოკიდებული. აღნიშნულ პერიოდში ძირითადად ოთხი კონკურენტული ეკონომიკური სისტემა არსებობდა: ა) საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა კომუნისტური, სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ეკონომიკური სისტემა, რომელიც ცენტრალური დაგეგმვით და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების არსებობით ხასიათდებოდა; ბ) ასევე არსებობდა საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული რამდენიმე ქვეყანა, რომლებიც აშშ-ის გარშემო იყვნენ შემოკრებილი; გ) ევროპის წამყვანი სახელმწიფოები ინარჩუნებდნენ პრივილეგირებულ ურთიერთობებს საკუთარ კოლონიებთან; დ) სახელმწიფოთა უმრავლესობა კი მერკანტილური პოლიტიკური ეკონომიის მიმდევარი იყო, რაც საკუთარი ბაზრების პროტექციასა და უცხო ქვეყნების გავლენის შეზღუდვაში გამოიხატებოდა [1, გვ. 390].

ტარიფები და სხვა სახეობის ბარიერები ვაჭრობასა და კაპიტალის გადაადგილებას აფერხებდა. არ არსებობდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დახმარე-

ბას გაუწევდა გასაჭირში მყოფ სახელმწიფოებს და ხელს შეუწყობდა მათ განვითარებას [1, გვ. 390].

1945 წლიდან მსოფლიოში ეკონომიკური და ფინანსური გლობალიზაციის მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაცია დაიწყო, გაფართოვდა საერთაშორისო ვაჭრობა და ქვეყნების ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკა უფრო კოორდინირებული გახდა. საგარეო დახმარების საშუალებით ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბევრი ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად საქმიანობად იქცა, როგორცაა **მსოფლიო ბანკი** და **საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ)**, **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო)** სააგენტოები, სხვა მთავრობათაშორისი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო განვითარების სახელმწიფო სააგენტოები.

საგარეო დახმარება: განსაზღვრება და სახეობები

საგარეო დახმარება მოიცავს ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისთვის გაწეულ ფინანსურ, ტექნიკურ და სამომხმარებლო საქონლით დახმარებას, რომელიც გადაცემულია გრანტის ან შეღავათიანი სესხის სახით. დახმარების გამცემი/მიმღები შეიძლება იყოს ქვეყნის მთავრობა, საქველმოქმედო ორგანიზაცია, ფონდი, კომერციული ორგანიზაცია ან კერძო პირი. დროთა განმავლობაში საგარეო დახმარების ერთ-ერთი უმსხვილესი დონორები საერთაშორისო ორგანიზაციები გახდნენ. აღსანიშნავია, რომ ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისთვის გადაცემული ყველანაირი ფინანსური რესურსი არ ითვლება საგარეო დახმარებად. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ, რა სახით და რა პირობებით გასცემს ფინანსურ სახსრებს [2, გვ. 521-22]. მაგალითად, კერძო კომერციული ბანკის მიერ საზღვარგარეთ ქარხნის ასაშენებლად გადაცემული სესხი ან რომელიმე მთავრობის მიერ სხვა ქვეყნისთვის სამხედრო აღჭურვილობის საყიდლად გაწეული დახმარება, საგარეო დახმარებად არ ითვ-

ლება.

საგარეო დახმარების შესახებ ინფორმაციის ოფიციალურ და ყველაზე ავტორიტეტულ წყაროს – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განვითარების დახმარების კომიტეტის (DAC) – მიხედვით, იმისთვის, რომ ქმედება საგარეო დახმარებად ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს: ა) დახმარება ძირითად მიზნად უნდა ისახავდეს ეკონომიკურ/სოციალურ განვითარებას, კეთილდღეობის გაზრდას, და არა სამხედრო ან მსგავსი ტიპის ამოცანებს; ბ) დახმარება გაწეული უნდა იქნეს გრანტის ან შეღავათიანი სესხის სახით (ტერმინების განმარტებები იხილეთ ქვემოთ) [2, გვ. 521-22].

როგორც უკვე ითქვა, საგარეო დახმარება შეიძლება გაწეულ იქნეს: ა) ფინანსური დახმარების ან სამომხმარებლო საქონლით დახმარების სახით; ბ) ტექნიკური დახმარების სახით. არსებობს ფინანსური დახმარების ორი ძირითადი სახე: ა) გრანტი; ბ) სესხი. გრანტი არის ფულადი რესურსის, საქონლის ან მომსახურების ისეთი გადაცემა, როდესაც მიმღებ სუბიექტს არ მოეთხოვება მისი დაბრუნება. ასეთი დახმარება შეიძლება ჩაითვალოს საჩუქრად. სესხის გაცემისას გამსესხებელი იძლევა ფულს, ქონებას ან სხვა რესურსს, რომელიც მსესხებელმა გარკვეული დროის განმავლობაში უნდა დააბრუნოს, როგორც წესი, დამატებით თანხასთან – საპროცენტო სარგებელთან ერთად [3].

სესხი შეიძლება იყოს შეღავათიანი ან უშეღავათო. სესხი შეღავათიანია, თუ ის საბაზრო სესხებზე იაფი და მისაღებია. მაგალითად, შეღავათიან სესხს, კერძო საბანკო სესხთან შედარებით, შეიძლება ძალიან დაბალი ან სულაც ნულის ტოლი საპროცენტო განაკვეთი ჰქონდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მსესხებელმა უნდა გადაიხადოს გაცილებით ნაკლები, ვიდრე მას, ჩვეულებრივ, მოუწევდა. გარდა ამისა, შესაძლოა მსესხებელს ნება დაერთოს, პირველი რამდენიმე

წლის განმავლობაში საერთოდ არ გადაიხადოს არაფერი. თუკი სესხს არ აქვს მსგავსი საშეღავათო მახასიათებლები, იგი უშეღავათოდ მიიჩნევა. უშეღავათო სესხები საგარეო დახმარებად არ ითვლება.

გრანტი და სესხი შეიძლება რამდენიმე სახით იქნეს მიწოდებული. ერთ-ერთი მათგანია **პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება**. ევროპის კომისია პირდაპირ საბიუჯეტო დახმარებას განმარტავს, როგორც უცხოური საფინანსო სააგენტოს მიერ მიმღები ქვეყნის ეროვნული ხაზინისთვის გადაცემულ ფინანსურ რესურსს. აღნიშნული ფულადი რესურსი ხდება მიმღები ქვეყნის ფინანსური სახსრების ნაწილი, რომელიც საჭიროებების შესაბამისად გამოიყენება [4]. უფრო კონკრეტულად, ეს იმას ნიშნავს, რომ დონორი ქვეყანა ან ინსტიტუტი რიცხავს ფულს (უცხოური ვალუტით) მიმღები ქვეყნის ცენტრალურ ბანკში, რომელიც, თავის მხრივ, თანხას (ეროვნული ვალუტით) სახელმწიფო ბიუჯეტში გადაზავნის. ამ ფულს მიმღები ქვეყანა საკუთარი საჭიროებებისათვის ან დონორთან შეთანხმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე ხარჯავს. არსებობს ორი სახის პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება: ა) ზოგადი საბიუჯეტო დახმარება, როდესაც მიღებული თანხა შეიძლება ფართო დიაპაზონის რეფორმებსა და პროგრამებზე დაიხარჯოს; ბ) სექტორული საბიუჯეტო დახმარება, რომლის ფარგლებშიც მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული სპეციფიკური, კონკრეტული სექტორები და პროგრამები ფინანსდება [4]. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება, მისი სახეობები და პირობები არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული. ეს ყველაფერი ძირითადად დონორზე, მიმღებ მხარესა და მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს, ფინანსური დახმარების გაწევამდე ან მისი გაწევის შემდეგ, გარკვეული პირობებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას სთხოვს. ამის საპირისპიროდ, ბევრ

დონორ ქვეყანას განსაკუთრებული მოთხოვნები არ აქვს.

ფინანსური დახმარების გაწევის კიდევ ერთი მეთოდია დონორის მიერ თანხის გადარიცხვა მიმღები ქვეყნის ბიუჯეტის ერთ ანგარიშზე, რომელიც მხოლოდ კონკრეტული პროექტის დასაფინანსებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ტექნიკური დახმარება არაფულადი დახმარებაა, რომლის მიწოდებაც ექსპერტიზის, რჩევის ან წვრთნის/ტრენინგის სახით ხდება. მას არ შეიძლება ჰქონდეს ფინანსური დახმარების (გრანტი ან სესხი) სახე. მაგალითად, ტექნიკური დახმარებაა, როდესაც მსოფლიო ბანკის ინჟინერ-ექსპერტი იძლევა რჩევას გზის აშენების თაობაზე.

საგარეო დახმარების მიმართულება ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ არის დახმარების მიმღები და გამცემი. საგარეო დახმარების უდიდესი ნაწილი მოიხსენიება, როგორც **განვითარების ოფიციალური დახმარება** (ODA) [5], რომელიც მოიცავს დონორი სახელმწიფოების მიერ დაბალ- და საშუალო შემოსავლიანი ქვეყნებისთვის პირდაპირ ან ირიბად (მრავალმხრივი საერთაშორისო ინსტიტუტების მეშვეობით) გამოყოფილ დახმარებას [2, გვ. 522]. **გრაფიკში** მოცემულია ინფორმაცია ყველა დონორის მიერ 1990–2010 წლებში მთლიანობაში გაწეული განვითარების ოფიციალური დახმარების შესახებ.

ოფიციალური დახმარება (OA) განკუთვნილია უფრო მდიდარი ქვეყნებისთვის (ძირითადად იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც, მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, მაღალშემოსავლიან ქვეყნებს განეკუთვნებიან). კერძო **სამოსახლისეო დახმარება** (PVA) საგარეო დახმარების კიდევ ერთი სახეობაა, რომელიც არასამთავრობო, რელიგიური, საქველმოქმედო ორგანიზაციების, ფონდებისა და კერძო კომპანიების მიერ გაცემულ გრანტებს მოიცავს [2, გვ. 522].



ქვეყნები მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით [6]

კატეგორია	მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი ეროვნული შემოსავალი (2012 წლის მონაცემებით)
დაბალშემოსავლიანი ქვეყნები	1,025 აშშ დოლარი და ნაკლები
დაბალ- და საშუალოშემოსავლიანი ქვეყნები	1,026–4,035 დოლარი
მაღალ- და საშუალოშემოსავლიანი ქვეყნები	4,036–12,475 დოლარი
მაღალშემოსავლიანი ქვეყნები	12,476 დოლარი და მეტი

ძირითადი დონორები, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს საგარეო დახმარებას უწევენ

არსებობს დონორთა რამდენიმე სახეობა, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევენ. როგორც წესი, საგარეო დახმარება შეიძლება მიწოდებულ იქნეს **ორმხრივი** ან **მრავალმხრივი** ფორმატით. ორმხრივი ფორმატით დახმარების გაწევა ცალკეული ქვეყნების მიერ, როგორც წესი, სპეციალიზებული სახელმწიფო ინსტიტუტების/სააგენტოების მეშვეობით ხდება. მაგალითად, აშშ საგარეო დახმარებას ეწევა ახდენს ისეთი ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)**. მრავალმხრივი ფორმატით კი, საგარეო დახმარება საერთაშორისო ინსტიტუტების (მაგალითად, მსოფლიო ბანკი) გავლით ხორციელდება. ასეთი საგარეო დახმარება ერთზე მეტი სახელმწიფოს

კონტრიბუციაზეა დაფუძნებული. რაც შეეხება გეოგრაფიულ არეალს, ზოგიერთი ქვეყანა და საერთაშორისო ინსტიტუტი დახმარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით გასცემს, სხვები კი მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ რეგიონზეა (რეგიონზე) ორიენტირებული.

ზემოთ აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, საჭიროა განვასხვაოთ სამი სახეობის ინსტიტუტი: ა) საგარეო დახმარების გლობალური, მრავალმხრივი ინსტიტუტები, რომელთა საქმიანობა მთელ მსოფლიოს ფარავს; ბ) რეგიონული მთავრობათაშორისი ინსტიტუტები და რეგიონული მრავალმხრივი განვითარების ბანკები, რომლებიც ძირითადად ცალკეულ გეოგრაფიულ არეალზეა კონცენტრირებული; გ) სახელმწიფოთა საერთაშორისო განვითარების სააგენტოები, რომლებიც საგარეო დახმარებას ორმხრივი ფორმატით გასცემს. ჩვენს სტატიაში მიმოვიხილავ მხოლოდ საგარეო დახმარების გლობალურ მრავალმხრივ ინსტიტუტებს.

საგარეო დახმარების გლობალური მრავალმხრივი ინსტიტუტები.

გლობალურ ფინანსურ და ეკონომიკურ სისტემაში, ე. წ. ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და წონადია არიან. აღნიშნულ ინსტიტუტებს მიეკუთვნება **საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი**. ორივე ამ ინსტიტუტის შექმნა 1944 წლის ივლისში გადაწყდა, როდესაც აშშ-ის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში 45 ქვეყნის წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომში საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს. აღნიშნული სტრუქტურების შექმნით, მონაწილე ქვეყნებს ორი მიზნის მიღწევა სურდათ: ა) თავიდან აეცილებინათ 1930-იან წლებში „დიდი დეპრესიის“ გამომწვევი ეკონომიკური პოლიტიკის განმეორება; ბ) დახმარება გაეწიათ მეორე მსოფლიო ომში დაზარალებული ქვეყნებისთვის [8].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მანდატი ოფიციალურად 1945 წლის დეკემბერში ამოქმედდა, როდესაც 29 წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა „შეთანხმების მუხლებს“. ორგანიზაციამ მუშაობა 1947 წლის 1 მარტს დაიწყო. იმავე წელს საფრანგეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც სსფ-ის ფონდიდან ფული ისესხა. ამჟამად ორგანიზაცია 188 წევრ-სახელმწიფოს აერთიანებს [8]. საქართველო სსფ-ის წევრი 1992 წელს გახდა. თავდაპირველად სსფ მოწოდებული იყო სესხები მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის მიეცა, რომელთაც არასტაბილური ეროვნული ვალუტა ჰქონდათ. ამ გზით, წევრი-სახელმწიფოები პროგნოზირებდნენ სავალუტო გაცვლით კურსებს ინარჩუნებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სსფ არ იყო ჩაფიქრებული, როგორც საგარეო დახმარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტი, დროთა განმავლობაში, მისი როლი ქვეყნების განვითარებაში საგრძნობლად გაიზარდა, რადგანაც სტაბილური და ადვილად კონვერტირებადი (გაცვლადი) ეროვნული ვალუტა ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია [1, გვ. 398]. თუკი სახელმწიფოს არ აქვს სანდო ეროვნული ვალუტა და მისი კურსი მცირე დროის განმავლობაში საგრძნობლად მერყეობს, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა არაპროგნოზირებადობისა და მაღალი რისკის გამო შეიძლება მნიშვნელოვნად შეფერხდეს.

სსფ-ის რესურსები ძირითადად გაწევრების მომენტში ქვეყნების მიერ გაკეთებულ შენატანებს ეფუძნება. ქვეყნების აღნიშნულ წვლილს უწოდებენ კვოტას, რომლის ოდენობაც სახელმწიფოს ეკონომიკის ზომის მიხედვით განისაზღვრება. კვოტების ჯამი შეადგენს დაახლოებით 360 მლრდ აშშ დოლარს (2013 წლის 14 მარტის მდგომარეობით), საიდანაც საქართველოს წილი დაახლოებით 228.45 მილიონი აშშ დოლარია [9].

ყველაზე დიდი კონტრიბუტორია აშშ დაახლოებით 64

მღრდ აშშ დოლარის ოდენობის წილით [10]. კვოტა ასევე განსაზღვრავს ქვეყნის ძალას ხმის მიცემის დროს და ორგანიზაციის რესურსებიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით მეტია მისი კვოტა და, შესაბამისად, წონა გადაწყვეტილებების მიღებისას. მაშასადამე, სსფ-ის გადაწყვეტილების მიღება „ერთი ქვეყანა – ერთი ხმის“ პრინციპით არ ხდება და ძალებს შორის განსხვავება საგრძნობია [11].

2010 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება სსფ-ის მმართველობაში ძირეული ცვლილებების გატარების შესახებ, რაც სწრაფად განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელობის გაზრდისკენ იქნება მიმართული. რეფორმა დინამიკურად განვითარებადი სახელმწიფოების სასარგებლოდ კვოტების სისტემაში 6%-იან ცვლილებას ითვალისწინებს. ამასთანავე, მცირე ქვეყნები შეინარჩუნებენ არსებულ წილს [12]. ამ რეფორმების გასატარებლად ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების თანხმობაა საჭირო. პროცესის დასრულება 2012 წლის სექტემბრისთვის იგეგმებოდა.

სსფ-ის ფუნქცია საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ორგანიზაცია ამისთვის 3 მიმართულებით მუშაობს:

- **ზედამხედველობა** – გლობალური ეკონომიკისა და წევრი-ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების მონიტორინგი;
- **ტექნიკური დახმარება** – წევრი ქვეყნებისთვის პრაქტიკული და საექსპერტო დახმარების გაწევა;
- **სესხების გაცემა** – სესხების მიცემა იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც ეკონომიკური (კერძოდ, საგადაამხდლო ბალანსთან დაკავშირებული) პრობლემები აქვთ [13].

როდესაც სსფ-ის წევრი ხდება, იგი ავტომატურად თანხმდება, საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა საერთაშორისო საზოგადოების ზედამხედველობის

ქვეშ მოაქციოს. წვერი ქვეყანა ასევე ვალდებულებას იღებს, გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და ფასების სტაბილურობას. ქვეყანამ აგრეთვე თავი უნდა შეიკავოს სავალუტო კურსის მანიპულაციისგან და სსფ-ს ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია უნდა მიაწოდოს. სსფ-ის მიერ წვერი-ქვეყნების ეკონომიკების რეგულარული მონიტორინგი და შემდგომი რჩევები გამიზნულია იმ სისუსტეების აღმოსაჩენად, რასაც ფინანსური და ეკონომიკური არასტაბილურობის გამოწვევა შეუძლია. აღნიშნულ პროცესს ზედამხედველობა ეწოდება [13]. არსებობს ზედამხედველობის 3 სახეობა:

ქვეყნის ზედამხედველობა

ქვეყნის ზედამხედველობა უწყვეტი პროცესია, რომლის შეჯამებაც, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ ცალკეულ წვერ სახელმწიფოებთან ყოვლისმომცველი კონსულტაციებისა და დისკუსიების სახით ხდება. ასეთი კონსულტაციები ცნობილია „მეოთხე მუხლის კონსულტაციების“ სახელით, რადგან ეს პროცესი სსფ-ის „შეთანხმების მუხლების“ მე-4 მუხლით არის განსაზღვრული. „მეოთხე მუხლის კონსულტაციების“ დროს სავალუტო ფონდის ეკონომისტების ჯგუფი ქვეყანას სტუმრობს, რათა მთავრობისა და ეროვნული ბანკის მოხელეებთან ერთად შეაფასოს და განიხილოს ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები. სავალუტო ფონდის მისიები ასევე ხშირად ხვდებიან პარლამენტის წევრებს, ბიზნესის, მშრომელთა გაერთიანებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს [13]. მისიების მოხსენებებს სავალუტო ფონდი საკუთარ ვებგვერდზე განათავსებს.

რეგიონული ზედამხედველობა

რეგიონული ზედამხედველობა მოიცავს სსფ-ის მიერ ისეთი სავალუტო კავშირების მონიტორინგს, როგორებიცაა ევროს ზონა, დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური და მონ-

ეტარული კავშირი, ცენტრალური აფრიკის ეკონომიკური და მონეტარული თანამეგობრობა, აღმოსავლეთ კარიბის ზღვისპირეთის სავალუტო კავშირი. რეგიონული ზედამხედველობის ფარგლებში წელიწადში ორჯერ ქვეყნდება მოხსენებები, რომელთა გაცნობაც სავალუტო ფონდის ვებგვერდზეა შესაძლებელი [13].

გლობალური ზედამხედველობა

აღნიშნული პროცესის ფარგლებში სსფ-ის აღმასრულებელი საბჭო მიმოიხილავს გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და აქვეყნებს ორ დოკუმენტს: ა) მსოფლიო ეკონომიკის თვალთახედვა; ბ) მოხსენება გლობალური ფინანსური სტაბილურობის შესახებ. ორივე დოკუმენტი წელიწადში ორჯერ იბეჭდება [13].

ტექნიკური დახმარება

სსფ ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებს ტექნიკური დახმარების საშუალებით უზიარებს ცოდნას ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა: ცენტრალური (ეროვნული) ბანკის მუშაობა, მონეტარული და სავალუტო კურსის პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა და ადმინისტრირება, ოფიციალური სტატისტიკა. აღნიშნული ტრენინგები მიზნად ისახავს წევრი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და ისეთი ინსტიტუტების გაძლიერებას, როგორიცაა არიან ფინანსთა სამინისტრო, ცენტრალური (ეროვნული) ბანკი და სტატისტიკის სამსახური. სსფ ასევე აქტიურ კონსულტაციებს უწევს იმ ქვეყნებს, რომელთაც სამოქალაქო მდელვარებისა და ომის შემდეგ სამთავრობო ინსტიტუტების ხელახლა ჩამოყალიბება ესაჭიროებათ [14].

სესხების გაცემა

ქვეყანა, რომელიც სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს განიცდის და სხვა ქვეყნების წინაშე დაგროვებული დავალიანების გადახდა არ შეუძლია, საერთაშორისო ფინანსური სისტემის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. სწორედ ამ

საერთოხის თავიდან ასაცილებლად შეიქმნა სსფ-ის ერთი ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები ამცირებს ნდობას და ზრდის რისკებს, რაც უარყოფითად აისახება ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე. ამის შედეგად შესაძლებელია ქვეყანაში ინვესტიციების ნაკადი საგრძნობლად შემცირდეს, ეროვნული ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად დაეცეს და ფასებმა მოიმატოს. ერთ სახელმწიფოში არსებული გაურკვეველობა შეიძლება რეგიონის ან მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდეს, რასაც შესაძლოა მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისიც კი მოჰყვეს. მსგავსი სცენარის თავიდან ასაცილებლად ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია მოკლევადიანი საგადამხდელო ბალანსის საჭიროებებისთვის სესხის აღების მიზნით, სსფ-ს მიმართოს. ამ ტიპის პრობლემის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფოს არ შეუძლია კერძო ფინანსურ ბაზრებზე ხელსაყრელი პირობებით ისესხოს ფული, რომელიც საჭიროა საგარეო ვალდებულებების დასაფარავად და უცხოური სავალუტო რეზერვების ნორმალური დონის შესანარჩუნებლად [15].

სსფ არ არის ე. წ. განვითარების ბანკი და, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო განვითარების სააგენტოებისგან განსხვავებით, პროექტებს არ აფინანსებს [15]. მაგალითად, გზის მშენებლობის დასაფინანსებლად ქვეყნის მთავრობა მისგან სესხს ვერ აიღებს. სსფ-ის სესხის მიღების მსურველმა ქვეყანამ გარკვეული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს და, თუ საჭიროა, რეფორმები უნდა გაატაროს. ასეთ მოთხოვნებს პირობითობას (conditionality) უწოდებენ. რეფორმები კონკრეტული სახელმწიფოს სპეციფიკაზეა დამოკიდებული და მრავალი სახეობის შეიძლება იყოს. შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს ისეთი პოლიტიკების განხორციელება, როგორცაა: ბიუჯეტის დეფიციტის ნორმალური დონის შენარჩუნება, გარკვეული სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, საერთაშორისო სავაჭრო ბარიერების შემ-

ცირება და სხვ.

ძირითადი სასესხო ინსტრუმენტები

სსფ-ს აქვს რამდენიმე პროგრამა, რომელთა მეშვეობითაც გასცემს სესხებს. მიუხედავად იმისა, რომ სსფ-ის სესხები კერძო კომერციულ სესხებზე იაფია, მათი უმრავლესობა მაინც უშეღავათო სესხებად მიიჩნევა. თუმცა, სსფ მაინც ერთ-ერთ უმსხვილეს საგარეო დახმარების ინსტიტუტად ითვლება. უშეღავათო სასესხო ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი უმთავრესია **სარეზერვო შეთანხმება** (Stand-By Arrangement). სარეზერვო შეთანხმების ფარგლებში სსფ-ის წევრი ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია აიღოს სესხი, რომელიც გაცილებით იაფია, ვიდრე კერძო კომერციულ ბაზრებზე არსებული კრედიტები. სესხის ხანგრძლივობა 3 -დან 5 წლამდე მერყეობს. 2009 წელს სარეზერვო შეთანხმების ინსტრუმენტში გარკვეული ცვლილებები შევიდა და იგი უფრო მოქნილი და წევრი ქვეყნების საჭიროებებზე მორგებული გახდა. კერძოდ, სესხის ოდენობის ზედა ზღვარი გაორმაგდა და პირობები გამარტივდა [15].

სსფ ასევე გასცემს შეღავათიან სესხებს, რომელთა საპროცენტო განაკვეთები ან ძალიან მცირეა, ან ნულს უახლოვდება. ასეთი სესხები ძირითადად დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი. არსებობს სამი სახეობის შეღავათიანი სასესხო ინსტრუმენტი, რომლებიც ერთმანეთისგან მცირედით განსხვავდება და სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად გამოიყენება. გაფართოებული საკრედიტო მექანიზმი (Extended Credit Facility) გასცემს ფინანსურ დახმარებას საშუალოვადიანი ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად. სწრაფი საკრედიტო მექანიზმი (Rapid Credit Facility) დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის ნაკლები წინაპირობით სწრაფ ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფს. სარეზერვო საკრედიტო მექანიზმი (შტანდბუჩ ჩრედიტ აცილიტე) გასცემს სესხებს საგადამხდელ ბალანსის მოკ-

ლევადიანი საჭიროებების შესაბამისად [16].

მსოფლიო ბანკი

სსფ-ის მსგავსად, მსოფლიო ბანკის შექმნის იდეაც 1944 წელს გამართულ ბრეტონ-ვუდსის შეხვედრაზე გახმოვანდა. ამჟამად მსოფლიო ბანკი 187 წევრ-სახელმწიფოს მოიცავს. საქართველო მსოფლიო ბანკის წევრი 1992 წელს გახდა [17]. მსოფლიო ბანკსა და სსფ-ს შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ მსოფლიო ბანკი დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში ძირითადად გრძელვადიანი განვითარების პროექტებს აფინანსებს, ხოლო სსფ სახელმწიფოებს მოკლე და საშუალოვადიანი ფინანსური პრობლემების გადაჭრაში ეხმარება.

მსოფლიო ბანკის თავდაპირველი ამოცანა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის აღდგენასა და რეკონსტრუქციაში წვლილის შეტანა იყო. დროთა განმავლობაში მსოფლიო ბანკი ერთი ინსტიტუტიდან ხუთი მჭიდროდ დაკავშირებული ინსტიტუტისგან შემდგარ ჯგუფად გარდაიქმნა (აღნიშნული ორგანიზაციები ქვემოთ იქნება განხილული). 1950-იან წლებში მსოფლიო ბანკი რეკონსტრუქციიდან განვითარებაზე გადაერთო, რაც სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარების პროექტების დასაფინანსებლად სესხების გაცემას გულისხმობდა. ორგანიზაციის თანხები წევრი ქვეყნების შენატანებისა და საერთაშორისო ფინანსური ბაზრებიდან მოზიდული თანხების მეშვეობით გროვდება. როგორც წესი, მსოფლიო ბანკის სესხები ისეთი პროექტების დაფინანსებისკენაა მიმართული, რასაც კერძო კომერციული ბანკები არ აფინანსებენ. ასეთ პროექტებს მიეკუთვნება საინვესტიციო პროექტები (მაგ., გზებისა და ხიდების მშენებლობა), სოციალური პროგრამები (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა), სამთავრობო ინსტიტუტების რეფორმირება და ა. შ. კერძო ბანკებისგან განსხვავებით, მსოფლიო ბანკი სესხის მიღების მსურველ

ქვეყანას გარკვეული პირობების დაკმაყოფილებას სთხოვს, რაც შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული პოლიტიკის ცვლილებას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევისკენ იქნება მიმართული [1, გვ. 396]. სესხებთან ერთად მსოფლიო ბანკი გასცემს გრანტებს, ასევე უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას.

მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, რეკონსტრუქცია კვლავ რჩება ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად, თუმცა გლობალურმა გამოწვევებმა მსოფლიო ბანკი აიძულა, ყურადღება ისეთ საკითხებზე დაეცა გაემახვილებინა, როგორცაა: ა) ღარიბ ქვეყნებში სიღარიბის შემცირება და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა; ბ) კონფლიქტისგან დაზარალებული და არასტაბილური ქვეყნებისთვის დახმარების გაწევა; გ) საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების განვითარების ხელშეწყობა; დ) რეგიონული და გლობალური საკითხების (კლიმატის ცვლილება, ინფექციური დაავადებები, ვაჭრობა) წინ წამოწევა; ე) არაბული ქვეყნების განვითარების ხელშეწყობა [17].

მსოფლიო ბანკის ინსტიტუტები და საქმიანობა

მსოფლიო ბანკი შედგება განვითარების საკითხებზე ორიენტირებული ორი ინსტიტუტისგან: ა) **საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA)**; ბ) **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)**. ამ ერთეულების გარდა, არსებობს მსოფლიო ბანკთან მჭიდროდ დაკავშირებული კიდევ სამი ინსტიტუტი: ა) საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC); ბ) ინვესტიციების გარანტორი მრავალმხრივი სააგენტო (MIGA); გ) საინვესტიციო დაეების მომწვესრიგებელი საერთაშორისო ცენტრი (ICSID). ეს ხუთი ინსტიტუტი ერთად **მსოფლიო ბანკის ჯგუფს ქმნის** [17].

საერთაშორისო განვითარების ასოციაცია 1960 წელს დაარსდა. იგი ყველაზე ღარიბ ქვეყნებს აძლევს შეღავათიან სესხებს, რომელთა გადახდის ვადაც 40 წლამდეა. აღნიშნუ-

ლი ასოციაცია ასევე ახორციელებს სხვადასხვა საგრანტო პროგრამებს, რომლებიც ყველაზე დაუცველი ქვეყნებისა და საზოგადოების ჯგუფებისკენაა მიმართული. დაახლოებით 10 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ყოველწლიური ბიუჯეტით საერთაშორისო განვითარების ასოციაცია მსოფლიოს 90 ყველაზე ღარიბი სახელმწიფოსთვის (მათ შორისაა საქართველო) საგარეო დახმარების უმსხვილესი წყაროა [18]. საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ გამოყოფილ კრედიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, მაგრამ ძირითადად 1%-ს არ აღემატება. მთავარი ფაქტორი, რომელიც საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების განაწილებას განსაზღვრავს, არის მსურველი ქვეყნის პროგრესი ისეთი პოლიტიკების განხორციელების კუთხით, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას უწყობს ხელს. აღნიშნული საკითხი ფასდება დოკუმენტში სახელწოდებით „ქვეყნის პოლიტიკური და ინსტიტუციური შეფასება (CPIA“, რომლის საფუძველზედაც დგება საერთაშორისო განვითარების ასოციაციის რესურსების განაწილების ინდექსი (Id I). ამ ინდექსისა და ქვეყნის მიერ აღებული სესხების პირობების შესრულების შეფასებით დგება ქვეყნის შესრულების რეიტინგი (CPR). ამ რეიტინგთან ერთად, სახელმწიფოს მოსახლეობისა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ოდენობაც განსაზღვრავს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების გაცემის პრიორიტეტებს. ვინაიდან აღნიშნული კრედიტები ძალზე იაფია, წევრი ქვეყნების მხრიდან მათი მოთხოვნა გაცილებით აღემატება არსებული თანხების ოდენობას. შესაბამისად, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტები ძირითადად ყველაზე ღარიბი სახელმწიფოებისთვისაა განკუთვნილი.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი 1944 წელს დაარსდა. მისი მთავარი მიზანი საშუა-

ლოშემოსავლიან და ნორმალური საკრედიტო რეკუტაციის მქონე ქვეყნებში სიღარიბის დაძლევა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობაა. ბანკი ამ მიზნებს სესხებისა და გარანტიების გაცემით, ასევე რისკების მართვასა და ანალიზში დახმარების გაწევით ასორციელებს. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ფულადი რესურსების უდიდეს ნაწილს მსოფლიო საფინანსო ბაზრებიდან იზიდავს და სესხებს იმ ქვეყნებს აძლევს, რომლებიც კარგად ასრულებენ სასესხო პირობებს და იმსახურებენ საკრედიტო ნდობას. როგორც წესი, აღნიშნული ორგანიზაციის სესხები დაბალშემოსავლიან ქვეყნებს არ ეძლევათ. საქართველოსთვის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხები ხელმისაწვდომი 2008 წლის მარტში გახდა [19].

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია 1956 წელს შეიქმნა. მსოფლიო ბანკის ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტებისგან განსხვავებით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მსოფლიო საფინანსო ბაზრებიდან მობილიზებული თანხების ინვესტირებას მხოლოდ კერძო სექტორში ახდენს. გარდა ამისა, იგი ტექნიკური დახმარების მნიშვნელოვანი მიმწოდებელია [20]. 1988 წელს დაარსებული ინვესტიციების გარანტორი მრავალმხრივი სააგენტო ხელს უწყობს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კერძო კაპიტალის მოზიდვას დანაკარგებისგან მათი დაზღვევის გზით. აქ იგულისხმება დანაკარგები, რაც შეიძლება წარმოიშვას ისეთი მოვლენების შედეგად, როგორცაა სამოქალაქო ომი, ეთნიკური კონფლიქტები, სახელმწიფოს მიერ ქონების ჩამორთმევა და ა. შ. [21] 1966 წელს ჩამოყალიბებული საინვესტიციო დაეების მომწვესრიგებელი საერთაშორისო ცენტრი არის ავტონომიური საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის წარმოშობილი საინვესტიციო დაეების მოწვესრიგების შესახებ კონვენციის საფუძველზე შეიქმნა. თუ რომელიმე უცხოელ კერძო ინვეს-

ლევან ნატროშვილი

ტორს პრობლემა შეექმნება სახელმწიფოსთან ან პირიქით, ასეთი საქმის განხილვა სწორედ აღნიშნულ ცენტრში შეიძლება მოხდეს [22].

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

საგარეო დახმარებისა და ეკონომიკური განვითარების საკითხების მიმართ გაეროს „ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებისგან“ განსხვავებული მიდგომები აქვს. კერძოდ, გაეროს სისტემის ცენტრალური ფუნქციაა არა სესხის გაცემა, არამედ ტექნიკური დახმარების გაწევა. 1965 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ჩამოაყალიბა **გაეროს განვითარების პროგრამა**, რომელიც ექსპერტიზისა და ტექნიკური დახმარების გაწევის საკითხებში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა. გაეროს განვითარების პროგრამას საკუთარი წარმომადგენლობა 166 ქვეყანაში აქვს. მათი მთავარი ამოცანა ადგილობრივი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შეფასება, პროგრამების კოორდინაცია და გაეროსა და დახმარების მიმღებ სახელმწიფოს შორის შუამავლის როლის შესრულებაა [1, გვ. 406]. გაეროს განვითარების პროგრამა მოწოდებულია, დაეხმაროს ქვეყნებს ისეთ საკითხებში, როგორცაა: ა) დემოკრატიული მმართველობა; ბ) სიღარიბის დაძლევა; გ) კრიზისის პრევენცია და მისგან თავის დაღწევა; დ) გარემოს დაცვა და ენერგეტიკული საკითხები [23].

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი არის გაეროს სპეციალიზებული სააგენტო, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტად 1977 წელს ჩამოყალიბდა. მისი შექმნა 1974 წლის საკვების შესახებ მსოფლიო კონფერენციის დროს გადაწყდა. აღნიშნული კონფერენცია მოწვეულ იქნა 1970-იანი წლების დასაწყისში საკვები პროდუქტების კრიზისის დასაძლევად, რომელმაც

განსაკუთრებით აფრიკის ქვეყნები დააზარალა [24]. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი მოწოდებულია, განვითარებად ქვეყნებს სოფლად არსებული სიღარიბის დაძლევაში დაეხმაროს. მსოფლიოს ყველაზე ღარიბი 14-მილიარდიანი მოსახლეობის 74% სოფლის მცხოვრებია და მთლიანად სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული [24].

აღნიშნული ორგანიზაცია თანამშრომლობს მთავრობებთან და სოფლის გაძლიერების მიზნით საჭირო პროექტების დასაფინანსებლად დაბალპროცენტიან სესხებსა და გრანტებს გასცემს. 1978 წლიდან სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა, 900 პროექტისა და პროგრამის განსახორციელებლად მთლიანობაში 14.8 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირება მოახდინა. სახელმწიფოებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ პროექტების თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის ჩათვლით, მთლიანმა ინვესტიციამ დაახლოებით 19.6 მლრდ დოლარს მიაღწია [24].

Foreign Aid: The essence, structure and the goals

L. Natroshvili

The paper discusses the types of foreign aid and its types, major donors, which assist with Foreign Aid to developing countries. The two main types of financial aid are discussed in details – Grant and Loans, through them developing countries get financial and technical assistance.

1. Margaret P. Karns, Karen A. Mingst: international Organizations. The Politics and Processes of Global Governance. 2nd edition. Boulder: Lynne Rienner, 2010;
2. Dwight H. Perkins, Steven C. Radelet, David L. Lindauer: Economics of Development. 6th edition. W.W. Norton, 2006;
3. <http://www.investorwords.com/2858/loan.html>
4. http://ec.europa.eu/europeaid/how/delivering-aid/budget-support/index_en.htm
5. <http://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=6043>
6. http://data.worldbank.org/about/country-classifications/country-and-lending-groups#Low_income
7. <http://goo.gl/7Inmu>
8. <http://www.imf.org/external/about/histcoop.htm>
9. <http://www.imf.org/external/np/exr/facts/glance.htm>
10. <http://www.imf.org/external/np/fin/tad/exfin2.aspx?memberkey1=1020&date1Key=2013-05-31>
11. <http://www.imf.org/external/about/quotas.htm>
12. <http://www.imf.org/external/about/govrep.htm>
13. <http://www.imf.org/external/about/econsurv.htm>
14. <http://www.imf.org/external/about/techasst.htm>
15. <http://www.imf.org/external/about/lending.htm>
16. <http://goo.gl/WOhDk>
17. <http://goo.gl/Mb0kr>
18. http://data.worldbank.org/about/country-classifications/country-and-lending-groups#Lower_middle_income
19. <http://goo.gl/gHeqO>
20. <http://www.ifc.org/ifcext/about.nsf/Content/WhatWeDo>
21. <http://www.miga.org/whoweare/index.cfm>
22. <http://goo.gl/aOmVi>
23. http://www.undp.org/content/undp/en/home/operations/about_us/
24. <http://www.ifad.org/governance/index.htm>

**შრომის ეფექტიანობის მართვის
სრულყოფის საკითხები**

ნუზგარ პაიჭაძე

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი**

შრომის ეფექტიანობის მართვა ორგანიზაციის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იგი, თავისი ხასიათით, სტრატეგიულია, რამდენადაც დაკავშირებულია ორგანიზაციის განვითარების თითქმის ყველა სფეროსთან. მოცემულ პრობლემაზე როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე საქართველოში მრავალი სამეცნიერო შრომაა შესრულებული. მიუხედავად ამისა, მისი ცლკეული საკითხი ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არაა დამუშავებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდიდან დაწყებული, შრომის ეფექტიანობის მართვის კონკრეტულ საკითხებზე მეცნიერული კვლევა არათუ დაჩქარდა, არამედ იგი, თითქმის, საერთოდ არ მიმდინარეობს. საჭირო იყო კი პირიქით მომხდარიყო, რამდენადაც შრომის ეფექტიანობის მართვის პრინციპები და კონკრეტული მეთოდები ძირეულად იცვლება საგვემო ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, რაც განაპირობებს ამ პრობლემის კვლევის აუცილებლობას. ამ ხარვეზის ოდნავად გამოსწორების მოკრძალებული ცდაა წინამდებარე სამეცნიერო სტატია. მასში, შესაბამის მეცნიერულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომის ეფექტიანობის მარ-

თვის აქტუალური თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები და მოცემულია ავტორისეული მოზაზრება საქართველოში მისი სრულყოფის მიმართულებით.

შრომის ეფექტიანობის მართვა, ცხადია, პირდაპირ კავშირშია შრომის მაჩვენებლებთან. ამიტომ, სწორი მართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტერმინის – “შრომის მაჩვენებლები“, არსის სწორ გაგებას. ამჟამად, ამ ტერმინის თაობაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ზოგიერთის თვალსაზრისით, იგი არის შედეგთა უბრალო რეგისტრაცია. დკეინის მიხედვით, ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რასაც ადამიანი ტოვებს თავის შემდეგ, დამოუკიდებლად მიზნისა“ (5,გვ.410). ბერნადინის აზრით, “შრომის მაჩვენებლები საჭიროა განისაზღვროს როგორც მუშაობის შედეგები“ (იქვე). ჩვენ ვემხრობით იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ შრომის მაჩვენებლები თავის თავში მოიცავს მომუშავის ქცევასაც და შედეგსაც (6.გვ.471).

შრომის ეფექტიანობის მართვაში იგულისხმება, ცალკეული მომუშავისა და ჯგუფის შრომის მაჩვენებელთა გაუმჯობესების ხარჯზე, ფირმის (საწარმოს და ა.შ.) შესაბამის მაჩვენებელთა სრულყოფის პროცესი და მის განხორციელებაზე კონტროლი. იგი არის ორგანიზაციის საქმიანობიდან უფრო მაღალი ეკონომიკური შედეგების მიღების საშუალება. შრომის ეფექტიანობის მართვის მთავარი მიზანია მაღალეფექტიანი მუშაობის კულტურის დამკვიდრება, რომლის დროსაც ინდივიდები და ჯგუფები თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას ბიზნესპროცესების მუდმივ სრულყოფასა და თავიანთ უნარ-ჩვევებსა და ღვაწლზე, აგრეთვე, ცალკეული მომუშავისა და ორგანიზაციის კორპორაციული მიზნების შესაბამისობაში მოყვანაზე.

შრომის ეფექტიანობის მართვა გეგმური პროცესია. მისი მთავარი ელემენტებია: **გაზომვა, დიალოგი, შეთანხმება, უკუკავშირი**. პირველი ელემენტისას ხდება შრომის

მაჩვენებელთა მიღებული შედეგების გაზომვა და მისი შედარება, მიზნების სახით გამოხატულ, შესაბამის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, ანუ მოლოდინებთან. შრომის ეფექტიანობის მართვისას, იქმნება პირობები მუშაობის შედეგებზე განუწყვეტელი **დიალოგისათვის**. იგი მოიცავს მიღწეულის სისტემატურ შედარებას არსებულ მიზნებთან, მოთხოვნილებებსა და გეგმებთან. შრომის ეფექტიანობის მართვა განუწყვეტელი პროცესია, რომელსაც ახორციელებენ მენეჯერები. ისინი, სწორედ ამ პროცესის დახმარებით, ეწევიან მმართველობით საქმიანობას. შრომის ეფექტიანობის მართვა ემყარება შრომით ხელშეკრულებაზე აგებულ მართვის პრინციპს. იგი ეყრდნობა კონსენსუსს და არა კონტროლსა და ძალდატანებას და ფუნქციონირებს როგორც მუდმივი და ევოლუციური პროცესი. ესაა შრომისა და განვითარების მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე მენეჯერებსა და თანამშრომლებს შორის რეგულარული დიალოგების საფუძველი. იგი ძირითადად დაკავებულია ცალკეული მომუშავეის შრომის ისეთი მაჩვენებლებით, რომლებიც მისაღებია გუნდური მუშაობისას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია განვითარებაზე. ამასთან ერთად, შრომის ეფექტიანობის მართვა არის წახალისების მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი შეიძლება დაკავშირებულ იქნეს ანაზღაურებასთან შრომის მაჩვენებლებისა და ღვაწლის შესაბამისად.

შრომის ეფექტიანობის მართვის სწორი გაგებისათვის აუცილებელია კარგად გავერკვეთ შემდეგ საკითხებში: **ა) შრომის მაჩვენებლების არსი; ბ) ორგანიზაციის ფასეულობათა მნიშვნელობა; გ) შესაბამისობის გააზრება; დ) მოლოდინების მართვა; ე) გონიერი მართვის მნიშვნელობა.**

შრომის მაჩვენებლებს ხშირად განსაზღვრავენ შედეგის ტირმინებით. მაგრამ, იგი არა მარტო ისაა, რასაც აღწევენ ადამიანები, არამედ ისიც, ისინი ამას როგორ აღწევენ. შრომის ეფექტიანობის მართვისას, აუცილებელია გაირკვეს,

თუ როგორ იქნა მიღწეული შედეგები, რამდენადაც იგი იძლევა აუცილებელ ინფორმაციას იმის განსასაზღვრად, რა უნდა გაკეთდეს კიდევ, რომ გაუმჯობესდეს შედეგები. ბრამბეჯის მიხედვით, “შრომის მაჩვენებლები გულისხმობს ქცევასაც და შედეგსაც. მომუშავეთა ქცევა გარდაქმნის შრომის მაჩვენებლებს აბსტრაქციიდან მოქმედებაში. ქცევის წესები, აგრეთვე, თავისთავად არის შედეგი—გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების პროდუქტი...და იგი შეიძლება განხილულ იქნეს შრომის შედეგისაგან განცალკავებულად.“ (6, გვ.471). აქედან გამომდინარე, ჯგუფებისა და მომუშავეთა შრომის ეფექტიანობის მართვისას, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული დაბანდებებიც (ქცევა) და პროდუქტიც (შედეგი). მართვის ასეთი მეთოდი ცნობილია შრომის ეფექტიანობის მართვის “შერეული“ მოდელის სახელწოდებით. იგი მოიცავს როგორც კომპეტენციისა და მიღწევების დონეს, ისე მიზნების დასმასა და მათ კვლევას.

შრომის მაჩვენებლები დაკავშირებულია ორგანიზაციის ფასეულობებებთან, მის გამართულობასა და “ცხოველმყოფელობასთან“. იგი ფოკუსირდება საბაზისო ფასეულობებზე (ზრუნვა ადამიანებსა და ხარისხზე, თანაბარი შესაძლებლობებისა და მუშაობის ეთიკური ნორმების შექმნა-რეალიზაციაზე და სხვ.). საბოლოო ანგარიშით, ეს დეკლარირებული ფასეულობების ხორცშესხმაა პრაქტიკაში.

შრომის ეფექტიანობის მართვის ერთ-ერთი ფუნდამენტური ამოცანაა ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ მიზნებს შორის შესაბამისობის (ბალანსის) უზრუნველყოფა. იგი გულისხმობს, რომ ყველაფერმა, რასაც ადამიანები საწარმოში აკეთებენ, უნდა განაპირობოს მომუშავეთა საკუთარი და ორგანიზაციული მიზნების განხორციელება. აღნიშნული შესაბამისობა შეიძლება მიღწეულ იქნეს კასკადური პროცესის დახმარებით, რომლის დროსაც ორგანიზაციული მიზნები დაიშვება ზემოდან ქვემოთ და თითოეულ დონეზე განისაზ-

ღვრება ჯგუფური და ინდივიდუალური მიზნები უფრო მაღალი დონის ამოცანებიდან გამომდინარე. მაგრამ, ამ დროს ადგილი უნდა ჰქონდეს აღმავალ პროცესსაც, მიმავალს ქვევიდან ზევით. მოცემულ შემთხვევაში ადამიანები და ჯგუფები საშუალებას ღებულობენ, საერთო სტრუქტურის ჩარჩოებში, ჩამოაყალიბონ საერთო მიზნით, სტრატეგიითა და ფასეულობებით განპირობებული თავიანთი საკუთარი მიზნები. ამასთან, მიზნები უნდა დაისვას არა ხელმძღვანელთა მიერ, არამედ შეთანხმდეს მენეჯერებსა და მუშაკებს შორის, ღია დიალოგის საშუალებით.

შრომის ეფექტიანობის მართვა უშუალო კავშირშია მილოდინების მართვასთან. იგი ქმნის იმის ზოგად გაგებას, თუ რა არის აუცილებელი შრომის მაჩვენებლების გასაუფლებსებლად და როგორ იქნება ეს მიღწეული ადამიანების მომავალი მოქმედებებისა და ქცევიდან გამომდინარე, მილოდინების დაზუსტებისა და შეთანხმების გზით.

შრომის ეფექტიანობის მართვის ერთ-ერთი ფუნქციაა პროდუქტიული და კეთილგონიერი ქცევის წახალისება. საქმე ისაა, რომ შრომის შედეგებით მიღებული წარმატების განცდა ადამიანებში იწვევს პოზიტიური განწყობის განმტკიცებას, რაც, თავის მხრივ, შრომის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შრომის ეფექტიანობის მართვა განუწყვეტელი და მუდმივად განმეორებადი პროცესია, რომლის ძირითადი პრინციპებია: 1) კორპორაციული მიზნების დაყვანა მომუშავეს, ჯგუფის, განყოფილების ან ქვეგანყოფილების მიზნად; 2) მომუშავეთა წახალისება თავიანთი შრომის თვითმართვაში; 3) მართვის ღია და პატიოსანი სტილი, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელებსა და დაქვემდებარებულებს შორის ორმხრივ კავშირს; 4) მოთხოვნილება მუდმივ უკუკავშირზე; 5) ერთობლივად დამტკიცებული მიზნების შესაბამისი შრომის ყველა მაჩვენებლის გაზომვა და შეფასება.

ზოგიერთი თვლის, რომ შრომის მაჩვენებელთა შეფასება და შრომის ეფექტიანობის მართვა იდენტური ცნებებია, რაც არასწორია. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. შრომის მაჩვენებელთა შეფასება შრომის ეფექტიანობის მართვის შემადგენელი ნაწილია და მასში იგულისხმება მომუშავეთა შრომის ფორმალური შეფასება და მათი რეიტინგის განსაზღვრა მენეჯერების მიერ. შრომის ეფექტიანობის მართვა კი მნიშვნელოვნად უფრო ფართო, ყოვლისმომცველი პროცესია, რომლის საბოლოო მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

შრომის მაჩვენებელთა შეფასება, არც ისე შორეულ წარსულში, დისკრედიტირებული იყო, რადგან ბიუროკრატიული სისტემის მიერ ზემოდან დაშვებული ამ შეფასებით ხშირად ზედმეტად სარგებლობდნენ ადამიანური რესურსების მენეჯერები და მას ძირითადად იყენებდნენ მმართველობითი კონტროლის განსახორციელებლად. შრომის მაჩვენებელთა შეფასება, როგორც წესი, მიმართული იყო წარსულზე (რაც იყო გაკეთებული არასწორად) და არა მომავალზე. შრომის მაჩვენებელთა შეფასებები არსებობდა თავისთავად, მათსა და კომპანიის მოთხოვნილებებს შორის კავშირი ან ძალიან სუსტი, ან საერთოდ არ იყო. ხაზობრივი მენეჯერები, არც ისე იშვიათად, უარყოფდნენ შრომის მაჩვენებელთა შეფასების საჭიროებას, რამდენადაც მასზე იხარჯებოდა დიდი დრო და ის უმეტესად არ ეხებოდა რეალურ საქმეს.

შრომის ეფექტიანობის მართვა განიხილება როგორც მუდმივად განახლებადი ციკლი, რომლის ნაწილებია: **1) დაგეგმვა**—შრომის მაჩვენებლებსა და განვითარებაზე შეთანხმებების დადება; **2) მოქმედება**—შრომის ეფექტიანობის მართვა წლის განმავლობაში. შრომის მაჩვენებლებზე შეთანხმებები საფუძველს ქმნის შრომის მაჩვენებელთა მართვის პროცესში განვითარების, შეფასებისა და უკუკავშირისათვის. სწრედ ის განსაზღვრავს მოლოდინებს როლური პროფილის

ფორმაში, რითაც დგინდება როლური მოთხოვნები საბოლოო შეთანხმებისა და კომპეტენციების სფეროების ტერმინებში, რაც აუცილებელია შრომის ეფექტიანობის დასახასიათებლად. როლური პროფილი აყალიბებს მიღწეულ შრომის მაჩვენებელთა გაზომვის მიზნებს, მეთოდებსა და კომპეტენციების დონის შეფასებაზე შეთანხმების ფუნდამენტს. შეთანხმება შრომის მაჩვენებლებზე მოიცავს ამ მაჩვენებელთა გაუმჯობესების ნებისმიერ გეგმას, აგრეთვე, პირადი განვითარების გაგმას. მასში მოცემულია რა უნდა გააკეთოს ადამიანი და როგორ მხარდაჭერას მიიღებს იგი მენეჯერის მხრიდან. შეთანხმებები შრომის მაჩვენებლებზე გამომდინარეობს როლური მოთხოვნილებებისა და შრომის მაჩვენებელთა ანალიზიდან.

შრომის ეფექტიანობის მართვის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტებია მიზნები და ამოცანები. ეს ტერმინები ურთიერთშენაცვლებადია და განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა იქნეს მიღწეული. არსებობს მიზანთა სხვადასხვა ტიპი: **1) შესასრულებელი** როლი, ანუ სამუშაო მიზნები **2) "სამიზნეები"** – რაოდენობრივი შედეგები, რაც მიღებული უნდა იქნეს და შეიძლებოდეს გაიზომოს ისეთი სიდიდებით, როგორიცაა: მოგება გამოყენებულ კაპიტალზე, პროდუქცია, მწარმოებლურობა, გაყიდვები, მომსახურების დონე, დანახარჯთა შემცირება, წუნის კოეფიციენტის შემცირება და სხვ; **3) დავლება/პროექტები**, რაც უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დროში განსაზღვრული შედეგებით; **4) ქცევა**.

მიზანთა კრიტერიუმებია: **1) ელასტიკურობა** – იყოს ნათელი, არაორაზროვანი, პირდაპირი და გასაგები; **2) გაზომვადობა** – რაოდენობრივად, ხარისხობრივად, დროისა და ფულის მიხედვით; **3) მიღწევადობა** – შეიცავდეს დაძაბული მუშაობის მოთხოვნილებას, მაგრამ იყოს შესრულებადი, კომპეტენტური და პასუხისმგებლობის მქონე მუშაკებისათვის; **4) ადეკვატურობა** – იყოს ორგანიზაციის მიზნების შესაბამისი. ამასთან,

ცალკეული მუშაკის მიზნები შესაბამისობაში უნდა იყოს კორპორაციულ მიზნებთან; **5)დროით შემოსაზღვრულობა**– მიზნის მიღწევის დროის განსაზღვრა.

შრომის ეფექტიანობის მართვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა **გაზომვა**. იგი საფუძველია უკუკავშირის წარმოქმნისა და გენერირებისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა იდენტიფიცირდეს, სად მიდის საქმე კარგად ან ცუდად. იქ, სადაც სიტუაცია არახელსაყრელია, მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ზომები მის გამოსასწორებლად. შრომის მაჩვენებელთა გაზომვა შედარებით იოლია იმ მუშაკთათვის, რომელთა შრომის შედეგები გამოიხატება რაოდენობრივად– წარმოებული პროდუქციით, ცალობით, წონისა და ფულის ერთეულებით და ა. შ. იგი გაცილებით რთულია გონებრივი შრომის მუშაკთა, მაგალითად, მეცნიერთა შემთხვევაში. ამ სიძნელის გადალახვის მიზნით, მ. არმსტრონგის მიერ შემოთავაზებულია, საზღვარი გავავლოთ შრომის შედეგების ორ ფორმას–პროდუქტსა და საბოლოო შედეგს შორის (6,გვ.479). პროდუქტი–ესაა შედეგი, რომელიც შეიძლება გაიზომოს რაოდენობრივად, ხოლო საბოლოო შედეგი– ადამიანის ძალ-ღონის დაძაბვის შედეგად მიღებული ხილული ეფექტი, რომელიც არ ექვემდებარება რაოდენობრივ გაზომვას. უნდა გვახსოვდეს, რომ სამუშაოს ყველა სახეობას ახლავს საბოლოო შედეგი, თუნდაც მისი გაზომვა რაოდენობრივად არ შეიძლებოდეს. შესაბამისად, ხშირად აუცილებელია შრომის ეფექტიანობა გაიზომოს მიღწეულ საბოლოო შედეგზე დაყრდნობით და მისი შედარებით საბოლოო შედეგის მოლოდინებთან. საბოლოო შედეგი შეიძლება გამოიხატოს ხარისხობრივ მაჩვენებლებში, მაგალითად, შრომის ნორმების შესრულებისა და პასუხისმგებლობის დონეში, დავალების ან პროექტის კარგად (დამაკმაყოფილებლად, ცუდად) დასრულებაში, მომსახურების მიწოდების ხარისხში და ა. შ. შრომის შედეგების შეფასებისას, აუცილებელია გათვალისწინებულ

იქნეს, აგრეთვე, კაპიტალური დაბანდებები მომუშავეთა ცოდნისა და საჭირო უნარ-ჩვევების ამალგებაში და მომუშავეთა ქცევა. ცხადია, ამ უკანასკნელის რაოდენობრივი გახომვა შეუძლებელია. თუმცა, იგი შეიძლება შეფასდეს მისი შედარების საშუალებით ცუდი და კარგი ქცევის მიღებულ განსაზღვრებებთან.

შრომის ეფექტიანობის მართვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია შრომის მაჩვენებლების დაგეგმვა. იგი შრომის ეფექტიანობის მართვის პროცესში მოიცავს შეთანხმებს მენეჯერსა და მომუშავეებს შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა: რა უნდა გააკეთონ მომუშავეებმა მიზანთა მისაღწევად, საჭირო სტანდარტებისა და შრომის მაჩვენებლების ასამალგებლად და აუცილებელი კომპტენციების გამოსამუშაველად. იგი, აგრეთვე, ადგენს პრიორიტეტებს, ანუ მუშაობის საკვანძო ასპექტებს, რაზეც პირველ რიგშია საჭირო ყურადღების მიქცევა. ამავე სტადიაზე თანხმდება, თუ როგორ გაიზომება შრომის მაჩვენებლები და რის საფუძველზე იმსჯელებენ კომპტენციების დონეზე. (შრომის მაჩვენებლების გაზომვის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ: (2. გვ. 135).

უნდა გვახსოვდეს, რომ შრომის ეფექტიანობის მართვა — ესაა პროცესი, რომელიც აღამიანების მართვისას ეყრდნობა თეორიულად და პრაქტიკულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს მმართველობითი საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორცაა: შრომის მაჩვენებლების დაგეგმვა, მათ შესრულებაზე საჭირო კონტროლისა და შესაამის მოქმედებათა შეფასება და სხვ. ამიტომ, მენეჯერებს არ უნდა მოეჩვენოთ, რომ თითქოს შრომის მაჩვენებელთა მართვა — ეს რაღაც განსაკუთრებული რამაა. სინამდვილეში, პირიქით, ეს ისაა, რასაც ყოველდღიურად აკეთებენ წარმატებული მენეჯერები. საკითხისადმი ასეთ მიდგომას აშკარად ვერ პასუხობს შრომის მაჩვენებელთა შეფასების დღემდე უმეტესად გავრ-

ცვლელბული სისტემა, რომელსაც, როგორც ვეხი, აწარმოებს კადრების განყოფილება. ხშირად ეს ხდება ზედაპირულად, ხოლო შემდეგ მას ივიწყებენ. მენეჯერები განაგრძობენ მართვას შრომის მაჩვენებლების შესრულების ანალიზის შედეგებთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. შრომის ეფექტიანობის მართვის კულტურის შექმნისა და განვითარებისათვის აუცილებელია მას ჰქონდეს აქტიური მხარდაჭერა უმაღლესი ხელმძღვანელობიდან. მათ ნათლად უნდა შეიგნონ, რომ იგი არის ორგანიზაციისათვის მდგრადი განვითარების მისაღწევად უაღრესად მნიშვნელოვანი საშუალება. უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მკაფიოდ უნდა მიუთითოს, რომ შრომის ეფექტიანობის მართვა სწორედ ისაა, რასაც ელოდებიან მენეჯერებისაგან და, რომ მენეჯერთა მუშაობა შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აცნობიერებენ ისინი ამას და როგორ არიან ამით დაკავებულნი.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ატარებენ შრომის მაჩვენებელთა ფორმალურ მიმოხილვას. ამ შემთხვევაში იყენებენ შრომის ეფექტიანობის მართვის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: შეთანხმება, გაზომვა, დიალოგი და უკუკავშირი. განხილვა უნდა ემყარებოდეს მომუშავეის შრომის რეალურ მაჩვენებლებს. იგი უნდა იყოს კონკრეტული და არა აბსტრაქტული. იგი მენეჯერებსა და მომუშავეებს საშუალებას აძლევს ღიად და პოზიტიურად დაინახონ, როგორ შეიძლება მომავალში გააუმჯობესონ შრომის მაჩვენებლები და გადაწყვიტონ ნებისმიერი პრობლემა, შესაბამისი სტანდარტებისა და მიზანთა მიღწევების სფეროში. მოცემულ შემთხვევაში საჭიროა ადამიანების წახალისება—შეაფასონ თავიანთი შრომის მაჩვენებლები და გახდნენ მათი გაუმჯობესების საქმეში ცვლილებების აქტიური აგენტები. საჭიროა მენეჯერები წახალისდეს— შეასრულონ თანაშემწის, დამრიგებლის, მოძღვრის, მხარდამჭერის როლი. ტრადიციული შეფასებები ხშირად

არის მხოლოდ იმის ანალიზი, რასაც შესაფასებლბმა მი-
აღწიეს მოცემულ მომენტში, საბაზისო პერიოდთან შედარე-
ბით. შრომის ეფექტიანობის მართვის მთავარი დანიშნულე-
ბაა იმის გამოცნობა, თუ რა უნდა გააკეთონ მომუშავეებმა,
რომ მიადწიონ თავიანთი მუშაობის მიზანს, უპასუხონ ახალ
გამოწვევებს, კიდევ უფრო უკეთ გამოიყენონ თავიანთი ცოდნა,
უნარ-ჩვევები და შესაძლებლობანი, მიადწიონ შეთანხმებებს
ნებისმიერ სფეროში, აგრეთვე, იმასაც—როგორ შეიძლება მი-
აღწიონ ასეთ გაუმჯობესებას.

შრომის მაჩვენებელთა კრიტერიუმებით გაითვალ-
ისწინებულ უნდა იქნეს : 1) დასახულ მიზანთა მიღწევის შეს-
აძლებლობა; 2) ცოდნისა და უნარ-ჩვევების (კომპეტენტურ-
ობის) არსებული დონე; 3) შრომის მაჩვენებლებზე მოქმედ
მომუშავეთა ქცევა და მისი შესაბამისობა ორგანიზაციის
საბაზისო ფასეულობებთან.

შრომის მაჩვენებლების მაღალხარისხოვნად განხილ-
ვისათვის აუცილებელია შემდეგი წესების დაცვა: **ა) მენე-
ჯერების მიერ დასახული მიზნების სიისა და შრომის ფაქ-
ტობრივ მაჩვენებლებზე ჩანიშნების მომზადება.** ამ ეტაპზე
მათ უნდა ჩამოუყალიბდეთ თვალსაზრისი წარმატების ან
წარუმატებლობის მიზეზებზე და უნდა გადაწყვიტონ, თუ
ვის წაახალისებენ, შრომის ეფექტიანობის რომელ პრობ-
ლემებს მიაქცევენ ყურადღებას და რა ნაბიჯების გადადგმა
იქნება საჭირო არსებული პრობლემების გადასაწყვეტად.
ამავე ეტაპზე გაიაზრება ყველა მოსალოდნელი ცვლილება,
ცალკეული მომუშავის როლი, მომავალში მათ სამუშაო და
პირად მიზნებზე; **ბ) შრომის მაჩვენებელთა განხილვისათ-
ვის ნორმალური ატმოსფეროს შექმნა.** ცხადია, განხილვის
წარმატება დამოკიდებულია არაფორმალური ატმოსფეროს
ფორმირებაზე, რომელშიაც ხდება აზრის სრული, პატიოსანი
და კეთილმეგობრული გაცვლა; **გ) კარგი უკუკავშირის უზ-
რუნველყოფა.** უკუკავშირი უნდა ეყრდნობოდეს ფაქტებს.

აუცილებელია ყურადღების გამახვილება შედეგებზე, მოვლენებზე, მნიშვნელოვან შემთხვევებსა და ქცევით გამოვნილებებზე, რაც, ასე თუ ისე, გავლენას ახდენს შრომის მაჩვენებლებზე. უკუკავშირი საჭიროა წარმოდგინდეს ისე, რომ ადამიანებს შეეძლოთ აღიარონ და მიიღონ მისი ფაქტობრივი ხასიათი. იმ სფეროების მოხსენიებასთან ერთად, სადაც არის სრულყოფის შესაძლებლობა, საჭიროა მიეთითოს იმ დადებით ქმედებებზე, რომლებიც ადამიანებმა გააკეთეს კარგად. ადამიანები უკეთ იმუშავენ შრომის მაჩვენებლების გადიდებასა და თავიანთი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, თუ იგრძნობენ, რომ ეს პროცესი აძლევს მათ უპირატესობას; **დ) დროის პროდუქტიულად გამოყენება.** შრომის მაჩვენებლების განხილვა რეკომენდებულია ჩატარდეს დიალოგის ფორმით დაინტერესებულ და მოქმედ მხარეებს შორის, რომელთაგან ორივე მისი წარაფვის პოზიტიური შედეგისაკენ; **ე) შრომის მაჩვენებლების განხილვის დაწყება კონკრეტული მიღწევების ანალიზით;** **ვ) ადამიანებისათვის აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალების მიცემა,** რაც დაეხმარება მათ გამოუშვან “ორთქლი“ და ჰქონდეთ იმის შეგრძნება, რომ მათ პატიოსნად მოუსმინეს; **ზ) წინადადების შეთავაზება— გააკეთონ თვითშეფასება.** ეს მენეჯერს ეხმარება შეხედოს სიტუაციას თვით თანამშრომლის თვალებით და გამოიყენოს იგი მასთან დისკუსიისას; **თ) შრომის მაჩვენებლების განხილვისას პიროვნებაზე გადასვლის მიზანშეუწონლობა.** შრომის მაჩვენებლების გაზომვა უნდა დაეფუძნოს ფაქტობრივ მასალას და არა მოსაზრებებს. მენეჯერი ყოველთვის უნდა დაეყრდნოს რეალურ მოვლენებს და ქცევებს, უნდა მოახდინოს მიღებული შედეგების შედარება შრომის მაჩვენებლების წინასწარ შეთანხმებულ კრიტერიუმებთან. ადამიანებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გაარკვიონ რატომ მოხდა ეს ასე ან, პირიქით, არ მოხდა; **ი) კრიტიკის მოულოდნელად დაწყების მიზანშეუწონლობა.** დისკუსია უნდა

შეეხოს მხოლოდ იმ მოვლენებსა და ქცევებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია შრომითი საქმიანობის შედეგებთან; კ) ადამიანების წახალისება შრომის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე; ლ) მიზნების შეთანხმება და სამოქმედო გეგმის შედგენა. აღნიშნული წესები გამართულად მუშაობს მხოლოდ საკითხისადმი ზემოგანხილული მიდგომის შესაბამისი კულტურის პირობებში და მისთვის უმაღლესი ხელმძღვანელობის მხდაჭერისას.

შრომის ეფექტიანობის მართვის სქემების უმეტესობა მოიცავს რეიტინგს ამა თუ იმ ფორმით. აქ მსჯელობაა შრომის მაჩვენებელთა ხარისხზე ან მომუშავეს კომპეტენტურობაზე. იგი საშუალებას იძლევა აირჩეს ის დონე, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება შემფასებლის თვალსაზრისს, თუ როგორ მუშაობდა მომუშავე. იგულისხმება, რომ დაფიქსირებული შეფასება დაეხმარება მენეჯერს შესაბამისი დასკვნის გამოტანაში. ამის საფუძველზე შეიძლება გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილებები ხელფასის თაობაზე, შრომის მაჩვენებლებიდან გამომდინარე ან, უბრალოდ, შედგეს მოკლე რეზიუმე იმის თაობაზე, რაოდენ კარგად ან არც ისე კარგად მუშაობს ადამიანი.

რეიტინგულ შეფასებას ახლავს გარკვეული პრობლემები. საქმე ისაა, რომ მას, უმეტესად, სუბიექტური ხასიათი აქვს. ძალიან ძნელია სხვადასხვა მენეჯერის მოცემულ რეიტინგულ შეფასებებს შორის შესაბამისობის მიღწევა. ამის მთავარ მიზეზად მიჩნეულია შრომის მაჩვენებლებზე მკაფიო წარმოდგენების უქონლობა. შეუძლებელია გონიერი და ფრთხილი მართვის გარეშე გარანტირებულ იქნეს რეიტინგის შეფასების გამოყვანისადმი შეთანხმებული მიდგომა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შრომის მაჩვენებლების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებანი ხელფასის სიდიდის განსაზღვრის თაობაზე, გამოიწვევს უნდობლობასა და ეჭვს. ცხადია, რეიტინგული შეფასებები, თუ მათი შეუსაბამობა აშკარაა,

შეიძლება გაპროტესდეს.

ზემოაღნიშნული პრობლემის შესამცირებლად მიმართვენ სხვადასხვა მედოდს. მათ შორისაა: **1) მენეჯერებისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება**, სადაც განიხილება, თუ როგორ შეიძლება ობიექტურად დაასაბუთო შეფასებები და შეამოწმო ისინი კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით; **2) მდგომარეობით თანაბარ მენეჯერთა მიერ გაკეთებული შეფასებების შემოწმება**. ამ შემთხვევაში მენეჯერთა ჯგუფები იკრიბებიან რეიტინგის შეფასებაში ერთმანეთის შესამოწმებლად და გამოთქვამენ შენიშვნებს. ეს პროცესი დაკავშირებულია დროის გარკვეულ დანახარჯებთან, მაგრამ იგი კარგი საშუალებაა შეთანხმებულობის საჭირო ხარისხის მიღწევისათვის. რეიტინგულ შეფასებათა ობიექტურობას აკონტროლებს ადამიანური რესურსების განყოფილება. იგი ავლენს დაუშვებელ განსხვავებებს სხვადასხვა მენეჯერის მიერ წარმოდგენილ შეფასებებში და მოითხოვს ახსნას მათ შესახებ.

შრომის მანვენებლების გაუმჯობესება შრომის ეფექტიანობის მართვის პროცესის განუყოფელი ნაწილია. იგი მოიცავს განსაზღვრულ ღონისძიებებს, რომლებიც შრომის მეტად დაბალი მანვენებლების მქონეთა პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება “ცუდ მუშაკთა“ პრობლემის გადაწყვეტას, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ამაზე პასუხისმგებელია მუშაკიც და მისი მენეჯერიც, რამდენადაც ეს პრობლემა არ წარმოიშობა, თუ ადამიანებს ეფექტურად მართავენ. როგორც ამბობენ: “არ არსებობენ ცუდი ჯარისკაცები, არსებობენ ცუდი ოფიცრები“. ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს შრომის ეფექტიანობის ამაღლებაში მენეჯერთა გადამწყვეტ როლზე.

სამუშაოს შესრულებაში სიძნელეთა აღმოფხვრის ძირითადი გზებია: 1. **პრობლემის გამოვლენა და განხილვა**. იგი გულისხმობს უკუკავშირის მონაცემების გაანალიზ-

ზების აუცილებლობას და, რამდენადაც შესაძლებელია, მომუშავეთაგან თანხმობის მიღებას იმაზე, რომ მოხდა ჩამორჩენა. უკუკავშირს, როგორც წესი, იძლევიან მენეჯერები, მაგრამ მასში აუცილებელია ჩაერთონ რიგითი მომუშავენი. ეს ასეც ხდება, როცა რიგითი მუშაკები ერკვევიან თავის მიზნებსა და სტანდარტებზე, იციან როგორი ზომები იქნება მიღებული სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისათვის და ღებულბენ უკუკავშირს ავტომატურად ან აქვთ თავისუფალი ხელმისაწვდომობა მასზე. მაშინ მათ შეუძლიათ გაზომონ და შეაფასონ თავიანთი მუშაობის მაჩვენებლები და სათანადოდ იმოქმედონ; **2. ჩამორჩენის მიზეზების დადგენა.** მენეჯერებმა, ნაკლოვანებათა განსაზღვრისას, არ უნდა დაადანაშაულონ პიროვნება მოუფიქრებლად. მიზანი ისაა, რომ მენეჯერმა და მუშაკმა ერთობლივად გამოავლინონ პრობლემების გამომწვევი ფაქტები. მხოლოდ ამ ფაქტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს რა ზომებია მისაღები, რა უნდა გააკეთოს მომუშავემ, რა— მენეჯერმა და რა— ორივემ ერთად. თავდაპირველად საჭიროა გამოვლინდეს ჩამორჩენის მიზეზები, რაც არაა დამოკიდებული მენეჯერზე ან მომუშავეზე, ხოლო შემდეგ განხილულ იქნეს ფაქტორები, რომლებსაც აკონტროლებდნენ მომუშავეები და/ან მენეჯერები. აუცილებელია, აგრეთვე, განისაზღვროს, თუ რამ გამოიწვია მენეჯერთა და მომუშავეთა საქმიანობაში გართულებების წარმოშობა; **3. აუცილებელ მოქმედებებზე საკითხების შეთანხმება.** მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს მუშაკის, მენეჯერის ან ორივე მხარის მიერ ერთად. მასში იგულისხმება: ა) მომუშავე დგამს უნარ-ჩვევების სრულყოფაზე ან ქცევის ცვლილებაზე მიმართულ ნაბიჯებს; ბ) მომუშავე ცვლის მიზანდასახულობას; გ) მენეჯერი მომუშავეს უწევს მხარდაჭერას და აძლევს მითითებებს; დ) მენეჯერი და მუშაკი ერთობლივად მუშაობენ მომავალი მოლოდინების განსამარტავად; ე) მენეჯერი და მუშაკი ერთობლივად მოქმედებენ შესაძლე-

ბლოგებისა და უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. ეს კი პარტნიორობაა იმ აზრით, რომ მუშაკები დგამენ ნაბიჯებს თვითგანვითარებისაკენ, ხოლო მენეჯერები ესმარებიან მათ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლებაში; ე) უკუკავშირის გაკონტროლება და მიწოდება. მენეჯერებიც და მომუშავეებიც აკონტროლებენ შრომის მაჩვენებლებს, რაც იმის გარანტიაა, რომ უკუკავშირი მიღებულია, გაანალიზებულია და თანხმდება ნებისმიერი შემდგომი აუცილებელი მოქმედებები.

შრომის ეფექტიანობის მართვის პროგრამის შემოღებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ მისი მოსალოდნელი წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ამით (შრომის ეფექტიანობის მართვის პროგრამის შემოღებით) ხაზობრივი მენეჯერების დაუინტერესებულობა ან მასზე მუშაობის უნარ-ჩვევების უქონლობა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია მხარდაჭერა იყოს უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან, რომ მათ წაახალისონ ხაზობრივი მენეჯერები აღნიშნული როლის წარმატებით შესრულებაში.

შრომის ეფექტიანობის მართვის ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული ნებისმიერი ორგანიზაციის (კომპანიის, ფირმის და ა. შ.) მუშაობის საბოლოო შედეგები. სამწუხაროდ, საქართველოში მოცემულ პრობლემას ნაკლები ყურადღება ექცევა. ჩვენთან, თითქმის არც ერთ ორგანიზაციაში, არ არსებობს შრომის მაჩვენებლების მართვის მწყობრივი სისტემა. როგორც წესი, იშვიათად ან საერთოდ არ ხდება შრომის მაჩვენებლების შესრულებაზე სისტემატური კონტროლი, ამ მაჩვენებლების გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზების გამოვლენა, მათ აღმოსაფხვრელად კონკრეტული ღონისძიებების დასახვა და განხორციელება. ეს კი შრომის ეფექტიანობის ამაღლების და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორ-

რია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო და აუცილებელია მომავალში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს შრომის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის როგორც თეორიული საკითხების, ასევე, მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესწავლასა და დამუშავებას.

**For Improvement of Labor
Effectiveness Management**

N. Paichadze

This article is devoted to a significant factor of organizations stable development - improvement of management of labor effectiveness. This is a discussion on the issues as follows: the essence of labor efficiency management, tasks, its elements and principles. To the significant elements appeared after the processes of labor efficiency management is paid great attention. These elements are: measuring of the results of work, dialogues, agreement, reverse – contact, planning of work indicator. In this work is also given systematic practice of discussions about already achieved work indicators which are widely spread in economics of developed countries and the author's own thoughts about this topic is given. The issues are connected to the methods of their performing. Managing work efficiency, special attention is paid to the practice of establishment of the employees ratings assessment by the managers and the problems in relation to it. Finally, a brief analysis of labor efficiency management in Georgia is given with a short analysis of existed condition and the authors' thoughts on its improvement.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაიჭაძე ნ. შრომის ნაყოფიერების თეორიის ზუგით-ერთი საკითხი, თბ., 1984;
2. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურსების დაგეგმვის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, № 6, გვ. 135;
3. პაპავა ვ., მიქიაშვილი ნ. კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობა, მაკროეკონომიკური მოდელირება, თბ., 1999;
4. ხურციძე ნ. შრომის ნაყოფიერების პრობლემები, თბ., 1975;
5. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. 8-е издание. Перевод с английского. М., 2008;
6. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. 10-е издание. Перевод с английского. М., 2012;
7. Пайчадзе Н. Производительность труда и проблемы ее повышения в условиях интенсификации производства. Тб., 1988;
8. Эренберг Р. Дж., Смит Р. С. . Современная экономика труда. Перевод с английского. М., 1996.

**კულტურის სფეროს უინანსური
ზღრუნველყოფის
რეგულირებისათვის**

მირონ ტულუში,
საქართველოს თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნების მენეჯმენტის
მიმართულების სრული პროფესორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
მოწვეული პროფესორი

საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს - ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერების, განათლების და ა.შ., განვითარებაში კულტურის როლი მეტად მნიშვნელოვანია. ეს, პრაქტიკაში არსებული მისი ასეულობით განმარტებიდანაც, ნათლად ჩანს. ფართო გაგებით, კულტურა რთული ფენომენია, ხალხის საწარმოო, საზოგადოებრივი და სოციალური მიღწევების ან ადამიანების საქმიანობის სხვადასხვა სფეროში შექმნილი ტრადიციების, ჩვეულებების, ცხოვრებისეული წარმოდგენების, ქცევის ნიმუშებისა და ნორმების ერთობლიობაა, რაც დროთა განმავლობაში სხვადასხვა ფორმით ტრანსფორმირდება და თაობიდან თაობებს გადაეცემა.

ვიწრო გაგებით, ცნება - „კულტურის სფერო“, საზოგადოების ცხოვრების ისეთ კონკრეტულ მიმართულებებს ახასიათებს, როგორცაა: კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის (სამუზეუმო, საბიბლიოთეკო და საარქივო საქმე, კულტურის ძეგლთა ინვენტარიზაცია და დაცვა, ნაციონალური და ადგილობრივი ტრადიციები, დღესასწაულები და ა.შ.) გამოყენება და შენახვა, მხატვრული განათლება, მხატვრული და საბავშვო შემოქმედება, ხელოვნება, საკონცერტო მოღვაწეობა, დასვენებისა და გართობის ორგანიზება, ეთნოგრაფიული ხელოვნება, რეწვა და ა.შ.

საქართველოს კანონში - „კულტურის შესახებ“ აღ-

ნიშნულია, რომ „კულტურის სფერო ესაა ისტორიულ-კულტურული ტერიტორიები და ობიექტები, შენობა-ნაგებობები, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლები, ფოლკლორი, მხატვრული სუენირი, ხალხური რეწვა და ხელობა, პროფესიული ხელოვნება და ლიტერატურა, სახელოვნებო განათლება და მასთან დაკავშირებული პედაგოგიკა, სამეცნიერო კვლევა და მეთოდოლოგია, ტექნოლოგიები, კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია და გაშუქება, კულტურულ - გასართობი შემეცნებითი პროგრამები და შოუ ბიზნესი“ (მუხლი 5, პ., „ზ“).

კულტურის სფეროში საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე, კერძო პირების მიერ. აქ ფუნქციონირებს როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული ორგანიზაციები, თუმცა, წამყვან როლს არაკომერციული ორგანიზაციები (ასოციაციები, ფონდები, ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციები, სახელმწიფო არეკომერციული ორგანიზაციები) ასრულებენ. ამიტომ, არაკომერციულ ორგანიზაციებში მენეჯმენტის მდგომარეობა განსაკუთრებულ ინტერესს იძენს.

კულტურის სფეროში მართვის მთავარი თავისებურება ისაა, რომ იქ ფულის „გამომუშავება“ ძირითადად ხდება არაკომერციული საქმიანობის საფუძველზე, არამედ დაინტერესებული დონორებიდან თანხების მოზიდვით - სპონსორობის, პატრონაჟის, ქველმოქმედების საშუალებით. მაშასადამე, საქართველო, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოური ქვეყანა, სადაც კულტურის სფეროს დაფინანსების უმთავრესი წყარო ბიუჯეტი იყო, იძულებულია ბიუჯეტიდან თანხების შემცირება არასაბიუჯეტო თანხების მოზიდვით ჩაანაცვლოს, რაც საკმაოდ რთული პრობლემაა.

როგორც აღვნიშნეთ, კულტურის სფეროში არაკომერციულთან ერთად კომერციული საქმიანობაც ხორციელდება, რაც ამ სფეროში მართვის უნივერსალურობასა და სპეციფიკურობაზე მიუთითებს. პრაქტიკამ განვითარებული ქვეყნების მაგალითზე არაერთხელ დაადასტურა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ბიზნესი და კულტურა ერთმანეთზე გადა-

ჯაჭვეულია და ისინი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ კულტურის ორგანიზაციების ქსელის გაფართოება დასაქმების დონის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორია, შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურის სფეროს ეფექტიანი მართვა-რეგულირება უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია მისი ფინანსური უზრუნველყოფის პროცესის დეტალურად შესწავლის, შეფასებისა და მარეგულირებელი ღონისძიებების გატარების გარეშე.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ კულტურის სფეროს დაფინანსების, მხარდაჭერისა და განვითარების სამი ძირითადი ტიპი არსებობს. ესენია: „რომანული“, „გერმანული“, და „ანგლო-ამერიკული“ ტიპები.

1. „რომანული“ ტიპისათვის (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი) დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა კულტურის სფეროს ძირითადად ცენტრალიზებული, ანუ სახელმწიფო სახსრებით დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ კულტურის სფეროს დაფინანსების აღნიშნული ტიპი (ოღონდ უკიდურესად ცენტრალიზებული ფორმით) გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში, რის გამოც იგი, ამჟამად, დამახასიათებელია საქართველოსათვისაც;

2. „გერმანული“ ტიპი დამახასიათებელია გერმანიისა და სკანდინავიის ქვეყნებისათვის - ცენტრალური ხელისუფლება მხოლოდ პატერნალისტურ მხარდაჭერას (ამ შემთხვევაში, ზემდგომის მიერ ქვემდგომისადმი გამოჩენილი მზრუნველობა, მფარველობა) ავლენს, ხოლო სახელმწიფო დაფინანსება უპირატესად ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, დამოუკიდებელი სტრუქტურებიდან და ფონდებიდან;

3. „ანგლო-ამერიკული“ ტიპის შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის პატრონის როლში, დაფინანსება კი ხორციელდება კერძო კაპიტალის მოზიდვის, მათ შორის საგადასახადო შედავათების ხარჯზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება უფრო მართებული იყოს ვიმსჯელოთ კულტურის სფეროს დაფი-

ნანსების არა „ნაციონალურ“ ტიპებზე, არამედ დაფინანსების განსხვავებულ მექანიზმებზე, როცა:

1. დაფინანსება ხორციელდება უპირატესად ცენტრალიზებულად, უშუალოდ სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით;

2. დაფინანსება უპირატესად ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით;

3. კულტურის სფეროს დაფინანსების ძირითადი წყაროა სპონსორობა (ქველმოქმედება), რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს პოლიტიკური და სამართლებრივი რეგულირებით.

კულტურის სფეროს დეცენტრალიზებული დაფინანსების ყველაზე ეფექტიანი სისტემა შექმნილია აშშ-ში, რომლის საფუძველია პრინციპი: „გადასახადები უმცირდება მათ, ვინც ქველმოქმედებას ეწევა“. აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად გაააქტიურა აშშ-ის არასახელმწიფო სექტორი. თუმცა, ბუნებრივად ისმის კითხვა - შეიძლება, თუ არა, რომ ზემოაღნიშნული პრინციპი ან კულტურის სფეროს დაფინანსების ამერიკული გამოცდილება, მთლიანად დაენერგოთ საქართველოში? სამწუხაროდ, აშშ-სა და საქართველოში არსებული მთელი რიგი მკვეთრად განსხვავებული პირობების გამო (სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და ა.შ.) პასუხი მხოლოდ უარყოფითი შეიძლება იყოს.

საქართველოს, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნის კულტურის სფერო, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი ეტაპიდანვე, საკმაოდ მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. დაფინანსების საკუთარი წყაროების შეზღუდულობის, სახელმწიფო თუ სხვა დონის ბიუჯეტებიდან მწირი დაფინანსების, ხშირ შემთხვევაში კი მისი არარსებობის, ფანდრეიზინგული კამპანიის შედეგად თანხების გარედან მოზიდვის შესაძლებლობების არქონის ან მისი სიმცირის გამო კულტურის სფეროს ორგანიზაციებს - თეატრს, კინოს, მუზეუმს, გამომცემლობას და ა.შ., ფინანსურად ძალიან გაუჭირდა. ისინი, ერთეული გამონაკლისების გარდა, უსახსრობის, ან მისი უკმარისობის გამო მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციას დიდი ხანია ვერ ახერხებენ.

ზემოაღნიშნული მიმე მდგომარეობა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. უმთავრესი მაინც ის არის, რომ ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ცენტრალიზებული დაფინანსების პოსტსაბჭოური მანკიერი პრაქტიკის მოკლე ხანში დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა. სხვადასხვა მიზეზის გამო ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ერთობ გაჭიანურდა, სათანადოდ ვერ განვითარდა ბიზნესი, ვერ ამალდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, მცირე გამოწვევის გარდა, მთლიანად სოციალური სფეროს, მათ შორის კულტურის სფეროს ორგანიზაციების საკუთარი შემოსავლები უმნიშვნელოა.

მაშასადამე, საქართველოში, კულტურის სფეროს დაფინანსების მსოფლიო პრაქტიკაში არსებული ორი მნიშვნელოვანი წყარო - **კულტურის სფეროს ორგანიზაციების საკუთარი შემოსავლები და გარედან მოზიდული სახსრები**, კულტურის სფეროს განვითარებაზე რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს, ამიტომაც, რომ მთელი ყურადღება, კვლავ, გადატანილია სახელმწიფო დაფინანსებაზე. არადა, როგორც აღვნიშნეთ, ისიც საკმაოდ მცირეა.

2005-2013 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში (ცხრილი 1) კულტურის სფეროს, დასვენებისა და რელიგიის გაერთიანებული ხარჯები (კოდი -708) 45 844,2 ათასი ლარიდან 140 836,8 ათას ლარამდე გაიზარდა, რაც სოლიდური მატებაა, მაგრამ მისი წილი მთლიან შიგა პროდუქტში (მშპ) მხოლოდ უმნიშვნელოდ - 0,39%-დან 0,49%-მდე, საკუთრივ კულტურის სფეროს ხარჯები კი დაახლოებით 0,29%-დან 0,40%-მდე გაიზარდა, რაც, მეტად დაბალი მაჩვენებელია. ამ მხრივ დიდად უკეთესი მდგომარეობა განათლებაში, რომლის ხარჯების (კოდი-709) წილი მშპ-ში, ზემოაღნიშნულ პერიოდში 0,51 %-დან 2,36%-მდე ამალდა. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლების სფეროს დაფინანსების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2006 წლიდან მშპ-ში მისი წილი 2%-ს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, ამჟამად, საქართველოს განათლების სფერო ფინანსური სახსრების ნაკლებობას მაინც

მირონ ტულუშვილი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2005-2013 წწ (ათასი ლარი)[5, მუხლი, 9]

ცხრილი 1

ფუნქციონალური კლასიფიკაცია	დასახელება	2005 წ.	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
		ფაქტობრივი	ფაქტობრივი	ფაქტობრივი	გეგმა	გეგმა
	ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	11 620,9	20 791,3	24 344,0	26 308,5*	28 863,1**
	ხარჯები სულ	2 618 557,0	6 486 731,9	6 862 924,9	7 606 047,4	7 969 392,7
707	მ.შ. ჯანმრთელობის დაცვა	147 716,0	415 024,1	361 052,8	401 618,6	681 212,6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	45 844,2	165 718,2	158 878,4	194 344,4	140 836,8
7081	მომსახურება და სპორტის სფეროში	...	32 677,7	41 857,8	53 349,6	40 340,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	16 560,5	48 071,7	65 373,0	89 305,8	76 114,0
7083	ტელევიზიონული, საგამომცემლო საქმიანობა	16 897,9	38 301,8	45 423,2	46 517,1	19 613,7
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	...	32 026,0	2 118,1	1 350,4	783,1
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის და ფინანსება	...	14 641,0	4 106,2	3 669,0	3 986,0
709	განათლება	59 171,7	504 139,1	555 791,2	637 448,2	682 296,1
პროცენტობით მშპ-ის მიმართ						
707	ჯანმრთელობის დაცვა	1,27	2,00	1,48	1,52	2,36
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	0,39	0,80	0,65	0,74	0,49
	მ.შ. კულტურა	0,29		0,44	0,54	0,40
709	განათლება	0,51	2,43	2,28	2,42	2,36
პროცენტობით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მიმართ						
707	ჯანმრთელობის დაცვა	5,64	6,40	5,26	5,28	8,55
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,75	2,55	2,32	2,56	1,77
	მ.შ. კულტურა	1,56	1,88	1,46
709	განათლება	2,26	7,77	8,10	8,38	8,56

შენიშვნა: იმის გამო, რომ 2005 წელს ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაცია საგრანტობაზე განსხვავდება მომდევნო წლებში მოქმედი კლასიფიკაციისაგან მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი მიმართულებების სახით.
*წინასწარი მონაცემები.

**პროგნოზი.

შენიშვნა: იმის გამო, რომ 2005 წელს ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

საგრძობლად განსხვავდება მომდევნო წლებში მოქმედი კლასიფიკაციისაგან

მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი მიმართულებების სახით.

*წინასწარი მონაცემები.

**პროგნოზი.

განიცდის, კულტურის სფერო კი ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაშია. როგორც ჩანს, იგი, წლების განმავლობაში, მთავრობისათვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა.

თითქმის იგივე მდგომარეობაა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროების დაფინანსების მხრივაც (ცხრილი 2).

სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა სამინისტროების მიხედვით 2009-2013 წლებში (ათასი ლარი) [5, მუხლი, 7]

ცხრილი 2

სამინისტროების დასახელება	2009 წლის ფაქტობრივი	2011 წლის ფაქტობრივი	2012 წლის ფაქტობრივი	2013 წლის გეგმა
სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები სულ	6 754 106,8	7 459 279,5	8 120 000,0	8 748 500,0
საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები (კოდი-01 00)	36 788,9	34 032,1	39 127,7	60 000,0
საქართველოს მთავრობის კანცელარია (04 00)	8 768,8	10 240,9	10 000,0	9 960,0
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (24 00)	271 748,7	128 418,0	118 212,7	100 000,0

მორონ ტულუმი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (25 00)	61 872,8	166 083,8	134 297,4	82 500,0
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (26 00)	717 785,1	834 568,5	982 060,1	901 000,0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (27 00)	71 259,4	130 459,9	54 171,0	71 400,0
სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (28 00)	118 906,5	111 862,0	124 900,0	174 300,0
საგარეო საქმეთა სამინისტრო (29 00)	66 104,7	74 628,9	83 500,0	80 000,0
თავდაცვის სამინისტრო (30 00)	868 565,7	728 427,0	676 500,0	660 000,0
შინაგან საქმეთა სამინისტრო (31 00)	573 373,2	567 423,9	585 050,0	570 000,0
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (33 00)	489 782,3	552 515,7	600 680,0	670 000,0
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (34 00)	64 028,8	69 381,2	100 057,2	80 000,0
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (36 00)	1 503 345,6	1 665 948,3	1 809 954,2	2 345 000,0
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (37 00)	53 132,2	212 068,9	290 187,6	118 765,0
სოფლის მეურნეობის სამინისტრო (38 00)	75 160,0	85 112,4	148 901,2	241 000,0

როგორც ჩანს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ამჟამადაც, ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. მაგალითად, 2009 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მთელ მოცულობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წილი 0,95%-ს შეადგენდა, 2013 წლისათვის კიდევ უფრო შემცირდა და 0,91% შეადგინა, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ეს მაშინ, როცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შედარებით, ამ პერიოდში, საგრძნობლად გაიზარდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა (22,3-დან 26,8%-მდე) და განათლებისა და მეცნიერების (7,3-დან 7,7%-მდე), აგრეთვე, სოფლის მეურნეობის (1,1-დან 2,8%-მდე) სამინისტროების ასიგნებების მოცულობა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აქვე ისიც აღინიშნოს, რომ საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ძველმა მთავრობამ შეადგინა, ახალმა მთავრობამ კი ძალზე მოკლე პერიოდში მისი არსებითი გადამუშავება ვერ შეძლო, თუმცა, რიგი პრიორიტეტი მაინც ჩამოაყალიბა, ესენია: მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო წარმოება და გადამუშავება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში კულტურის სფეროსაც მეტი ყურადღება მიექცევა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ყველაზე უფრო სოლიდურად 2012 წელს დაფინანსდა - 100 057,2 ათასი ლარი. თანხა ათვისებულ იქნა შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა - 4 433,7 ათასი ლარი;
- ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გა-

მირონ ტულუში

რეთ- 56 435,5 ათასი ლარი;

- სახელწოდებო განათლების სისტემის ხელშეწყობა-11 411,4 ათასი ლარი;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა - 27 776,6 ათასი ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2012 წელს, წინა წლებთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვნად გაეზარდა დაფინანსების მოცულობა, ექსპერტების მოსაზრებით იგი მაინც მწირია იმ პრობლემების გათვალისწინებით, რაც ზემოაღნიშნული მიმართულებებით მთლიანად დარგისა და სამინისტროს წინაშე დგას. მაგალითად, საქართველოში 2004 წელს ამოქმედდა **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა**, რომლის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, კულტურული მემკვიდრეობის განვითარების ხელშეწყობა, დაცვა და პოპულარიზაცია. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტების მომზადება;

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაცია;

- ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ქართული ძეგლების რეაბილიტაცია;

- UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ქართული ძეგლების დოკუმენტირება და რეაბილიტაცია;

- კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (მოდრავი, უძრავი) ინვენტარიზაცია-დოკუმენტირება;

- ძეგლთა ინტეგრირებული ინფრასტრუქტურების შექმნა, რეგიონული მუზეუმების რეაბილიტაცია და ექსპოზი-

ციათა განახლება;

- კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, პოპულარიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და ა.შ.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში კი გამოყოფილია მხოლოდ 7 მლნ ლარი, რაც, რა თქმა უნდა, არასაკმარისია.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო, კულტურის სფეროს, ძირითადად, არა მხოლოდ პირდაპირ (ბიუჯეტებიდან), არამედ ირიბი მეთოდების გამოყენებითაც ეხმარება. იგი საგადასახადო შეღავათებს უწესებს იმ ბიზნეს-კომპანიებს, აგრეთვე, ფიზიკურ პირებს, რომლებიც ფინანსურად, ან სხვა სახით ეხმარება კულტურის სფეროს ორგანიზაციებს. მართალია, საგადასახადო შეღავათების დაკანონების შედეგად, რომლის მიზანია ქველმოქმედების წახალისება, სახელმწიფო ხაზინა გარკვეულ თანხებს „კარგავს“, მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ ფირმების მიერ ქველმოქმედების სახით გაღებული თანხების ჯამი მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ თანხებს, რაც ზემოაღნიშნული შეღავათების დაწესების გამო ფირმებისაგან ვერ მიიღო სახელმწიფო ხაზინამ.

მაშასადამე, აღნიშნული მექანიზმის გამოყენების შედეგად იგებს როგორც სახელმწიფო (მას კულტურის სფეროს დასაფინანსებლად ნაკლები სახსრების გაღება უწევს), ასევე ფირმები (საბოლოო ანგარიშით, იზრდება მათი პროდუქციისა თუ მომსახურების რეალიზაციის მაჩვენებლები) და, რა თქმა უნდა, ფინანსურ დახმარების მიმღები კულტურის სფეროს ორგანიზაცია.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ირიბი სახელმწიფო დაფინანსება ამით არ შემოიფარგლება. მაგალითად, აშშ-ის ფედერალური მთავრობა კულტურის სფეროს

განვითარებისათვის ყოველწლიურად გამოყოფს საბიუჯეტო სუბსიდიებს, რაც შტატების მთავრობებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შეხედულებების მიხედვით გამოიყენება. გარდა ამისა, ირიბ სახელმწიფო დაფინანსებას მიეკუთვნება სახელმწიფო კომპანიების მიერ ლატარეების გამოშვებით მიღებული მოგებიდან კულტურის ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული პროცენტის მიხედვით გადარიცხული თანხები და ა.შ. აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად, კერძო პირების ცალკეული კატეგორიისათვის გამოიყოფა სახელმწიფო დოტაცია ან მოქალაქეების ცალკეულ კატეგორიებს უფასოდ მიწოდება ამა თუ იმ სახეობის კულტურული მომსახურება.

გარდა ამისა, კულტურის არაკომერციული ორგანიზაციებისათვის დაწესებულია შეღავათები გადასახადების გადახდის, საბაჟო ან სხვა სახეობის მოსაკრებლების აკრეფის დროს. ამასთან ერთად, კულტურის ორგანიზაციების მიერ არაკომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც ორგანიზაციების წევრებს შორის განაწილებას არ ექვემდებარება, დაბეგვრისაგან თავისუფლდება. უფრო მეტიც, ზოგიერთ შტატში კულტურის ორგანიზაციის კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლებიც არ იბეგრება (როცა კომერციული და არაკომერციული საქმიანობის ზუსტად გამიჯვნა დაკავშირებულია დიდ ადმინისტრაციულ ხარჯებთან) და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ იქ ბიზნესი და კულტურა ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობს. **ბიზნესი კულტურის სფეროს ორგანიზაციების დაფინანსების მთავარი წყაროა.** საქართველოში ამ მხრივ არასასურველი მდგომარეობაა, რომლის ძირითადი მიზეზი ბიზნესის არასათანადოდ განვითარებაა. წარმოდგენელია ბიზნესის განვითარებით ნებისმიერი ქვეყანა არ იყოს დაინტერესებული, მაგრამ ამას,

ბევრი ვერ ასერხებს. ჯერჯერობით, მათ რიცხვშია საქართველოც.

ბიზნესის განვითარების პრობლემა ნებისმიერ ქვეყანაში მეტად მწვავე და მრავალასპექტიანია, იგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათგან აღსანიშნავია: საგარეო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები, კვალიფიციური კადრების, მოქნილი საგადასახადო სისტემის არსებობა, კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების დაბალი დონე, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, ინფლაციის მაჩვენებლის გონივრულ ფარგლებში შენარჩუნება, თავისუფალი კონკურენციისათვის პირობების შექმნა, საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა და ა.შ., რაც მეტად რთული მისაღწევია, თუმცა, კარგად გააზრებული რეფორმების პირობებში, შესაძლებელია. თუ საქართველოში ამ მხრივ შექმნილ სიტუაციას სისტემურად შევაფასებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ბიზნესის ამა თუ იმ მიმართულების განვითარების კონტურები გამოიკვეთება, მაგრამ რეალურ შედეგებს მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ მივიღებთ. აქედან გამომდინარე, კულტურის სფეროს ორგანიზაციები ბიზნესის მხრიდან ქმედით დახმარებას უფრო ადრე არ უნდა ელოდეს.

ქვეყანაში ბიზნესის განვითარება-გაძლიერების, მოსახლეობის შემოსავლების ზრდისა და კულტურის ორგანიზაციების საქმიანობის საგრძნობი გაააქტიურების შედეგად (მხედველობაში გვაქვს საზოგადოების მოთხოვნის სრულფასოვანი შესწავლა, შესაბამისი პროექტებისა და პროგრამების დამუშავება, ფანდრეიზინგული კამპანიის სწორად ორგანიზება და ა.შ.) შესაძლებელი იქნება **გარედან მოზიდული თანხების ოდენობის ზრდა**, რაც მომავალში კულტურის სფეროს ორგანიზაციების დაფინანსების მთავარი წყარო უნდა გახდეს, როგორც ეს დიდი ხანია დამკვიდრდა დასავლეთის ქვეყნებში, სადაც თანხების მობილიზებაში მნიშვნელოვან

მორონ ტულუში

როლს არაკომერციული ორგანიზაციები (ფონდები, ასოციაციები, სააგენტოები და ა.შ.) ასრულებს.

საქართველოს კულტურის სფეროს ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ **შემოსავლების საკუთარი წყაროების** ზრდას. ისინი ყოველნაირად უნდა შეეცადონ გაზარდონ შემოსავლები როგორც ძირითადი საქმიანობიდან (სპექტაკლებიდან, საგამოფენო, საკონცერტო საქმიანობიდან, საექსკურსიო მომსახურებიდან და ა.შ.), ასევე დამატებითი ანუ კომერციული საქმიანობიდან (კაფე-რესტორნების გახსნა, სუვენირებით ვაჭრობა, საარენდო ქირა, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები და ა.შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. საქართველოში კულტურის ორგანიზაციების ფინანსური უზრუნველყოფის არსებითად გაუმჯობესების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ მათგან უმთავრესია თვით კულტურის ორგანიზაციებში ძირითადი, პროფილური საქმიანობის თვისებრივი გარდაქმნა, მისი თანამედროვე მოთხოვნების დონემდე ამაღლება. მომავალში, კულტურის სფერო კიდევ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული გარედან დაფინანსების მიღებაზე, ამიტომ, კულტურის სფეროს პროდუქტები სრულად უნდა აკმაყოფილებდეს განვითარებული საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნებს. ამის გარეშე, კულტურის ორგანიზაციები ვერავისთვის ვერ გახდება სასურველი სოციალური პარტნიორი, რაც დაფინანსების მიღების აუცილებელი გარანტიაა;

2. კულტურის სფეროს დაფინანსების, მხარდაჭერისა და განვითარების ძირითადი ტიპებიდან („რომანული“, „გერმანული“, და „ანგლო-ამერიკული“) მოცემულ ეტაპზე საქართველოსათვის მისაღებია „რომანული“ ტიპი, რომლისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა კულტურის სფეროს უპირატესად ცენტრალიზებული, ანუ **სახელმწიფო სახსრებით დაფინანსება.**

მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ სფეროს, მათ შორის კულტურის სფეროს განვითარების მრავალწლიანი გამოცდილებისა და უახლოესი ათწლეულის პერსპექტივების გათვალისწინებით, კულტურის სფეროს დაფინანსებაში სახელმწიფოს მონაწილეობა არათუ უნდა შემცირდეს, არამედ კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და 2-3 წელიწადში მშპ-ის 1,5-2,0% მაინც გახდეს. ამასთან, ქვეყნის მთავრობამ განვითარების მთავარ ორიენტირად უნდა დაისახოს დაფინანსების „ანგლო-ამერიკულ“ ტიპზე გადასვლა, როცა სახელმწიფო გამოდის პატრონის როლში, დაფინანსება კი უპირატესად ხორციელდება კერძო კაპიტალის მოზიდვის, მათ შორის საგადასახადო შეღავათების დაწესების ხარჯზე;

3. სახელმწიფომ უმოკლეს ხანში (რამდენიმე თვეში მაინც) უნდა დაამტკიცოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომლის რეალიზაციის შედეგად შეიქმნება მტკიცე ეკონომიკური საფუძველი მთელი სოციალური სფეროს, მათ შორის კულტურის სფეროს დარგების განვითარებისათვის. ხელისუფლებამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს იმისათვის, რომ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის ყველა შემოწამოთვლილი (და ზოგიერთი სხვა) პირობა აუცილებლად შესრულდეს, რაც კულტურის სფეროს ორგანიზაციების განვითარებისათვის გარედან თანხების მოზიდვას გააადვილებს;

4. საქართველოს კულტურის სფეროს ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ **შემოსავლების საკუთარი წყაროების** ზრდას, პირველ რიგში, პროფილური საქმიანობიდან, რისთვისაც საჭირო იქნება როგორც კულტურის სფეროს ორგანიზაციების პროდუქტების ხარისხის ამაღლება, შესაფერისი სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, ასევე მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, რაც კულტურის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

For regulation of financial assurance in culture section

M. Tugushi

The paper presents, that Participation of state of funding in Culture section of Georgia has to grow even more, in 2-3 years it has to grow to 1,5-2,0 %. In addition to this, country state development in focus has to be moving to ‘anglo-american’ type of financing. Borrow funds from outside and own incomes has to become the main source of funding of Culture section organizations.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“, თბ., 1997 წლის 12 ივნისი, №751- II ს;
2. საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, თბ., 2007 წლის 8 მაისი, №4708 – I ს;
3. ბერნარ მ. ფილდენი, იუკა იოკიდეტო, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2007;
4. ჰერბ სტოველი, რისკისთვის მზადყოფნა: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო, თბილისი, 2007;
5. საქართველოს 2005-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები;
6. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=-208&lang=geo.

**ადამიანის ემოციების ექსპრესიულობის
ფსიქო-ფიზიოლოგიური
და ანატომიური საფუძვლები**

ლია სვანიძე

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ემოციას განსაზღვრავენ, როგორც სხეულებრივი და მენტალური ცვლილებების რთულ პატერნს, რომელიც მოიცავს ფიზიოლოგიურ აგზნებადობას, გრძნობებს, კოგნიტურ პროცესებსა და ქცევით რეაქციებს. იგი პიროვნულად მნიშვნელოვან განცდილ სიტუაციებზე საპასუხოდ ჩნდება.

ადამიანის მეტყველებითი (გამომხატველობითი) მოძრაობები დაკავშირებულია მის მრავალფეროვან სულიერ მდგომარეობას – ანატომიის და ფსიქოლოგიის ამგვარ ერთობლიობაა ადამიანის სულიერი სამყაროს სწორი და შთამბეჭდავი გამომხატველობის ბაზისი. ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის გარეგნულ გამოხატვას ვეგეტატიური და მოძრაობითი რეაქციების მეშვეობით ექსპრესიულობა ეწოდება.

ემოციებს უწოდებენ ფსიქიკურ პროცესებს, რომლებიც შეიცავს ადამიანის თავისებურ პიროვნულ დამოკიდებულებას ობიექტების და მოვლენების მიმართ, რაც მას ხვდება გარშემო არსებულ სინამდვილეში და ასევე საკუთარი ჯანმრთელობის, საკუთარი ქცევის და საქმიანობის მიმართ.

თუ შეგვრძნებებში, აღქმაში, აზროვნებასა და წარმოსახვაში აისახება მრავალფეროვანი საგანი და მოვლენა, მათი თვისებები, კავშირები, ემოციებში ვლინდება ადამიანის დამოკიდებულება იმის მიმართ, რასაც შევიმეცნებთ. ამგვარად, ემოციები არ არსებობს ადამიანის მიერ შეიმეცნების და მოქმედების გარეშე, წარმოიქმნება მოქმედების პროცესში და

გავლენას ახდენენ მის მიმდინარეობაზე.

ემოციების თავისებურება განისაზღვრება ადამიანის მოთხოვნილებებით, მისწრაფებებით, განზრახვებით, მისი ხასიათის და ნების თავისებურებებით. მოტივების ცვლილებასთან ერთად იცვლება ადამიანის დამოკიდებულება მოთხოვნილების საგნის მიმართ, რაშიც ვლინდება მისი პიროვნული დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

ემოციები დამახასიათებელია როგორც ადამიანის, ასევე ცხოველებისთვის, მაგრამ ადამიანის ემოციები ატარებს მისი ცხოვრების და განხორციელებული საქმიანობის თავისებურებების სოციალურ სახეს, რის შედეგადაც შესაბამისად შეიცვალა როგორც ადამიანის ემოციების ხასიათი, ასევე მის გამოვლენის ფორმები. ცხოველის არსებობისათვის საკმარისია მისი ორგანული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რისი მონობაშიც იგი იმყოფება. ადამიანი არა მხოლოდ იმორჩილებს ორგანულ მოთხოვნილებებს, არამედ შეგნებულად ზღუდავს მას მაღალი, ადამიანური, სულიერი და იდეური განზრახვების გამო.

კაცობრიობის ისტორიული განვითარების პროცესში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა გრძნობები, როგორც სამყაროს მიმართ დამოკიდებულების განსაკუთრებული ფორმა. მხოლოდ ადამიანისთვის არის ცნობილი ისეთი გრძნობები, როგორიც არის შრომის, შემოქმედების, პატრიოტიზმის, ვალის გრძნობის, იუმორის, სირცხვილის, ცნობისმოყვარეობის, ეჭვის გრძნობები, ახლის გრძნობა და სხვა, რომელსაც უწოდებენ მაღალ გრძნობებს.

გრძნობები და ემოციები ურთიერთკავშირშია. გრძნობების ფორმირება ხდება ემოციების საფუძველზე. გრძნობის გამოვლენის ფორმა არის ემოცია.

ემოციები ასრულებს ორმაგ ფუნქციას: მარეგულირებელ და სასიგნალოს. მარეგულირებელი ფუნქციის წყალობით მდგრადი ემოციები მიმართულებას აძლევს ადამიანის საქციელს. ემოციების რეგულაციური მექანიზმები ხსნის ჭარბ ემოციურ აღგზნებას უკიდურესი ფსიქიკური დაძაბულობის

„უწყინარ“ ვეგეტატიურ და სომატურ რეაქციებად ტრანსფორმაციის გზით: ცრემლების გაძლიერება, სისხლძარღვის შევიწროვება ან გაფართოვება, მუსკულატურის შევიწროვება და ა.შ. ამის შედეგად ადამიანი გარკვეულწილად დუნდება, რაც აღიქმება, როგორც მდგომარეობის შემსუბუქება. ემოციებს შეუძლია ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ძალების მობილიზება გარემოზე ადეკვატური რეაგირებისათვის.

უაღრესად მნიშვნელოვანია ემოციების სასიგნალო ფუნქცია, რომელიც ვლინდება იმით, რომ ის ატყობინებს (სიგნალს აძლევს) ადამიანს ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესის მიმდინარეობის შესახებ. თუ ეს პროცესი მიმდინარეობს სიძნელეების გარეშე, ადამიანი განიცდის დადებით ემოციებს, თუ ადამიანს ხვდება წინააღმდეგობები, მაშინ ჩნდება სხვადასხვაგვარი უარყოფითი ემოცია. ემოციები სიგნალს აძლევს დადებითის ან უარყოფითის შესახებ, გარემოსთან შეგუების ადეკვატურობის შესახებ, რაც მისი **იმპრესიული მხარეა**.

მაგრამ, ემოციებს აქვს აგრეთვე **ექსპრესიული მხარეც**, რომელიც ვლინდება სხვადასხვა გამომხატველ მოძრაობაში (მიმიკა, ქესტიკულაცია, პოზები). და როგორც ემოციების ობიექტური მაჩვენებელი, ისინი ავლენს განცდებს, ხდის მას უფრო მკაფიოს და ადვილად ხელმისაწვდომს სხვა ადამიანებისთვის.

ემოციებისთვის დამახასიათებელია დინამიკა და ფაზები, რაც ვლინდება დაძაბულობაში და შემდეგ იცვლება განმუხტვით. დაძაბულობამ შეიძლება მოიმატოს ვითარებიდან გამომდინარე. ისეთი სიტუაციების მოლოდინი, რომელშიც ადამიანს მოუწევს იმოქმედოს დამოუკიდებლად და გაბედულად, ხელს უწყობს დაძაბულობის სწრაფ ზრდას. შემდგომ განმუხტვას კი ადამიანი აღიქვამს, როგორც შევებას.

ნებისმიერი ხარისხობრივად განსხვავებული ემოციები და გრძნობები შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დადებითი, უარყოფითი ან გაურკვეველი (საორიენტაციო). თუ მოთხოვნილება კმაყოფილდება ან არის მისი დაკმაყ-

ოფილები იმედი, ჩნდება დადებითი ემოციური განცდები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილებების შესრულება რთული ან შეუძლებელია, ყალიბდება უარყოფითი ემოციური დამოკიდებულება ხელისშემშლელი ფაქტორების მიმართ. გაურკვეველი (საორიენტაციო) ემოციური განცდა წარმოიშვება ახალ, უცნობ სიტუაციაში, გამოცდილების უქონლობის შემთხვევაში ახალ გარესამყაროს მიმართ ან საქმიანობისთვის საჭირო უცნობი საგნების მიმართ. ეს მდგომარეობა არ არის მდგრადი და ეხსნება ადამიანს სიტუაციის ცვლილებასთან ერთად. თუ ზემოქმედების ობიექტები მდგრადია და მოიხსნა საორიენტაციო რეაქციები, გაურკვეველი მდგომარეობა გადადის დადებით ან უარყოფით ემოციაში. ზუსტად ამაში მდგომარეობს ემოციების სპეციფიკური თვისება, რომელსაც **პოლარულობა** ეწოდება. მაგრამ არსებობს არა მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ობიექტების მიმართ, არამედ **ამბივალენტური** (გაორებული) დამოკიდებულება, როდესაც ერთ განცდაში აღვილი აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციების ერთობლიობას (სევდა – სიხარული, სიყვარული – სიძულვილი, სიმპათია – ზიზღი და ა.შ.). ასეთი გაორებული მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ საკმაოდ ხშირად იქმნება რთული ცხოვრებისეული სიტუაციები და ადამიანის რეაქცია მათზე არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი ემოციით. ასეთ შემთხვევაში ემოციები თითქოს გადახლართულია ერთმანეთში, განსაკუთრებით მწვავე განცდების დროს, რაც განპირობებულია კონფლიქტური სიტუაციებით.

ემოცია შეიძლება იყოს **სთენიკური**, რომელიც აღძრავს და აძლიერებს ორგანიზმის ცხოველმოქმედებას (მაგალითად: სიხარული, მრისხანება) და **ასთენიკური**, რომელიც თრგუნავს ყველა სასიცოცხლო პროცესს ორგანიზმში (მაგალითად, დარდი, მწუხარება). ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ემოციები შეიძლება გამოვლინდეს როგორც აქტიური, ასევე პასიური ფორმით. ასე, მაგალითად, სიხარული შეიძლება გამოვლინდეს მძლავრად, მძაფრად ან მშვიდად, თავშეკავებულად. სევდა შეიძლება იყოს აქტიური, მშფოთვარე, იმის მიუხედავად, რომ

ჩვეულებრივ იგი ვლინდება პასიური ფორმით, სიხარული კი – აქტიურით.

ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ემოციურ მდგომარეობას, რომელიც გავლენას ახდენს მთელ მის ფსიქიკაზე გარკვეული დროის განმავლობაში. ის ვლინდება სხვადასხვა ხასიათსა და აფექტურ მდგომარეობაში და არა მხოლოდ დამოკიდებულია მიმდინარე ფსიქიკური პროცესების ხასიათზე, არამედ თვითონაც ზემოქმედებს მასზე.

ემოციურ მდგომარეობაში ვლინდება როგორც პიროვნების ქცევის ტიპური თავისებურებები, ასევე შემთხვევითი, მისთვის არაადამახასიათებელი ფსიქიკური გამოვლინებებიც. ასე მაგალითად, მეღანქოლიკებს აქვთ მიდრეკილება ხანგრძლივად და დათრგუნული ხასიათისკენ, სანგვინიკებს – ამალღებული ხასიათისკენ. აფექტის მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ძალზე გაწონასწორებული ფლეგმატური ტემპერამენტის მქონე ადამიანიც.

ემოციური მდგომარეობები გარდამავალია, მაგრამ მათგან ტიპურები გვხვდება საკმაოდ ხშირად და ვლინდება პიროვნებისთვის დამახასიათებელ ქცევაში.

მეტნაკლებად ხანგრძლივი, სუსტი ინტენსიურობის ემოციურ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება მიმდინარეობის შედარებით სტაბილური დონით და გარკვეულ კვალს ტოვებს ადამიანის ყველა სხვა განცდებზე და აძლევს მათ გარკვეულ შეფერილობას, ეწოდება **ხასიათი**. როგორი სუბიექტურიც არ უნდა გვეჩვენებოდეს ხასიათი, იგი ყოველთვის დეტერმინებულია, ანუ მიზეზობრივად არის განპირობებული, თუმცა ადამიანი ყოველთვის ნათლად ვერ აცნობიერებს საკუთარი მდგომარეობის მიზეზს. ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც ხდება შესაბამისი სტიმულირება, შეიძლება იყოს ჯანმრთელობის მდგომარეობა, გარემოს თავისებურებები, ადამიანებთან ურთიერთობები, საქმიანობა და ა.შ. აქედან ნათელია, რომ აზრი „შეუცნობელი სევდის“ ან „უმიზეზო სიმხიარულის“ შესახებ უსაფუძვლოა.

ერთმა და იმავე მიზეზმა შეიძლება განაპირობოს გან-

სხვაგვრული განწყობილება სხვადასხვა ადამიანში.

გამომდინარე გარკვეული გუნება-განწყობილების ხანგრძლივობიდან, რომელიც განისაზღვრება საათებით, ზოგჯერ დღეებით და მეტითაც, განასხვავებენ წარმავალ და მდგრად გუნება-განწყობილებებს. ადამიანს შესწევს უნარი გარკვეულწილად არეგულიროს იგი ნებისყოფის მეშვეობით. ემოციური დაძაბულობის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში ადამიანი გადადის დინამიკურ და ნათლად გამოხატულ აფექტურ მდგომარეობაში, რომელსაც ყოველთვის აქვს დადებითი ან უარყოფითი დასასრული. მწვავე კონფლიქტურ სიტუაციაში აფექტური მდგომარეობა სრულდება **აფექტით** – შეუცნობელი, მოკლევადიანი, მაგრამ ზედმიწევნით ინტენსიური და მძაფრად მიმდინარე ემოციური რეაქციით, ძლიერი აფეთქებით. აფექტის მდგომარეობაში მცირდება ადამიანის ცნობიერების მოცულობა, რომელიც ამ დროს შეზღუდულია აღსაქმელი და განცდებთან დაკავშირებული ობიექტის და წარმოდგენების ჩარჩოებით. საკმაოდ ხშირად იცვლება პიროვნების ჩვეული განწყობები, ხდება ქცევის დამახინჯება. უძლიერესი ემოციური დაძაბულობის ქვეშ ადამიანი აღიქვამს მოვლენებს სრულიად სხვაგვარად, ცუდად ან საერთოდ ვერ აცნობიერებს საკუთარ ქმედებებს, ვერ განჭვრეტს მათ შედეგებს და ვერ აფასებს ნამოქმედარს.

აფექტისთვის დამახასიათებელია გამოვლენის განსაკუთრებული ძალა.

აფექტებისკენ მიდრეკილება აქვთ გაუწონასწორებელი ხასიათის ადამიანებს, გვხვდებიან ჭირვეული, ემოციურად თავაშვებული ადამიანები, რომლებიც აფექტში ფეთქდებიან ყველაზე უმნიშვნელო საბაბით. მაგრამ, უფრო ხშირად აფექტი ვლინდება ისტერიულ, ეგოისტ და უზრდელ ადამიანებში, რომლებიც არ არიან მიჩვეული ან არ უნდათ აკონტროლონ თავისი ემოციები.

ემოციური მდგომარეობის ნებისმიერი რეგულირება აფექტის მდგომარეობაში ძალიან რთულია, მაგრამ შეიძლება თავიდან ავიცილოთ იგი ემოციური ენერჯის შეგნებული გა-

დართვით რომელიმე საქმიანობაზე, რომლითაც ავირიდებთ აფექტს. ამას ახერხებენ ზნეობრივად აღზრდილი ადამიანები, რომლებსაც აქვთ მტკიცე ჩვეულებები და წესიერი ქცევის ჩვევები ცხოვრებაში და შეუძლიათ ჩაახშონ საკუთარ თავში ემოციური აფექტები.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს აფექტები, რომლებსაც იწვევს ზედმიწევნით სასიხარულო, დადებითი ხასიათის პირადი ან საზოგადოებრივი მოვლენები. ამგვარი მდგომარეობა ითვლება ნორმალურად, მათი ძლიერი და გულწრფელი გამოვლენა მარგებელიც კია ადამიანის ფსიქიკისთვის.

დაძაბულ, ხშირად ცვალებად ვითარებაში, ძლიერი გამაღიზიანებლების ხანგრძლივი ზემოქმედებისას, უკიდურესად შეზღუდულ ინტერვალებში ქმედების განხორციელებისას და ა.შ. ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს განსაკუთრებული ემოციური მდგომარეობა, რომელსაც **სტრესი** ეწოდება. სტრესულ მდგომარეობაში ძნელდება მიზანმიმართული საქმიანობა, ყურადღების გადართვა და განაწილება, შეიძლება მოხდეს საქმიანობის ზოგადი დამუხრუჭება და დეზორგანიზაცია. ჩვევები, რომლებიც დარჩა ცვლილების გარეშე, მხოლოდ გარკვეულწილად ახორციელებს გააზრებული ქცევების კომპენსაციას. სტრესულ მდგომარეობაში შესაძლოა აღქმის და მესხიერების დამახინჯება, არაადეკვატური რეაქციები მოულოდნელ გამაღიზიანებლებზე. არსებობს ასევე აზრი, რომ სტრესის დროს ჯერ ხდება ძალების მობილიზაცია (საერთო ადაპტაციური სინდრომი), და მხოლოდ შემდეგ – ფსიქო-ფიზიოლოგიური ძალების გამოფიტვა – ქცევის დეზორგანიზაცია.

შეუძლებელია წინასწარ განვჭვრიტოთ, გამოიწვევს თუ არა ესა თუ ის სიტუაცია სტრესულ მდგომარეობას ადამიანში. მისი ქცევა სტრესულ ვითარებაში დიდწილად დამოკიდებულია სწრაფი ორიენტირების უნარზე მოულოდნელ სიტუაციებში, უნარზე მყისიერად შეაფასოს ვითარება, ნებისყოფაზე, სიმტკიცეზე, გამოცდილებაზე იმოქმედოს ამგვარ პირობებში.

ზოგიერთ ადამიანებში სტრესი იწვევს სთენიკურ ემოციებს, რაც განაპირობებს ძალების მოზღვავებას, (იმას, რომ

აზროვნება იყოს მკაფიო და ნათელი), საქმიანობის აქტივიზაციას.

ხანდახან უკიდურესი დაუკმაყოფილებლობა, რომელიც წარმოიქმნება აქტუალიზებული მოთხოვნილებების ბლოკირების, დაყოვნების დროს, იწვევს **ფრუსტრაციას**, ანუ საქმიანობის და აზროვნების დეზორგანიზაციას. ფრუსტრაცია წარმოიშევა პიროვნების უარყოფითი სოციალური შეფასების და თვითშეფასების შემთხვევებში, როდესაც გვხვებით ღრმა და პიროვნულად მნიშვნელოვან ურთიერთობებს, როდესაც დაუკმაყოფილებლობის ხარისხი აღემატება იმას, რისი გაძლებაც შეუძლია ადამიანს. ფრუსტრაცია უფრო ხშირად აღინიშნება ემოციურად ადვილად აღზნებად ადამიანებში, რომლებსაც ნაკლებად განვითარებული დამამუხრუჭებელი რეაქციები და ნებისყოფა აქვთ.

ფრუსტრაციის მდგომარეობაში ადამიანი განიცდის ძლიერ ფსიქიკურ რყევას, რომელიც ვლინდება უკიდურესი ჯავრის, დათრგუნვის, გულგრილობის, გაბოროტების, თვითგვემის სახით.

ვითარებიდან გამომდინარე, ფრუსტრაცია შეიძლება დასუსტდეს, გაქრეს ან, პირიქით, გაძლიერდეს. თუ ფსიქიკური გადაძაბვა არ დასრულდება განტვირთვით, მაშინ ფრუსტრაცია გამოვლინდება სრულიად არაადეკვატურ პირობებში. ასე, გაღიზიანება და გაბოროტება შეიძლება დაიცალოს ადამიანებზე, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს ამ ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობასთან. აგრესიული რეაქციები სუსტდება, თუ ადამიანს, რომელიც განიცდის ფრუსტრაციას, შევუქმნით პირობებს, რათა შეასრულოს საქმე, რომელიც მას იტაცებს, რომელზეც გადაიტანს ყურადღებას და არ მიეცემა საშუალება „ჩაუღრმავდეს“ საკუთარ თავს.

ემოციების სარეგულაციო მექანიზმი ძალიან რთულია. ემოციური განცდები განპირობებულია ფიზიოლოგიური პროცესებით, რომლებიც მიედინება ტვინის ქერქქვეშ ბირთვებსა და ნერვული სისტემის ვეგეტატიურ ნაწილში, განსაკუთრებით მის სიმპათიკურ განაყოფში.

ემოციური განწყობა და ემოციური ორიენტაცია გარემოში მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მხედველობითი ბორცვის, ბორცქვეშა არეს, ლიმბური სისტემის და ბადუროვანი წარმონაქმნის ფუნქციით.

მხედველობითი ბორცვები წარმოადგენს ქერქვეშა ცენტრს მგრძნობელობის ყველა სახეობისთვის; ბორცქვეშა არე კი წარმოადგენს ნერვული სისტემის ვეგეტატიური ნაწილის მოქმედების რეგულირების უმაღლეს ქერქვეშა ცენტრს; ლიმბური სისტემა დიდ როლს ასრულებს აფექტური გამაღიზიანებლების, ემოციური რეაქციების და თანდაყოლილი ქცევის რეაქციების (თავდაცვითი, სამძებრო, სასქესო რეაქციები) სინთეზის პროცესებში. ექსპერიმენტული კვლევები მოწმობს ასევე დადებითი და უარყოფითი ემოციების ცენტრების („სიამოვნების“ და „ტანჯვის“ ცენტრები) არსებობას ლიმბურ სისტემაში. ამ ცენტრების მოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი ცხოველების და ადამიანის ცხოვრებაში. ბადისებრი გარსი აღიქვამს უკლებლივ ყველა იმპულსს (ტკივილის, შუქის, ბგერის და ა. შ.). მაგრამ, თუ სპეციფიკური გრძნობის ყველა ორგანოდან მიეწოდება შესაბამის ქერქოვან ანაღიზატორებს სპეციალური გამტარი სისტემებით, ბადუროვან წარმონაქმნში არ არსებობს ნეირონების სპეციალიზაცია, და ამიტომ ერთი და იგივე ნეირონები აღიქვამს სხვადასხვაგვარ იმპულსებს და გადასცემს მათ ტვინის ქერქის ყველა შრეს. ამგვარად, ბადუროვანი წარმონაქმნი შეადგენს მეორე აფერენტულ სისტემას. ბადუროვანი წარმონაქმნის მდგომარეობაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის ტონუსი, მისი ემოციური რეაქციები და გამოვლინებები.

წამყვანი მნიშვნელობა ადამიანის ემოციებში და, განსაკუთრებით გრძნობებში, აქვს დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქს, ანუ ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლეს სექტორს, რომელიც თამაშობს წამყვან როლს ორგანიზმის ცხოველმოქმედებაში, როგორც ერთი მთლიანის, და მის ურთიერთმოქმედებაში გარემოსთან. ქერქი აკონტროლებს ქერქქვეშა ბირთვების მოქმედებას, არეგულირებს ემოციების

და გრძნობების მიმდინარეობას და გამოხატვას.

ი. პავლოვმა დაამტკიცა, რომ რთული გრძნობების წარმოშევა დაკავშირებულია ტვინის ქერქის მოქმედებასთან. იგი აღნიშნავდა, რომ ნახევარსფეროების ნერვული პროცესები დინამიური პროცესების წარმართვის და ხელშეწყობის შემთხვევაში არის ის, რასაც უწოდებენ გრძნობებს მათ ორ ძირითად კატეგორიაში – დადებით და უარყოფითში და მათი ინტენსიურობის უზარმაზარ გრადაციებში.

გამომდინარე იქიდან, თუ რას აქვს ადგილი – დინამიკური სტერეოტიპების ხელშეწყობას თუ ნგრევას ტვინის ქერქში, ადამიანი განიცდის სიმხნევებს ან დაღლილობას, დაკმაყოფილებას ან გულისტკივილს, ხალისიანობას და დათრგუნვას. შეკავებასა და აღზნებას შორის ჩვეულებრივი თანაფარდობის დარღვევის დროს წარმოიშევა უარყოფითად შეფერილი გრძნობები. დროებითი ნერვული კავშირების რღვევისას ადგილი აქვს განსაკუთრებით მწვავე განცდებს. ოპტიმალური, ჩვეული პირობები, ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა ხელს უწყობს დროებითი ნერვული კავშირების წარმოშევას, რაც განიცდება, როგორც დადებითი მდგომარეობა.

ემოციური განცდების სხეულებრივ გამოხატვას დიდი ყურადღება მიაქცია უდიდესმა ქართველმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ. ემოციური განცდების ერთ-ერთ განსაკუთრებით დამახასიათებელ თავისებურებას – აღნიშნავდა დ. უზნაძე – ის გარემოებაც შეადგენს, რომ მასავით მჭიდრო კავშირი სხეულთან თითქმის არცერთ ფსიქიკურ განცდას არ აქვს. ეს კავშირი იმდენად ინტიმურია, რომ საკმარისია რაიმე, მეტად თუ ნაკლებად, ინტენსიური ემოციური განცდა გაჩნდეს, რომ იმ წამსვე სხეულში საკმაოდ თვალსაჩინო ცვლილებებმა იჩინოს თავი – იმდენად თვალსაჩინომ და იმავე დროს სპეციფიკურმა ცვლილებებმა, რომ მათი მიხედვით ყველასათვის ნათელი ხდება, თუ როგორია მათთან დაკავშირებული ემოციური განცდა (1. გვ. 150) მაგალითად, უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც სათუთად მაღავს თავის განცდას, უნებლიედ ავლენს სხეულებრივ ცვლილებებს საყვარელ

ადამიანთან შეხვედრის დროს, რაც თვალში საცემი ხდება გარშემომყოფთათვის (ეცვლება მაჯისცემა, სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, წითლდება ან ფითრდება და სხვ.). ამ სხეულებრივ ცვლილებებს ფსიქოლოგიაში „გამომხატველ მოძრაობებს“ უწოდებენ. ის ჩვენი ემოციური განცდების ობიექტურ განსახიერებას წარმოადგენს. თვითდაკვირვების ნიადაგზე აგებული ფსიქოლოგია მათში ემოციური განცდების სხეულებრივ სიმპტომებს სჭვრეტს.

დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ყოველ ემოციურ განცდას თანაბრად ინტენსიური, სხეულებრივი ცვლილებები არ ახასიათებს. მაგალითად, თუ უძლიერესი სიყვარული დაეუფლა ადამიანს, მაშინ გრძნობს ფარულ, ნაკლებად აშკარა სხეულებრივ ცვლილებებს, ხოლო ემოცია ყოველთვის მკვეთრი სხეულებრივი გამომხატველი ცვლილებებით გამოირჩევა.

დღეისათვის დამტკიცებულია, რომ ემოციური განცდები უეჭველად გარკვეულ სომატურ ცვლილებებთან არიან დაკავშირებული. ეს ცვლილებები, პირველ რიგში, ჰუმორალური ბუნების აღმოჩნდა. სახელდობრ, გამოირკვა, რომ ისინი შინა სეკრეციის ჯირკვლების, კერძოდ, თირკმელზედა ჯირკვლის აქტიობასთან არიან დაკავშირებული (თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონის – ადრენალინის გამოყოფა). ამჟამად, არავინ არ დავობს იმაზე, რომ ვეგეტატიური ნერვული სისტემისა და ენდოკრინული აპარატის მონაწილეობა ემოციური განცდის გენეზისში უეჭველია, მაგრამ უდავოა ისიც, რომ მარტო ეს საკმარისი არ არის. ადამიანის ემოციური განცდის აღმოცენება ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

თანამედროვე ფიზიოლოგიაში ეს აზრი სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს და, უკვე შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ადამიანის ემოციური განცდა ცენტრალური წარმოშობის ფაქტია, რომ იგი თავის ტვინში მიმდინარე პროცესებს ეყრდნობა.

ემოცია თავის ტვინის ქერქისა და მხედველობის ბორცვის ურთიერთმოქმედების პროდუქტს წარმოადგენს

(1, გვ.157). იგი არის სპეციფიკური განცდა, სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც ემოციის სახელწოდებით არის ცნობილი. ემოცია ამავე დროს, ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის, განცდასაც გულისხმობს. მაგალითად, მე მეშინია რისიმე, ნაწყენი ვარ ვინმეზე, მიყვარს უსათუოდ ვინმე (1, გვ.132).

საინტერესოა, როგორ ზემოქმედებს კულტურა ემოციურ ექსპრესიაზე. მთელ მსოფლიოში ადამიანებს შესაძლოა ჰქონდეთ ერთნაირი გენეტიკური მემკვიდრეობა, რაც განსაზღვრავს ემოციური ექსპრესიის გარკვეულ გვაროვნებას, მაგრამ, ამავე დროს, სხვადასხვა კულტურა ემოციების მართვის სხვადასხვა სტანდარტები აქვს. ემოციური გამოსატყულობის ზოგიერთი ფორმა, სახის ექსპრესიაც კი, უნიკალურია თითოეული კულტურისათვის. კულტურა აწესებს სოციალურ წესებს, თუ როდის აქვთ ადამიანებს გარკვეული ემოციების გამოვლენის უფლება და სოციალურად რამდენად შესაფერისია კონკრეტულ ვითარებაში. დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ კულტურული ორიენტაცია გავლენას ახდენს ემოციის ექსპრესიაზე.

დიდი მნიშვნელობა ემოციების და გრძნობების წარმოქმნასა და მიმდინარეობაში აქვს მეორე სასიგნალო სისტემას, რომლის წყალობითაც ესა თუ ის განცდა წარმოიშვება არა რეალური სამყაროს ობიექტების ზეგავლენით, არამედ სიტყვით. მხოლოდ მეორე სასიგნალო სისტემის მოქმედების დროს არის შესაძლებელი ადამიანის ისეთი რთული გრძნობების ფორმირება, როგორიც არის მორალური, ინტელექტუალური და ესთეტიკური გრძნობები.

ემოციური პროცესები იწვევს რიგ ცვლილებას სასუნთქი, გულსისხლძარღვთა, ენდოკრინულ და სხვა ორგანოთა სისტემებში, განსაკუთრებით იმ ორგანოთა, რომლებიც ინერვირებულია ნერვული სისტემის ვეგეტატური ნაწილის სიმპათიკური განაყოფის მიერ, და ასევე ჩონჩხის და განსაკუთრებით მიმიკური მუსკულატურის, ტონუსის ცვლილებებით.

ბავშვები გამოირჩევიან ემოციური უშუალოდ და ინტენსიური ხასიათით, რომელიც ადვილად გადადის აფექტ-

ში. ემოციების ხშირი ცვლა, რასაც ისინი სტიქიურად ემორჩილებიან, უუნარობა აკონტროლონ და შეიკავონ ემოციები, მათი მკაფიო გამოხატვა მიმიკასა და წამოძახილებში.

გამომხატველ მოძრაობებთან ერთად ადამიანებთან ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ემოციური მდგომარეობის გამოხატვამ ინტონაციის მეშვეობით, მეტყველების დინამიკის გაძლიერებით ან შესუსტებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხმის ტემბრს, საუბრის ტემპს და მის რიტმულ დაყოფას პაუზების და ლოგიკური მახვილების დახმარებით. სიტყვით ადამიანს შესწევს უნარი გამოხატოს ისეთი რთული ემოციები, როგორცაა აღერსი, მრისხანება, შეშინება, გაოცება, თხოვნა, ზიზღი, ტანჯვა, ირონია, სარკაზმი და ა.შ.

გრძნობების სიცხადე და მრავალფეროვნება აკვლთიშობილებს ადამიანს, იგი ხდება უფრო შინაარსიანი და საინტერესო. პირადი განცდების სიმდიდრე ეხმარება ადამიანს უფრო ღრმად ჩაწვდეს მოვლენების არსს, უფრო ფაქიზად რეაგირებდეს სხვა ადამიანების განცდებზე, შთააგონებს მას შემოქმედებით ძიებებზე, თამამ საქციელზე.

ემოცია, რომელიც მოიცავს ფიზიოლოგიურ აღზნებას, კოგნიტურ შეფასებას და ქცევის ექსპრესიულ რეაქციებს, ასრულებს მოტივაციურ, სოციალურ და კოგნიტურ ფუნქციებს.

Psycho-physiological and anatomical foundations of expressiveness Of human emotions

L. Svanidze

Emotions in the article are considered, as complex pattern of corporal and mental changes, which includes corporal irritation, feelings, cognitive processes and behavioral reactions. It arises in reply to Personally experienced important situations. Outward expression of human mental and physical condition are reviewed basically. Through vegetative

and Movement reactions, the expression of emotions characterized dual function of emotions – Regulatory and Signaling, characteristic dynamics and phases of emotions, which is manifested during the tension and changes through De-escalate. In the article Types of emotion are presented in Scheme, emotional conditions. Great Georgian Psychologist Dimitre Uznadze I emphasized the emotional anguish Corporal expression. At the end, author draws attention to the articles significant role – emotion, which includes.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია. თბ., 1998;
2. С.Н. Кахиани, З.Н. Кахиани, Д.З. Кахиани. Экспрессивность эмоций человека. Тб., 1995;
3. Д. Майерс. Социальная психология. М., 2007.

**ფირმის ფასეულობათა
ჯაჭვის მართვა**

მანანა ხარხელი

**ივ. ჯაფარიძის სახელობის თსუ-ის
ეკონომიკის ასოცირებული პროფესორი,
აკადემიური დოქტორი**

ფასეულობათა ჯაჭვი არ უნდა აგვერიოს მიწოდების ჯაჭვში. იმის მიუხედავად, რომ ეს ტერმინები უკანასკნელ ხანს თითქმის ერთდროულად დამკვიდრდა, თითოეული მათგანი განსხვავებული შინაარსის მატარებელია.

ნებისმიერი კომპანია თავისი საქმიანობის წარმართვისთვის საჭიროებს მასალებს, ნედლეულს, მაკომპლექტებელ ნაწარმს და ა. შ. დამზადებულ პროდუქციას (ან მომსახურებას) იგი სხვა კომპანიას, ანდა მოსახლეობას აწოდებს. ამის შედეგად იქმნება საქმიანობათა ჯაჭვები, რომელთაც განხილვის რაკურსის მიხედვით, სხვადასხვა სახელწოდებით – მიწოდების ჯაჭვი და ფასეულობათა ჯაჭვი – მოიხსენიებენ:

– მიწოდების ჯაჭვი შედგება საქმიანობის იმ სახეობებისა და სტურუქტურული ერთეულებისაგან, რომელთაც გაივლის მასალები, ნედლეული და მაკომპლექტებელი ნაწილები საწყისი პუნქტიდან (მომწოდებელი) საბოლოო მომხმარებელამდე (კომპანიამდე, რომელსაც ის სჭირდება);

– ფასეულობათა ჯაჭვში კი აქცენტი კეთდება დამატებული ფასეულობის შექმნაზე, რაშიც მომხმარებელთა კმაყოფილების ანალიზია მთავარი.

კონკურენციულ ბრძოლაში გადარჩენისათვის, ნებისმიერ კომპანიას მისი საქონლის მომხმარებელი (კლიენტურა) სჭირდება. მომხმარებლებს საქონელში გარკვეული ფასეულობა აინტერესებთ და ისინი არიან საბოლოო არბიტრნი იმისა, ფლობს თუ არა ესა თუ ის საქონელი მათთვის სასურველ ფასეულობას. კომპანიამ რომ მუდმივად შეინარჩუნოს მომხმარებელი, მან საქონელში ეს ფასეულობა უნდა უზრუნველყოს. და მაინც რა არის ეს ფასეულობა და ფასეულობათა ჯაჭვი? ეს ფასეულობა არის საქონლის საექსპლოატაციო მახასიათებლები, ნიშნები და თვისებები და აგრეთვე, მისი სხვა ასპექტები, რომელთა გამო, მომხმარებელი მზადაა იყიდოს იგი, ანუ მასში გარკვეული ფულადი სახსრები გადაიხადოს [1, გვ. 938]. ამ ფასეულობის შესაქმნელად კომპანიასა და აგრეთვე, სხვადასხვა ორგანიზაციაში დიდი რაოდენობის სხვადასხვა, ურთიერთდაკავშირებული ოპერაცია სრულდება, აი, სწორედ ამ საქმიანობების და ამ ორგანიზაციების ნაკრები წარმოადგენს ფასეულობათა ჯაჭვს. ეს ორგანიზაციები ყოველ ეტაპზე – ნედლეულის მოწოდებიდან დაწყებული, მომხმარებლებზე პროდუქციის გადაცემით დამთავრებული – ამატებენ პროდუქტს რაღაცა ფასეულობას.

ფასეულობათა ჯაჭვში საკუთრივ ფასეულობის გამოკვეთა არ არის ადვილი საქმე. სწორედ ამისთვის ნებისმიერ ბიზნესში ფასეულობათა ჯაჭვს მართვა სჭირდება. ფასეულობათა ჯაჭვის მართვაც არ უნდა აგვერიოს მიწოდების ჯაჭვის მართვაში. ეს უკანასკნელი ორიენტირებულია მხოლოდ კომპანიაში შემომავალი რესურსების (მასალები, ნედლეული) ნაკადების ეფექტიან უზრუნველყოფაზე, ფასეულობათა ჯაჭვის მართვა კი ფოკუსირებულია, როგორც კომპანიაში შემომავალ რესურსებზე, ასევე კომპანიიდან გამავალ საქონელსა და მომსახურებაზე. სე, რომ იგი მთლიანად

ორიენტირებულია მომხმარებლებისთვის მაქსიმალურად მაღალი ფასეულობის მქონე საქონლური პროდუქციის და მომსახურების შექმნაზე.

მაგალითად, ქ. თბილისში მოქმედი სამშენებლო კომპანია „სასკო“-ს ლოგისტიკის სამსახური ამ კომპანიის მიწოდების ჯაჭვს მართავს. მასში შედიან ცემენტის (კომპანია „ჰაიდელბერგცემენტი“) და ბეტონის მომწოდებლები, ხეცის კომბინატი, ქვიშა-ხრეშის მომწოდებლები (მაგალითად, ალგეთის კარიერი), მინის მწარმოებლები (ფირმა „ლევა“), სატრანსპორტო-გადამზიდი ორგანიზაციები და თვით კომპანია „სასკო“-ს საწყოები. კომპანია „სასკო“-ს ლოგისტიკის სამსახური ახორციელებს მიწოდების ამ ჯაჭვის მუშაობის ინტეგრაციას და კოორდინაციას, ზრუნავს დანახარჯების შემცირებაზე და მიწოდების ოპტიმალური გრაფიკებით განხორციელებაზე. აქ მთავრდება მისი ფუნქცია.

რაც შეეხება ფასეულობათა ჯაჭვს, მის მენეჯმენტს კომპანიის ცალკე სტრუქტურა არ ახორციელებს. ის მთელი კომპანიის საქმეა – რიგითი მუშიდან დაწყებული, დირექტორით დამთავრებული. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არ არის სწორი. ფასეულობათა ჯაჭვის სამართავად კომპანიაში ცალკე სტრუქტურა უნდა იყოს შექმნილი და იგი წარმოებულ პროდუქციასა და მომსახურებაში არსებულ ფასეულობათა ანალიზით და ამ ფასეულობით მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასებით უნდა იყოს დაკავებული. მაგალითად, კომპანია „სასკო“ საცხოვრებელ ბინებს აშენებს. ბინის ფასეულობას „სასკო“-ს მშენებლობებზე შემოსული მასალა-ნაკეთობის ხარისხიც განსაზღვრავს და თვით მშენებლობის ხარისხიც (ტექნოლოგია, დიზაინი, არქიტექტურა და სხვ.). ლოკალურად ყველა სამშენებლო ობიექტს სამუშაოთა მწარმოებლებიც ეავთ და ინჟინრებიც, რომლებსაც ევალებათ მშენებლობაში სტანდარტების დაცვამაგრამ ვერცერთი ინჟინერი ვერ გარკვევს

იმას, თუ რამდენად ფასეულია და რამდენად აკმაყოფილებს მომხმარებელს, თუნდაც სტანდარტის მიხედვით აშენებული ბინა. ეს საქმე ინჟინრების კომპეტენციაში არ შედის. ამ საქმიდან კიდევ უფრო შორს არის სხვა პერსონალი. ამიტომ, ჩვენი მოსაზრებით, როგორც კომპანია „სასკო“-ში, ასევე სხვა სამშენებლო ორგანიზაციებში უნდა შეიქმნას ფასეულობათა ჯაჭვის მენეჯმენტის განყოფილებები. იგივე აზრი გვაქვს სხვა პროფილის ბიზნეს-ერთეულების მიმართაც.

როგორც აღვნიშნეთ, კომპანიის მართვა ფასეულობათა ჯაჭვის პოზიციიდან რთული საქმეა. თანამედროვე ეპოქაში არსებობს ექვსი მოთხოვნა, რომელთა დაცვა ფასეულობათა ჯაჭვის ეფექტიან მენეჯმენტს აყალიბებს. ეს მოთხოვნებია: კოორდინაცია და თანამშრომლობა, ინვესტიციები ტექნოლოგიებში, ორგანიზაციული პროცესები, თანამშრომლები, ხელმძღვანელობა, ორგანიზაციული კულტურა და ურთიერთობები.

კოორდინაციის და თანამშრომლობის მოთხოვნაში იგულისხმება პარტნიორებთან საქმიანობის კოორდინაცია და მათთან უკონფლიქტო თანამშრომლობა. ფასეულობათა ჯაჭვში ჩართულმა ყველა პარტნიორმა უნდა დააფასოს მომხმარებლის ფასეულობა. ამისათვის ჯაჭვში აბსოლუტურად შეთანხმებული, ურთიერთთავსებადი მუშაობაა საჭირო. კოორდინაციის საჭირო დონე მიიღწევა ინფორმაციის გაცვლით და ჯაჭვის ყველა წევრს შორის ღია კომუნიკაციით.

იმისათვის, რომ კომპანია საქონლის საბოლოო მომხმარებელს ეფექტურად მოემსახუროს, საჭიროა მან განახორციელოს ინვესტიციები ტექნოლოგიებში. თუ ახალი ტექნოლოგია საჭიროებს ფასეულობას უმატებს, მისთვის კომპანიამ რესურსი არ უნდა დაზოგოს. მაგალითად, კომპანია „სასკო“-მ ელიტარულ საცხოვრებელ კორპუსებში დააგო ე. წ. „თბილი იატაკი“. მან, რა თქმა უნდა, მომხმარებლის დიდი

კმაყოფილება გამოიწვია, ე. ი. ამდღა საცხოვრებელი ბინების, როგორც საქონლის, ფასეულობა.

თუ კომპანია მართავს იწყებს ფასეულობათა ჯაჭვის მენეჯმენტის პოზიციით, მას ადრინდელი ორგანიზაციული პროცესები აღარ გამოადგება. კომპანიის მენეჯერებმა კრიტიკულად უნდა შეაფასონ ის, გაანალიზონ თავისი კომპეტენციები და განსაზღვროს ის ეტაპები, რა დროსაც ხდება მათ კომპანიაში წარმოებული საქონლისთვის ფასეულობის დამატება. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ კომპანიამ ამ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი ამდღოს, უზრუნველყოს ოპტიმიზაცია, სინქრონიზაცია და შესრულების გრაფიკების დაცვა. ამ სამუშაოების ხარისხზე უნდა იყოს ფოკუსირებული კომპანიის მთელი ყურადღება, რადგანაც მათი შესრულების შედეგად დამზადებულ საქონელს თვლის მომხმარებელი ფასეულად. მაგრამ, ამ პროცესის დაწყებამდე, კომპანიამ ზუსტად უნდა იცოდეს მომხმარებელთა მოთხოვნილება, მისი პროგნოზული სიდიდე. ამას კი სარწმუნო ინფორმაცია სჭირდება, რომელიც ასევე სხვადასხვა წყაროდან მიიღება და რომელიც სანდოობის საჭირო დონის მისაღწევად უნდა გაიფილტროს. სე, რომ ფასეულობათა ჯაჭვის სამართავად კომპანიას ადრე გამოყენებული მრავალი ოპერაციის შეცვლა მოუწევს. ბევრ ოპერაციას იგი კომპანიის გარეთ ასრულებს, თუ ეს ოპერაციები სხვა კომპანიაში უფრო მაღალი ხარისხით და თანაც, დაბალი ხარჯებით სრულდება. ასეთი ქმედებები ადრე არ ხორციელდებოდა. იმის მიუხედავად, რომ კომპანია „სასკო“-ს თავისი მატერიალური ბაზა აქვს, მთელ რიგ სამშენებლო ნაკეთობებს იგი აუთსორსინგის წესით გარეთ ასრულებს. ასეთია მაგალითად, მეტალოპლასტმასის ნაკეთობები. ამ ნაკეთობებს მას უმზადებს შპს „ვირაჟი“. აქ დამზადებული მეტალოპლასტმასის ნაკეთობანი 8-9%-ით იაფია კომპანია

„სასკო“-ში დამზადებულზე და 2-3%-ით სხვა ქ. თბილისის სხვა ფირმებში დამზადებულზე.

ფასეულობათა ჯაჭვის სწორი მართვა არ განხორციელდება სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე. ამ საქმის ბოლომდე მიყვანას სწორი ხელმძღვანელობა და თავდადება სჭირდება. ფასეულობათა ჯაჭვის მართვა უნდა იქცეს კომპანიის მენეჯერთა უპირველეს საზრუნავად. კომპანიაში მათ უნდა შექმნან ისეთი ორგანიზაციული ატმოსფერო და კულტურა, რომელიც მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს მაქსიმალურ ფასეულობას. ამ ფასეულობის შინაარსი და მნიშვნელობა მენეჯერებმა უნდა დაიყვანონ არა მხოლოდ კომპანიის ცალკეულ თანამშრომელზე, არამედ გარეშე პარტნიორებზეც. ცხადია, ის პარტნიორი, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის მოთხოვნას კარგად შეასრულებს, მეტ სარგებელსაც მიიღებს მისგან. ასე მოხდა კომპანია „სასკოშიც“. თავდაპირველად მას მეტალოპლასტმასის ნაკეთობების დამამზადებელ სამ ფირმასთან ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული. იქიდან ორმა ფირმამ (შპს „ელიოზი“ და შპს „კლასტი“) სათანადოდ ვერ შეასრულა კომპანია „სასკო“-ს მოთხოვნები ნაკეთობების ხარისხთან მიმართებით, რის გამოც მიზეზით კომპანიამ მათთან ურთიერთობა შეწყვიტა.

აღამიანური რესურსების მონაწილეობა ფასეულობათა ჯაჭვში სრულიად ბუნებრივი პროცესია. მათთან მიმართებით ფასეულობათა ჯაჭვის მართვაზე გადასულმა კომპანიამ სამი მოთხოვნა უნდა შეასრულოს: სამუშაო დავალებათა სტრუქტურის მოქნილობა, მომუშავეთა დაქირავების პროცესის ეფექტიანად ჩატარება და მათი მუდმივი ტრენინგები. მომუშავეთა ტრადიციული თანამდებობრივი ფუნქციები ასეთი მუშაობისას უკვე მიუღებელია. სამუშაო უნდა აეწყოს იმ მუშა პროცესების ირგვლივ, რომლებიც

სამომხმარებლო ფასეულობას ქმნიან [2, გვ. 55] და მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს ამ ფასეულობის შექმნაში თითოეული მომუშავისაგან გარკვეული წვლილის შეტანა.

ფასეულობათა ჯაჭვის ეფექტიან მართვაზე ორიენტირებულ კომპანიას ორგანიზაციული კულტურა და ურთიერთობებიც ამის ხელისშემწყობი უნდა ქონდეს. კერძოდ, ორგანიზაციული კულტურა უნდა იყოს გახსნილი, სანდო და პარტნიორებისთვის მისაღები. კომპანია „სასკო“-ს მაგალითზე ამ მიმართებით ბევრი ღონისძიება არის გასატარებელი. კომპანიის და მისი პროდუქციის შესახებ ინფორმაცია არ არის გამჭვირვალე და სანდო. ერთ და იმავე ობიექტზე (საცხოვრებელი სახლები) მენაშენეებს კომპანიიდან სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია მიეწოდებათ.

ფასეულობათა ჯაჭვის პოზიციიდან კომპანიის მართვას დიდი მოცულობის რესურსები სჭირდება. ამის მიუხედავად მართვის ეს ფორმა აქტიურად ინერგება დასავლეთში. ამის მიზეზია ის სარგებელი, რომელსაც ფირმები აქედან იღებენ. გარკვეული რაოდენობის რესპონდენტების გამოკვლევით დადგენილია, რომ ფასეულობათა ჯაჭვის წარმატებულად მართულ კომპანიებში 41%-ით გაიზარდა გაყიდვები, 62%-ით შემცირდა ხარჯები, 54%-ით დაჩქარდა მოწოდებების დრო, 32%-ით გაიზარდა ბაზრის წილი, 51%-ით შემცირდა სასაქონლო მარაგები და სხვა [3, გვ. 44].

მიუხედავად ასეთი დიდი სარგებლისა, ფასეულობათა ჯაჭვის მართვაზე გადასვლისას, კომპანიების მენეჯერები აწყდებიან საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობებს და ხშირად ამ მიზეზით უბრუნდებიან მართვის ტრადიციულ მეთოდებს. ეს ბარიერებია:

- ორგანიზაციული ბარიერები;
- საჭირო უნარების არქონა;

- გამოცდილი მენეჯერების არყოლა;
- კულტურული ურთიერთობები.

ეს ბარიერები უფრო მრავლადაა საქართველოს კომპანიებში. მაგალითად კომპანია „სასკო“-ში ორგანიზაციული ბარიერების როლში გვევლინება კომპანიის შიგა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობები. შეიძლება ითქვას, რომ მის არც ერთ სამშენებლო მოედანზე არ მიმდინარეობს სინქრონიზებული მუშაობა, ბრიგადები ერთმანეთს არიან მოწყვეტილია; თითოეულ სამშენებლო ობიექტს ერთი სამუშაოთა მწარმოებელი ყავს, რომელიც ვერც ფიზიკურად და ვერც დროში ვერ ახერხებს მათ ეფექტურ დაკავშირებას და ერთმანეთის საქმის ხარისხით ურთიერთდანიტერესების დანერგვას. ჩვენი აზრით, სამშენებლო ობიექტებს 3-4 სამუშაოთა მწარმოებელი უნდა ჰყავდეს (მაგალითად, მიწის სამუშაოების, კარკასის სამუშაოების, მოპირკეთების სამუშაოების და სანტექნიკა-ელექტროტექნიკის სამუშაოების), რომლებიც გაითავისებენ რა სამშენებლო ობიექტის თითოეულ უბანზე ფასეულობის შექმნის მნიშვნელობას, ამასვე შთაუნერგავენ თავის დაქვემდებარებაში მყოფ ბრიგადებს და სათანადოდ შეამოწმებენ კიდევ შესრულებულ სამუშაოს. კიდევ უკეთესი, თუ სამუშაოთა მწარმოებლებს კვირაში ერთხელ ერთმანეთის სამუშაოებზე დაკვირვების საშუალება ექნებათ, იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი მართლაც მაღალი ხარისხით შესრულებული სამუშაოს მომდევნო ეტაპს იწყებენ. (შეგახსენებთ, რომ მშენებლობაში სამუშაოთა თანამიმდევრული შესრულება მკაცრად არის რეგლამენტირებული: ჯერ მიწის სამუშაოები სრულდება, შემდეგ კარკასი, შემდეგ – შელესვა, სანტექნიკა-ელექტრონიკა, შემდეგ – მოპირკეთება და ა. შ.). რიგით შემდეგი სამუშაოს სამუშაოთა მწარმოებელი თუ პერიოდულად დააკვირდება წინა სამუშაოს შესრულების ხარისხს და მხოლოდ მისი

მაღალი ხარისხით შესრულების შემდეგ დათანხმდება მის გაგრძელებას, ამით სამშენებლო ობიექტების, კომპანია „სასკო“-ს მაგალითზე საცხოვრებელი სახლების, როგორც საქონლის, ფასეულობა მათი მყიდველების თვალში მეტად ამაღვლდება. სამშენებლო სამუშაოს შესრულების მიმდინარეობაზე პერიოდული დაკვირვება იმიტომ არის საჭირო, რომ მშენებლობაში ერთი სამუშაო რამდენიმე ეტაპად – მაგალითად, შედგეს რამდენიმე ფენად, მოპირკეთებაც რამდენიმე ფენად – მიმდინარეობს. დამამთავრებელი ფენის მაღალმა ხარისხმა შეიძლება შენიღბოს წინა ფენის სამუშაოთა დაბალი ხარისხი. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, სამუშაოს არა მხოლოდ მისი სამუშაოთა მწარმოებელი უნდა აკვირდებოდეს, არამედ შემდეგი ეტაპის სამუშაოთა მწარმოებელიც. მაგალითად, თუ კარკასის სამუშაოთა მწარმოებელს ასეთი დაკვირვების შედეგად ეცოდინება, რომ მიწის სამუშაოები და ფუნდამენტი მაღალი ხარისხითაა შესრულებული, იგი სრული თავდაჯერებით შეუდგება კარკასის სამუშაოების შესრულებას და ეცოდინება, რომ ეს ფუნდამენტი კარკასს 9-ბალიანი რყევადობის შემთხვევაშიც კი „დაიჭერს“.

ფასეულობათა ჯაჭვის მართვაზე გადასვლის ერთ-ერთი წინაღობა არის საჭირო უნარების არ ქონა. იგი შეიძლება აღმოაჩნდეთ მუშებს, ტექნიკურ პერსონალს, თვით მენეჯერებს და პარტნიორებს. ამის გამოსწორება მეტად რთულია. ადვილზე სწავლებით იგი დიდ დროს მოითხოვს. იმიტომ კომპანიამ უბრალოდ ისინი უნდა შეცვალოს უფრო კომპეტენტურებით, რაც საქართველოს პირობებში, ასევე, არ არის ადვილი საქმე, რადგანაც ძველი მშენებლები ან ძალიან დაბერდნენ ან ცოცხლები აღარ არიან, მშენებელთა ახალი თაობა კი გარდაქმნით გამოწვეული ქაოსით, სათანადოდ ვერ მომზადდა (საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

მანანა ხარხელი

სამშენებლო ფაკულტეტზე გარდაქმნის ზოგიერთ წლებში სტუდენტთა მიღებაც კი არ იყო) და ა. შ.

არ გვყავს გამოცდილი მენეჯერებიც. ეს ეხება მშენებლობასაც და სხვა დარგებსაც. მოქმედი მენეჯერების თეორიული მომზადებაც ზოგადია და არა პროფილური. საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტები მეტად ფართოდ სწავლობენ ზოგად მენეჯმენტს და მეტად შემცირებული პროგრამით სწავლობენ (ან საერთოდ არ სწავლობენ) პროფილურ მენეჯმენტს. ასეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზეც. რა თქმა უნდა, აქ ისწავლება მენეჯმენტის საფუძვლებიც, სტრატეგიული მენეჯმენტიც, ოპერაციული მენეჯმენტიც და ა. შ., მაგრამ ის არ არის მორგებული მშენებლობას. ამიტომ შემდეგში, მშენებლობაში მენეჯერად მუშაობის პროცესში სტუდენტები ამ ცოდნას ვერ იყენებენ. ჩვენი აზრით, საჭიროა მენეჯმენტის ხაზით სასწავლო საგნები პროფილის მიხედვით იწერებოდეს და ასე ისწავლებოდეს. დაუშვებელია ქარხნის მაგალითზე დაწერილი „ოპერაციული მენეჯმენტი“ ვასწავლოთ სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტებს (ახლა ასე ხდება). ეს ორი პროცესი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია.

გვერდს ვერ ავუვლით კულტურული ურთიერთობების წინააღმდეგობებსაც. ეს უკვე ეხება ძირითადი კომპანიის და მისი პარტნიორების ურთიერთობებს. როცა პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელია, მათ ძალიან უჭირთ ურთიერთობები, სწორედ კულტურაში განსხვავებულობების გამო. საქართველოს კომპანიებს, მოცემულ შემთხვევაში კი კომპანია „სასკო“-ს, ეს ბარიერი არა აქვს, რადგან მისი პარტნიორები ქართული საწარმოებია, მაგრამ მომავალში, როცა მისი კავშირები გაფართოვდება, ეს ბარიერი იჩენს თავს. ამიტომ როცა ამა თუ იმ ქვეყნის ამა თუ იმ კომპანიასთან

კავშირურთიერთობაზე იწყება ფიქრი, მის საბოლოო გადაწყვეტამდის, უნდა შესწავლილ იქნეს მისი ტრადიციები, მუშაობის და ცხოვრების წესები და გაირკვეს რამდენად „ჩაჯდება“ იგი ფასეულობათა ჯაჭვის ქართულ მოდელში. მაგალითად, კომპანია „სასკო“ შენობათა გადახურვის მასალას (ხელოვნური კრამიტი, ხელოვნური შიფერი და ა. შ.) თბილისის ბაზრობებზე (ძირითადად ელიავას ბაზარი) ყიდულობს. აქ არჩევანი დიდია. არის აზიური და ევროპული წარმომავლობის სახურავი მასალა. აზიური წარმოშობის მასალა კაშკაშა ფერებისაა – წითელი, ყვითელი, ღია მწვანე, ევროპული კი უფრო მუქი – ბორდოსფერი, ტყვიისფერი, უანგისფერი და ა. შ. კაშკაშა ფერები აზიელი ხალხის ტრადიციებიდან მომდინარეობს, უფრო „თავშეკავებული“ ფერები კი – ევროპელი ხალხის ბუნებიდან. საქართველოს ბაზრებზე აზიური წარმოშობის სახურავი მასალა უფრო იაფია ვიდრე ევროპული. ამდენად წინა წლებში, როცა კომპანია „სასკო“ კონტრაქტებსაც აშენებდა, ასეთი კაშკაშა სახურავით ფარავდა მათ. ამან ქართველი დამკვეთების დიდი პროტესტი გამოიწვია და „სასკო“-მ შეცვალა არჩევანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხის კულტურა ვერ ეთვისება წითელ-ყვითელ კაშკაშა ფერებს. რაღა თქმა უნდა, რომ რადგან ჩვენ არ მოგვწონს კაშკაშა ფერები, აზიის ქვეყნები თავის ტრადიციებს და ჩვევებს ვერ შეიცვლიან, უბრალოდ, ჩვენ პარტნიორის არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ იგი.

Value Chain Management

M. Kharkheli

Manana Kharkheli article “Value Chain Management” concerns a problem of transformation companies from traditional management to value chain management. The article considers the priority and advantage of this kind of management within the firms as well as the obstacles for its fulfillment. The article is based on the example of Georgian Construction Company “Sasco”

The author recommends companies to work toward obstacle clearing direction and to start intensive management of value chain.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Стивен Роббинз, Мэри Коултер. Менеджмент. М., 2007.
2. J. Teresko. «The Dawn of E-Manufacturing». Industry week, October 2, 2000;
3. G. Taninecz. «Forging the Chain, Industry Week, May 15, 2000.

**საერთაშორისო კონფერენცია - „ბიოეკონომიკა
და სოფლის მეურნეობის გლობალი
განვითარება“(თბილისი, 2013, 11-12 ოქტომბერი)**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სრული პროფესორი ეთერ ხარაიშვილი). კონფერენციის მომსახურებელ-მონაწილეთა რიცხვმა 232 შეადგინა.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდნენ: ლუკა ჩეზარო – „რის ცვლილებას აპირებს ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა 2013 წელს? ინტეგრაცია, მწვანე მეურნეობა და ბიუჯეტის შემცირების პრობლემები“; გიორგი წაქაძე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი – „საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიები და აგრარული სექტორი“; ანატოლი შევჩუკი – რუსეთის ეკონომიკის განვითარების სამინისტროსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – „წყლის რესურსები, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველი“; პაატა კოლუაშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია – „საქართველოს შეუძლია დაიწყოს ახალი მწვანე „ბიოლოგიური რევოლუცია“.

აქვე გაიმართა საოჯახო ფერმერული მეურნეობის პრეზენტაცია (მ. ტერტერაშვილი, ნ. ტერტერაშვილი).

ამის შემდეგ 16 სხვადასხვა სექცია შეუდგა დამოუკიდებელ მუშაობას. I სექციაზე (ხელმძღვანელები სრული პროფესორი რ. გველესიანი, ასოცირებული

პროფესორი გ. ერქომაიშვილი) – „მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური აქცენტები“, სხვადასხვა საინტერესო თემაზე წარმოდგენილი იყო 15 მოხსენება. II სექციაზე „მდგრადი სოფლის მეურნეობა და რეგიონული განვითარება“ (ხელმძღვანელი სრული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი) – წარმოდგენილი იყო 9 მოხსენება. III სექციამ (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ნაზირა კაკულია) – „სოფლის მეურნეობა და მაკროეკონომიკა“, მოისმინა 11 მოხსენება. IV სექციის (ხელმძღვანელები სრული პროფესორი მ. ტუხაშვილი, პროფესორი მ. ტიმოშენკო) განსახილველი პრობლემა იყო „სოფლის მოსახლეობა: დემოგრაფიული პრობლემები, დასაქმება, სოციალური განვითარება“, სადაც მოსმენილი იქნა 8 მოხსენება. V სექციაზე (ხელმძღვანელი ეკ. აკადემიური დოქტორი ეკატერინე ზვიადაძე) განსახილველი პრობლემა იყო „სასურსათო უსაფრთხოება და სასურსათო პოლიტიკა“, სადაც მოსმენილი იქნა 6 მოხსენება. VI სექციაში (ხელმძღვანელი სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე) განსახილველი იყო „აგრობიზნესი და რეგიონული განვითარება“, მოისმინეს 10 მოხსენება. VII სექცია (ხელმძღვანელი სრული პროფესორი თემურ შენგელია) წარმოდგენილი იყო პრობლემით – „ბიოეკონომიკა და მსოფლიო ბაზარი“ – 6 მოხსენებით. VIII სექციამ (ხელმძღვანელები პროფესორები რ. გახოკიძე, თ. კანდელაკი) – „ბიოტექნოლოგიები და ბიოეკონომიკა“, მოისმინა 12 მოხსენება. IX სექციაში (ხელმძღვანელი სრული პროფესორი ნ. ელიზბარაშვილი) – „კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობა“, მოსმენილი იქნა 8 მოხსენება. X სექციაში (სრული პროფესორი გ. დაღანაძე) – „კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა აგროსასურსათო სფეროში“, წარმოდგენილი იყო 6 მოხსენება. XI სექციის

(ხელმძღვანელები პროფესორი ჟ. თოლორდავა, დ. დეტომბე) – „ეკონომიკური მოდელები სოფლის მეურნეობაში და ინვესტიციები“, მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 8 მომხსენებელმა. XII სექციაში (ხელმძღვანელი სრული პროფესორი ს. გელაშვილი) – „განუსაზღვრელობა და დაზღვევა სოფლის მეურნეობაში“, მოსმენილ იქნა 8 მოხსენება. XIII სექციამ (ხელმძღვანელი სრული პროფესორი ნ. თოდუა) – „აგრობიზნესის მარკეტინგი და მიწოდების სტრატეგიები“, მოისმინა 6 მოხსენება. XIV სექციის (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნ. პაიჭაძე) განსახილველი პრობლემა იყო „აგრობიზნესის მენეჯმენტი“, რაშიც მონაწილეობა მიიღო 8 მომხსენებელმა. XV სექციის (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ა. დევაძე), მუშაობა მიეძღვნა აგროტურიზმის პრობლემას, რომელშიც წარმოდგენილი იყო 10 მოხსენება. ბოლო XVI სექცია (ხელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი მ. ფარესაშვილი) იყო „სტუდენტური კვლევები“, რომელშიც 5 მომხსენებელი იყო წამოდგენილი.

სექციების მუშაობის შედეგები მოხსენდა შემაჯამებელ სხდომას, სადაც აღინიშნა მიღებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დასკვნებისა და რეკომენდაციების დიდი მნიშვნელობის შესახებ, რაც სარეალიზაციოდ წარედგინება შესაბამის სამინისტროებს, ორგანიზაციებსა და უწყებებს.

საინტერესო და შინაარსიანი იყო კონფერენციის მონაწილეთა მუშაობის პროგრამით გათვალისწინებული მეორე დღე – მცხეთის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. ამ პროგრამის სპეციალური ნაწილი იყო - „თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში“, ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი, ასევე კომპანია „შატო მუხრანის“ პრეზენტაცია. დასასრულ

უჩა გოგიშვილი

გაიმართა სადილი – „ქართული სუფრა“, სადაც აკადემიურად შეჯამდა ორი დღის მუშაობის შედეგები და გამოითქვა მსგავსი კონფერენციების რეგულარულად ჩატარების სურვილი.

უჩა გოგიშვილი

**ივ.ჯავახიშვილის თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახურის უფროსი**

სსონენ ნათელი

ბიკენტი გებიგევილი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ეკონომისტ-სტატისტიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბიკენტი გებიგევილი.

იგი დაიბადა 1935 წლის 10 მარტს ცაგერის რაიონის სოფელ ორხეში. ოჯახში ბავშვობიდანვე ეზიარა შრომისმოყვარეობასა და პატიოსნებას. დაამთავრა სოფელ ტვიშის საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე და სწავლის გასაგრძელებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა. აქ, როგორც მედალოსანი, უგამოცდოდ ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იქვე გააგრძელა ასპირანტურაში სწავლა აკადემიკოს ირაკლი მიქელაძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით.

1965 წლიდან არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

1964–1966 წლებში მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის მასწავლებლად;

1966–1970 წლებში – საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების“ სექტორის უფროსის თანამდებობაზე; 1970-1974 წლებში – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანისა და იმავდროულად ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე; 1974–2006 წლებში – ამავე უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგის თანამდებობაზე;

1985 წლიდან არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი; 2006 - 2012 წლებში იყო ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი. მიღებული აქვს აქტიური მონაწილეობა მოხსენებებით 50-ზე მეტ რეგიონულ, ეროვნულ

და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივ. ჯავახიშვილის მედლით.

განსაკუთრებით დიდია ბ. გაბიძაშვილის დამსახურება ქართული სტატისტიკური მეცნიერების აღორძინების საქმეში. იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში ახალი სამეცნიერო მიმართულების-სტატისტიკური მოდელირებისა და პროგნოზირების ფუძემდებლად. 32 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრას, რომელიც ფაქტობრივად იყო საქართველოს სხვა ქალაქების (ქუთაისი, გორი, ზუგდიდი, ბათუმი, თელავი) და რეგიონებში სტატისტიკური მეცნიერების განვითარების მეთაური. ამ სამეცნიერო მიმართულებით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა საქართველოში 40-ზე მეტი სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. პროფესორმა ბ. გაბიძაშვილმა შექმნა სამეცნიერო, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა და თვით აკადემიური პერსონალი აეყვანა მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამის დონეზე, ხშირად კი, მსოფლიო მეცნიერების საგანძურში თავად შეეტანა მეცნიერული სიახლეები და ღირსეული წვლილი. მან მსოფლიო სტატისტიკურ მეცნიერებას შესთავაზა მრავალი საკუთარი, ორიგინალური სტატისტიკური მეთოდი და მეთოდოლოგია. მათ შორისაა მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგია, სტატისტიკური პროგნოზირება ადაპტაციური, ექსპონენციალური სრიალა საშუალოების გამოყენებით, მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების კონცენტრაციის (უთანაბრობის) ზოგადი და მის საფუძველზე დეცილური, კვარტილური და პერცენტული განაწილების შემთხვევებისათვის საჭირო კერძო კოეფიციენტები.

ბიკენტი გაბიძაშვილი როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში ყოველთვის პრინციპულობით, ნიჭიერებით, ობიექტურობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მუდამ კანონის უხეინაესობით ხელმძღვანელობდა და წინა პლანზე ერისა და ქვეყნის ინტერესებს აყენებდა.

აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ დღეს ივ. ჯავახიშ-

ვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სრულიად საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში წარმატებით მოღვაწეობს ბატონი ბიკენტის მრავალი აღზრდილი – ეკონომიკურ მეწიერებათა დოქტორები და პროფესორები.

პროფ. ბ. გაბიაშვილის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, პრაქტიკული ხასიათის ნაშრომები.

ეკონომიკის ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მიერ, ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის კოლექტივის ინიციატივით, ბატონი ბიკენტის პატივსაცემად და მისი ღვაწლის დასაფასებლად, მისი დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავთან დაკავშირებით, კათედრაზე გახსნილი ვარსკვლავი დღესაც კიაფობს, რომელსაც ამშვენებს პროფესორის ერთ-ერთი აღზრდილის, სანიმუშო პედაგოგის, სოფიკო მჭედლიშვილის მიერ აღმზრდელისათვის მიძღვნილი ლექსი, რომელიც ასე იწყება: „შესადარებლად ვარსკვლავიც კი გვემცირება!“ და ასე გრძელდება:

„ღირსების მწვერვალს აღაპყრეთ მზერა,
რწმენამ აღმასვლა გაგიადვილათ,
გალაქტიკაშიც ვარსკვლავი ბრწყინავს,
თქვენი ნაღვაწის დასაფასებლად.“

ბატონ ბიკენტის დარჩა შესანიშნავი მეუღლე, შვილი და შვილიშვილები. იგი იყო მზრუნველი და მოსიყვარულე მეუღლე, ღირსეული მამა, კოლეგა და მეგობარი.

ბატონი ბიკენტი გაბიაშვილის, როგორც უაღრესად პატიოსანი, შრომისმოყვარე და კეთილშობილი ადამიანის, პრინციპული, ობიექტური და სამართლიანი პიროვნების ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

სიმონ გალაშვილი

**ივ.ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის
კათედრის სახელით, სრული პროფესორი**

**ქურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის
წარმოადგენის და გამოქვეყნების წესი**

1. ქურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

2. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს.

4. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-დან 1500-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

5. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ვეზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman).

6. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

7. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება.

ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი.

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5, გვ. 41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

8. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

9. სტაციას, რომელიც არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს

10. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

საკონტაქტო ტელეფონები:
2 30 36 68; 2 30 40 78;
599 24 77 47; 599 10 38 16
e-Mail: ebf.journal@tsu.ge

ISSN 1987-5789



დაბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი